საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა“-ს და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

ხუთშაბათი, 18 თებერვალი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 39 (1494)

დღიური

აჯანყებულმა დრუზებმა [illegible] თავდასხმა [illegible].

ფრანგების მიერ სირიაში შედგენილი მთავრობა გადადგა.

ზაგლულ ფაშას მომხრეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ეგვიპტის პარლამენტს.

ახლო ხანში გაიხსნება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია.

საბჭოთა კავშირში მოიწვიეს ჩინეთის და იაპონიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია.

ინგლისის თემთა პალატაში დაიწყო ინგლის-ირაქის ხელშეკრულების განხილვა.

ა. წ. 28 თებერვალს შესდგება
საქართველოს კომპარტიის ც. კ.
გაფართოებული პლენუმი
საქართველოს კომპარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ქართველიშვილი

განათლების საკითხები ჩვენში

(განათლების მუშაკთა ყრილობის შედეგები)

გუშინ დამთავრდა განათლების მუშაკთა ყრილობა. ამ ყრილობას ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ: მისი მნიშვნელობა სცილდება ვიწრო პროფესიულ საზღვრებს და მჭიდროთ უკავშირდება საბჭოთა ხელისუფლების საერთო პოლიტიკურ, კულტურულ და სამეურნეო ამოცანებს.

ყრილობა მრავალმხრივ იყო საგულისხმო. პირველ ყოვლისა დელეგატების უდიდესი აქტივობით. ერთი კვირის განმავლობაში დელეგატ-მასწავლებლები მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ყრილობის მუშაობაში. მათი სჯა-ბაასი სწარმოებდა არა მარტო მასწავლებლობის ნივთიერ მდგომარეობის, არამედ უფრო სახალხო განათლების საქმის და საბჭოთა საზოგადოებრივობაში განათლების მუშაკის როლის გარშემო.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ყრილობამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო ის ღრმა პოლიტიკური გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, რომელიც დიდი ხანია შემჩნეულია მშრომელ ინტელიგენციაში და კერძოდ მასწავლებლობაში. გულწრფელი და მჭიდრო თანამშრომლობა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებასთან, კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ. ამ გზას მტკიცედ ადგია მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი არმია.

ამას თვალსაჩინოდ ხდის კერძოდ სოფლის მასწავლებლობის აქტიური მონაწილეობა გლეხურ საზოგადოებ- [illegible] სამეურნეო საქმეებში. მასწავლებლობის მოღვაწეობა არ შემოიფარგლება სკოლის კედლებით. იგი მონაწილეობს საბჭოს, კოოპერატივის, გლეხკომის და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში; იგი განაგებს სამკითხველოს, აწყობს წარმოდგენებს, სათავეში უდგას წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს, ეწევა ანტირელიგიურ პროპაგანდას გლეხობაში და სხ. ჩვენი სოფელი ღარიბია კულტურული ძალებით და ასეთ პირობებში მასწავლებლის როლი გლეხობის კულტურულ და ეკონომიურ დაწინაურების საქმეში უდიდესია. მასწავლებლობაც ცდილობს ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს.

რაც შეეხება თვით სასკოლო განათლების საქმეს, ყრილობაზე ამ მხრივ გადაშლილი სურათი უაღრესი ყურადღების ღირსია. ჩვენი ხალხის ლტოლვა განათლებისაკენ ძველის ძველი ამბავია. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საბჭოთა ხელისუფლებას ბევრი რამე აქვს გაკეთებული, კერძოდ სკოლების ქსელის გაფართოების და თვით სასკოლო განათლების სისტემის რეორგანიზაციის გზით. მაგრამ ქვეყნის ფინანსიური ხელმოკლეობა საშუალებას არ გვაძლევს უფრო ფართოდ გავშალოთ მუშაობა ამ დარგში. სასკოლო საქმისთვის დიდ დაბრკოლებად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ სასკოლო შენობების მოუწყობლობა, სათანადო ხელსაწყოების და სახელმძღვანელოების ნაკლებობა. ეს საკითხი უნდა მოგვარდეს ადგილობრივი ინიციატივის და ცენტრის გაერთიანებული ძალ-ღონით.

ასევე, და შეიძლება უფრო მწვავედ, სდგას საკითხი მასწავლებელთა მომზადების შესახებ. მასწავლებლობის კვალიფიკაცია საერთოდ დაბალია, მაგ., სოციალურ აღზრდის სკოლებში დაბალი განათლებითაა 2.533 მასწავლებელი, შინაურ განათლებით—126. დიდი ნაკლებობაა სპეციალ საგნების პედაგოგიურ ძალებში. განათლების კომისარიატი იღებს ზომებს ასეთი მდგომარეობის მოსასპობად. საჭიროა მასწავლებელთა მომზადების და გადამზადების, მათი კვალიფიკაციის აწევის საკითხი დაისვას ფართე მასშტაბით და ამისათვის შესაძლებელი საშუალებებიც იქნეს მიღებული.

კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელთა სიმცირე არის ერთ-ერთი მიზეზი იმის, რომ ჩვენში მოისუსტებს პროფტექნიკური და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო განათლება. გასულ წელს ჩვენში 10 ათასმა ახალგაზრდამ გაათავა 9 წლედები, მათგან მხოლოდ 2 ათასმა მოახერხა სწავლის გაგრძელება, დანარჩენი 8 ათასი გარედ დარჩა. ამოდენა ახალგაზრდობა მოკლებულია საჭირო ცოდნას, რომ გამოდგეს სასოფლო-მეურნეობაში. იგი აწყდება ქალაქებს, იქ ეძებს სამუშაოს და აძლიერებს უმუშევართა არმიას. დაახლოვებით ასე ხდება ყოველ წლობით. ასეთ არანორმალურ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად უნდა იქნას მიღებული გადაჭრილი ღონისძიებანი. ჩვენ სკოლები ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ისინი უშვებდენ ცხოვრებისათვის პრაქ- [illegible] ბას, კერძოდ სასოფლო-მეურნეობისათვის გამოსადეგ ახალგაზრდობას. მტკიცედ უნდა გავატაროთ სასოფლო სამეურნეო განხრა ჩვენს სკოლებში.

ცალკე უნდა აღინიშნოს მასწავლებლობის ნივთიერი მდგომარეობა. მიუხედავათ უკანასკნელ წლებში ამ მხრივ მომხდარ მთელ რიგ გაუმჯობესებათა, იგი მაინც მძიმეა. ჩვენი დღევანდელი რესურსები არ გვაძლევენ საშუალებას მასწავლებლობის მატერიალური დაკმაყოფილება ავიყვანოთ საჭირო დონემდე. მაგრამ აღსანიშნავი ის არის, რომ ხშირად მასწავლებლები დაწესებულ ჯამაგირებს თავის დროზე ვერ იღებენ. ეს უმთავრესად აიხსნება საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევით ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოების მიერ, რომელნიც მასწავლებლებისათვის დანიშნულ ფულს სხვა საქმეებს ახმარებენ. ეს დაუშვებელია და ძირფესვიანად უნდა იქნეს აღმოფხვრილი. საერთოდ ჩვენ ყოველი ზომა უნდა მივიღოთ მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რამდენადაც ამის საშუალებას მოგვცემენ სამეურნეო და ფინანსიური პირობები.

საბჭოთა ხელისუფლება არაფერს იშურებს განათლების მუშაკებისათვის, რათა შექმნას მათთვის მუშაობის და ცხოვრების რიგიანი პირობები. და მასწავლებლობაც, ამაში დარწმუნებული, გააძლიერებს მუშაობას თავის სასკოლო და საზოგადოებრივ მოვალეობათა პირნათლად განხორციელებისათვის. ამის საბუთს გვაძლევს განათლების მუშაკთა ყრილობის მუშაობა.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

საფინანსო კანონპროექტი მიიღო პალატამ

მემარცხენე ბლოკის საფინანსო პროგრამის მთავარი მუხლები უარყოფილ იქნა

მიღებული კანონპროექტით დაუფარავი რჩება დეფიციტი 2.400.000.000 ფრანკის რაოდენობით

საფინანსო კანონპროექტი მიღებულია

პარიზი, 16 თებერვ. ფინანსიურ კანონპროექტისთვის საბოლოო კენჭის ყრამდე სოციალისტების პოზიციის შესახებ განმარტებით გამოვიდა უკანასკნელთა წარმომადგენელი. მოხდა მწვავე შეტაკება ბრიანსა და სოციალისტებს შორის, რომელთაც განაცხადეს, რომ თავს იკავებენ ხმის მიცემისაგან.

მთავრობამ დააყენა საკითხი ნდობის შესახებ. პროექტი მიღებული იქნა ცენტრის და რადიკალების ერთი ნაწილის 258 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ მემარჯვენეთა და კომუნისტების 145 ხმისა.

გადასახადი აღებ-მიცემობაზე უარყოფილია

პარიზი, 16 თებერვ. მიუხედავათ ფინანსთა მინისტრის დუმერის განცხადებისა, რომ გასახადი აღებ-მიცემობაზე თავიდან აიცილებს ქვეყანას ინფლიაციას და ხელს შეუწყობს ფინანსიურ კრიზისის მოსპობას, დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ 13 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 8-ისა უარჰყო მთავრობის სათანადო პროექტი.

ბიუჯეტი 2,4 მილიარდის დეფიციტით

პარიზი, 16 თებერვ. საფინანსო კანონპროექტის ბევრი მუხლი,—კერძოთ მუხლები საფოსტო და რადიოტელეგრაფის გადასახადების შესახებ, დეპუტატთა პალატამ უკანვე დაუბრუნა საფინანსო კომისიას ხელმეორედ განსახილველად.

საამორტიზაციო ფონდის წყაროების საკითხის გარშემო გამართულ კამათის დროს კომპარტიის წარმომადგენელმა ანრიემ წინადადება შეიტანა, რათა გადასახადით დაიბეგრონ მსხვილი კაპიტალისტები. ეს წინადადება უარყოფილ იქნა პალატის მიერ.

ბოლოს, მრავალ ინცინდენტების შემდეგ პალატამ მიიღო საფინანსო პროექტის უკანასკნელი მუხლები, შესამჩნევად შეცვლილნი. პროექტიდან ამოშლილია მემარცხენე ბლოკის მიერ შეტანილი უმნიშვნელოვანესი მუხლები. მიღებული კანონპროექტი მომხსენებლის აზრით დაუფარავათ სტოვებს 2.400.000.000 ფრანკის დეფიციტს.

მომხსენებელი აცხადებს, რომ დეფიციტის დასაფარავად მთავრობა წინადადებას აძლევს პალატას მიიღოს გადასახადები აღებ-მიცემობაზე, რაც საფინანსო კომისიამ უარჰყო. აღნიშნავს რა ფინანსიურ კრიზისის სიმწვავეს, დუმერი სთხოვს პალატას მიიღოს აღნიშნული გადასახადი.

პროექტის წინააღმდეგ ილაშქრებს სოციალისტი ორიოლი, რის შემდეგ პროექტი უარყოფილი იქნა 389 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ ცენტრის 112 ხმისა. მთავრობას არ დაუყენებია საკითხი ნდობის გამოცხადების შესახებ.

მსჯელობენ და იმედოვნებენ

ბერლინი, 16 თებერვ. შვეიცარიის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობა შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების უშედეგოთ დამთავრების შესახებ. ამის გამო შვე- [illegible] საკავშირო საბჭო განიხი- [illegible] შვეიცარიის სააგენტო იუწყება, რომ ფედერალურ საბჭოს არ მიუღია არავითარი გადაწყვეტილება, რადგან მას არ მოსვლია ოფიციალური ცნობა მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ.

შვეიცარიის ბურჟუაზიული პრესა გამოსთქვამს შიშს, რომ მოლაპარაკების შეწყვეტას ცუდი შედეგები მოჰყვება, რადგან ერთა ლიგის ზოგიერთი კონფერენცია გადატანილი იქნება [illegible] ლი სიტყვა ჯერ არ თქმულა და მხარს უჭერს უშუალო მოლაპარაკებას შვეიცარიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

გადასახადი აღებ მიცემობაზე.

ლონდონი, 16 თებერ. „დეილი მეილი“-ს პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ საფინანსო კომისიამ 113 ხმის უმრავლესობით დაადგინა საფინანსო პროექტი სენატს გადასცეს.

იტყობინებიან, რომ ბრიანი იშუამდგომლებს სენატის წინაშე, რათა დატოვებულ იქნეს გადასახადი აღებმიცემობაზე, რომელიც უარჰყო დეპუტატთა პალატამ. იმ შემთხვევაში, თუ სენატი აღადგენს ამ გადასახადს, ხოლო პალატა ამ თავის გადაწყვეტილებას უკან არ წაიღებს, შესაძლოა პალატის დათხოვნა.

კამათი.—ბრიანის სიტყვა.

ლონდონი, 17 თებერ. დეპუტატთა პალატა განაგრძობდა მთავრობის მიერ წარმოდგენილ გადასახადების პროექტების განხილვას. გადასახადი ექსპორტზე 1,3 პროცენტის რაოდენობით განსახილველად დაუბრუნდა საფინანსო კომისიას. ავტომობილებზე გადასახადი უარყოფილია.

მალვიმ წინადადება მისცა პალატას გამოარკვიოს მდგომარეობა—ხომ არ დარჩება ის უსასრულოდ, რომ არ იქნეს შემოღებული აუცილებელი არაპირდაპირი გადასახადები.

ბრიანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ სახალხო წარმომადგენლობის მთავარი მოვალეობაა მთავრობისათვის მართვა-გამგეობის საშუალების მიცემა. მთავრობამ, ბრიანის სიტყვით, გამოიჩინა შერიგების სურვილი და ის სთხოვს პალატას მისცეს მთავრობას საჭირო საბიუჯეტო საშუალებანი.

291 ხმით 7-ს წინააღმდეგ უარყოფილ იქნა კომისიის პროექტის მეტად მნიშვნელოვანი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს თამბაქოს და ზეგვრის გაძვირებას.

ბრიანმა განაცხადა, რომ მთავრობა არასოდეს არ დათანხმდება თანამშრომლობაზე სოციალისტებთან, რომელნიც მას თავზე ახვევენ „სოციალისტურ გადასახადებს“. ის უარს არ ამბობს შერიგებაზე, მაგრამ ასე თუ ისე შეკრებს საშუალებებს ბიუჯეტის წონასწორობაში მოსაყვანად. ამასთანავე ბრიანმა განაცხადა, რომ ის „დასცინის მათ, ვისაც სურთ სამინისტროს კრიზისის შექმნა. რადგან მომენტი მეტად მნიშვნელოვანია, მისი სიტყვით, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს რაც არ უნდა დაუჯდეს კამათი დადებითი შედეგებით დაასრულოს.

[illegible] სხდომაზე ირჩეოდა გადა- [illegible] ექსპორტზე. [illegible] ყოფილი [illegible] ხმით 112-ს წინააღმდეგ.

სოციალისტებმა განაცხადეს, რომ ისინი თავს შეიკავებენ მთელი პროექტის კენჭის ყრის დროს.

პროექტი, 2,400,000,000 ფრანკის დეფიციტით, გადაეცემა სენატს. სენატიდან პროექტის დაბრუნების შემდეგ ბრიანი წინადადებას მისცემს დეპუტატთა პალატას იკისროს მთელი პასუხისმგებლობა შემდეგში.

პროექტი მიღებულია 258 ხმის უმრავლესობით 145-ს წინააღმდეგ; თავი შეიკავა 167 დეპუტატმა.

დეპუტატთა პალატის სესია გადაიდო 23 თებერვლისათვის.

ბელგია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა

ბერლინი, 16 თებ. ბელგიის სოციალისტური პარტიის ორგანო „პეპლი“ იუწყება, რომ ბელგიის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა განაახლოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

კანადა და ლოკარნოს ხელშეკრულება

ბერლინი, 17 თებერვ. ოფიციოზური ცნობის თანახმად, კანადის მთავრობა ფიქრობს, რომ ლოკარნოს ხელშეკრულება შეეხება მხოლოდ ევროპის კონტინენტს და ამ ხელშეკრულებათა არც ერთი მუხლი არ არის სავალდებულო კანადისათვის.

გერმანია და ერთა ლიგა

მუშათა პარტია ერთა ლიგაში გერმანიის მიღების შესახებ

ლონდონი, 17 თებერვ. მუშათა პარტიამ თემთა პალატაში შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც ესალმება გერმანიის შესვლას ერთა ლიგაში და მხარს უჭერს გერმანიის მოთხოვნილებას, რათა მას ლოკარნოს ხელშეკრულების თანახმად მუდმივი ადგილი მიეცეს ერთა ლიგის საბჭოში. რეზოლიუცია ეწინააღმდეგება მუდმივ ადგილების რიცხვის გადიდებას ლიგის საბჭოში, რაც გამოწვეულია სხვა სახელმწიფოების პრეტენზიების დაკმაყოფილების სურვილით; რეზოლიუცია ამას ლოკარნოს ხელშეკრულების დარღვევათ სთვლის და ფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობამ მხარი არ უნდა დაუჭიროს ასეთ პროექტს.

პოლონეთის პრეტენზიები

ლონდონი, 16 თებერვ. „კურიერ პორანნი“ მოწინავე წერილს უძღვნის ერთა ლიგის საბჭოში პოლონეთისთვის მუდმივი ადგილის მიკუთვნების საკითხს. გაზეთის სიტყვით, „გერმანია კომედიას თამაშობს; გერმანიის არ შეეძლო არ ეფიქრა, რომ პოლონეთი საბჭოში მოითხოვდა მუდმივ ადგილს იმ დღიდანვე, როგორც კი გერმანია მიიღებდა იქ ასეთ ადგილს.

თუ კი გერმანია თავის დროზე ფიქრობდა, რომ მის მიერ წარმოდგენილი რეინის პაქტის პროექტი ხელს გაუხსნიდა მის მოქმედებას აღმოსავლეთ საზღვარზე, ერთი [illegible] ის ამ საკითხში აბსოლიუტურად შემცდარია. პოლონეთს რასაკვირველია, ჰქონდა სერიოზული მოსაზრებანი გერმანიის საბჭოში შეყვანის წინააღმდეგ, მაგრამ მას არასოდეს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

„გაზეტა ვარშავსკა“ გამოითხოვს მუდმივ ადგილს და ამავე დროს აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში პოლონეთის ინტერესები ეთანხმებიან ევროპის წონასწორობის დაცვის თვალსაზრისს.

შიდეხარას განცხადება

ტოკიო, 16 თებ. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს შიდეხარას საპარლამენტო კომისიაში შეკითხვა მისცეს, თუ რა დავალებით ჩამოვიდა იაპონიაში წარსული წლის სექტემბერში ჩან-ძო-ლინის მთავარი მრჩეველი იჟი-ჩუნანი. შიდეხარამ განაცხადა, რომ ჩჟან ძო-ლინმა წინადადება მისცა იაპონიას დადებული ყოფილიყო საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის „აგრესიული გამოსვლების“ წინააღმდეგ. შიდეხარამ აღნიშნა, რომ იაპონიამ უარი სთქვა ამ წინადადების მიღებაზე იმ მოსაზრებით, რომ იაპონიას სურს იქონიოს კეთილ მეზობლური განწყობილება საბჭოთა კავშირთან.

იაპონიის „მუშათა“ პარტია

ტოკიო, 16 თებერვ. იაპონიის მუშათა პარტიის მეორე წინასწარი საორგანიზაციო კონფერენცია გაიმართა შაბათს. კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღო გლეხთა კავშირმა, სახელმწიფო წარმოებათა მუშების კავშირმა, ტრამვაის მუშების კავშირმა და სხვა მუშათა ორგანიზაციებმა,—სულ 8 კავშირმა. მემარცხენე პროფკავშირების გაერთიანება „ხიოგიკაი“ კონფერენციას არ დასწრებია.

კონფერენციამ მიიღო ორი პრინციპი, რომელნიც საფუძვლად უნდა დაედოს ახლად დაარსებული პარტიის მოღვაწეობას. ჯერ-ერთი, მუშათა პარტია წარმოადგენს პროლეტარულ-მასიურ პარტიას, მაგრამ იმავე დროს არ აწარმოებს ბრძოლას არსებულ სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ; ამიტომ მასში არ უნდა იქნენ დაშვებული კომუნისტები. შემდეგ ახალი პარტიის წევრებად შეიძლება მხოლოდ იმ პროფკავშირთა წევრები იყვნენ, რომელნიც მოწვეული არიან წინასწარი კონფერენციის მიერ ახალ პარტიაში შესასვლელად.

ბრძოლა „ანაზღაურების“ საკითხის გარშემო

ბერლინი, 16 თებერვ. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ გერმანიის მთავრობა არ იზიარებს მენშევიკების და კომუნისტების მიერ რეიხსტაგში შეტანილ კანონპროექტს ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების აუნაზღაურებლად კონფისკაციის შესახებ. მთავრობა ყოველივე ზომებს ღებულობს იმისათვის, რომ მოლაპარაკება, რომელიც ამჟამად სწარმოებს რეიხსტაგში ამ საკითხის სათანადოთ გადასაჭრელად, დასრულებული იქნეს კანონმდებლობითი წესით და მენშევიკების და კომუნისტების წინადადება არ იქნეს მიღებული.

ატამან სემიონოვის საქმე

ტოკიო, 16 თებ. ტოკიოს სასამართლოში ახლათ გაირჩა ყოფ. ატამან სემიონოვის საქმე. სემიონოვმა სასამართლოს გამოძიებაზე განაცხადა, რომ იმის ანტისაბჭოთა მოღვაწეობას ციმბირში ფინანსიურ დახმარებას უწევდა ერთ-ერთი მოკავშირე სახელმწიფო. იაპონიის კუთვნილი ვალები კი, რაც ერგებოდა მისი და კოლჩაკის ჯარებისთვის სამხედრო მასალის მიწოდებაში, მან შეიტანა სრულიად—ჩოსენის ბანკში.

თავდასხმა ჰუნგრეთის მინისტრზე

ბერლინი, 17 თებ. ჰუნგრეთის მინისტრს ბასანის, დემოკრატების ლიდერს, თავსდაესხა ორი ახალგაზრდა, რომელთაც განზრახული ჰქონ- [illegible] თავდამსხმელებმა ბასანის მიაძახეს: „თქვენ შეურაცხყავით მთავრობა; თქვენი ჯერიც მოვიდა“. ბასანი ერთ-ერთ თავდამსხმელს ჯოხით გაუსწორდა. მეორე შეიპყრო შოფერმა.

ინგლისში

მექანიკოსების და გემის მშენებლების ფედერაციაში

ლონდონი, 16 თებ. გემების საამშენებლო მრეწველობის მუშების და მექანიკოსების ფედერაციაში შემავალ 47 ტრედიუნიონებიდან უმრავლესობამ მიიღო წინადადება, რომლის თანახმად დავა მოლაპარაკების გზით უნდა იქნეს მოგვარებული. ფიქრობენ, რომ ამ გზით ისპობა მოულოდნელ გაფიცვების შესაძლებლობა. ოფიციალური განცხადება გამოქვეყნდება ხვალ, მაგრამ აშკარაა, რომ მიღებული სისტემა თავისი პრინციპით წააგავს იმ სისტემას, რომელიც რკინისგზელებმა მიიღეს. ამ სისტემის თანახმად გაფიცვა უნდა ჩაითვალოს უკიდურეს ზომათ და არანორმალურ გზათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის; ლოკაუტი იმავე კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს, რომელსაც გაფიცვა ეკუთვნის. ეს აზრი თავის გამოხატულებას ჰპოულობს რაიონულ დავის განმხილველ კომისიის და საბოლოო სააპელიაციო სასამართლოს შექმნაში.

ტრედიუნიონების და მწარმოებელთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი გაერთიანებული კომისია ამ ჟამად ახდენს მექანიკოსთა და გემების ამშენებელთა შრომის პირობების და ეკონომიურ მდგომარეობის გამოკვლევას.

უმუშევრობა

ლონდონი, 16 თებ. ბრიტანეთის შრომის სამინისტროს უკანასკნელი ცნობებით, წარსულ კვირას უმუშევართა რიცხვი შემცირდა 10.000-ით უმუშევართა საერთო რიცხვი არის 1,164,000, რაც 78.000-ით ნაკლებია, წარსულ წელთან შედარებით.

ორი მიმართულება პროფკავშირებში

(კუკი ტომასის წინააღმდეგ)

ბურჟუაზიული პრესა, რომელიც ყოველთვის მზათ არის, უთანხმოება შეიტანოს მუშათა მოძრაობაში, დიდის სიამოვნებით იყენებს თავის სასარგებლოთ მემარჯვენე ბელადის ტომასისა და მემარცხენე კუკის შორის არსებულ უთანხმოებას. მემაღაროეთა ფედერაციის მდივანი კუკი მიზანში არის ამოღებული იმ ბურჟუაზიის მიერ, რომელსაც ერთგულ დამქაშობას უწევენ რეფორმისტი ბელადები. ის ხომ არჩეულია მემაღაროეთა მემარცხენე ფრთის მიერ? ის ხომ მეთაური იყო ერთიანი ფრონტის შექმნისა მემაღაროების, რკინისგზელების, მექანიკოსების და ნავთსადგურის მუშებ შორის? ის ხომ ეხლავ თავგამოდებით იცავდა ერთიან ფრონტს მთელი მუშათა მოძრაობისთვის?

და ეს ხომ სრულიად საკმარისია რომ მას გამოეწვია შურისძიების გრძნობა კაპიტალისტებში და რეფორმისტებში?

მეორე მხრივ რკინისგზელთა კავშირის მდივანი ტომასი, ეს ხომ გარედან მოსული პირია! ის ერთ დროს მინისტრადაც ბრძანდებოდა, ის არის სამეფო საბჭოს წევრი. ის არის სოციალისტების მოწინააღმდეგე. მან რაკი ერთხელ მოახერხა გამაგრება რკინისგზელთა შორის, ეხლა სცდილობს, რომ არ დაჰკარგოს, ან არ შეარყიოს თავისი მდგომარეობა. ხოლო მუშათა ყოველი გამოსვლა, ბრძოლა მას ნიადაგს შეურყევდა. მას კარგა ბარაქიან გასამრჯელოს აძლევენ რკინისგზელები. საკუთარი სახლი და ავტომობილიც კი შესთავაზეს, ეხლა კი მას ერთად ერთი მიზანიღა დარჩენია: ისეთი გავლენა იქონიოს მუშებზე, რომ მათ ისეთი არაფერი განიზრახონ, რაც მის ცხოვრებას შესცვლის ძირიან ფესვიანათ.

ბურჟუაზიამ ტომასში იცნო ერთი თავისი ერთგულესი მუშაკთაგანი. რა ქება-დიდება არ მიუძღვნიათ მისთვის! ის იყო ვემბლის საიმპერიო გამოფენის ადმინისტრატიულ საბჭოს წევრი. ის სადარბაზოდ დაბრძანდება გრაფებთან. ის სადილვახშამს შეექცევა უდიდეს კაპიტალისტებთან, ფინანსისტებთან და მუშათა კლასის ყველა ჯურის მტრებთან. ის თავისი ბატონების სასიამოვნოდ რამდენჯერ იმეორებს, რომ მუშათა ინტერესებზე მაღლა ის აყენებს „ერის“ ინტერესებს, რაც დღევანდელ პირობებში ნიშნავს—ბურჟუაზიის ინტერესებს. იმას აღარ უწოდებენ უბრალოთ ტომასს, არამედ—„უმაღლესად პატივცემულ ბატონ ტომასს“.

ბურჟუაზიულმა პრესამ მას გულუხვად შესთავაზა თავისი გაზეთის ფურცლები. ის „დეილ ჰერალდის“ სარედაქციო საბჭოს წევრია. მაგრამ ის არას დროს არ სწერს ამ გაზეთში. ის უფრო დიდის სიამოვნებით თანამშრომლობს ლორდ როტერმერის და ლორდ რეავერბროოკის გაზეთებში, რომლებიც მას უხვ ჰონორარს აძლევენ.

ტომასი, მოკლეთ რომ ვსთქვათ „დაწინაურებული“ კაცია. ის მუდამ თავმომწონეობით იძახის, რომ ვაგონების მწმენდავისა და სადგურებზე კომისიონერობიდან ის გახდა მეფის პირადი საბჭოს წევრი.

ერთი სიტყვით ტომასი კაპიტალისტებისა და რეფორმისტების ნამდვილი გაჭირვების ტალკვესია. თუ რაიმე კონფლიქტი დაიწყო რკინისგზელებ შორის, ის პირველ ყოვლისა საუახშმოდ მიემგზავრება რკინისგზების კომპანიების დირექტორებთან. ლივერპულის ყრილობაზე მას საუცხოვოდ იყენებდა მაკდონალდი, რომ იერიშები მიეტანა მემარცხენე ფრთაზე და კომუნისტებზე. ეს ნამდვილი ტიპია პატარა ბურჟუათ გადაქცეულ ყოფილი მუშისა. იმისი მეუღლე და ქალიშვილები, კი, რომელთაც ბედნიერება ჰქონდათ მუხლი მოედრიკათ მისი უდიდებულესობის წინაშე, ძვირფასი თვალ-მარგალიტით მოკაზმული დაბრძანდებიან. მუშათა ყრილობებზე და კრებებზე კი წარმოუდგენელი მედიდურობითა და ამპარტავნობით აჭირებენ საქმეს.

ტომასის ღალატი სავსებით ვერ ჩამოითვლება. მაგრამ იმას მაინც დიდ ხანს ჰქონდა უდიდესი გავლენა რკინისგზელებზე, რომლების შეკავშირებაც მან მოახერხა და სექციის მეთაურობა კი თვითონ ჩაიგდო ხელში.

მაგრამ მას შემდეგ რაც ინგლისის მუშათა მოძრაობაში თანდათან ძლიერდებოდა ბრძოლის სურვილი, ტომასმაც დაჰკარგა თავისი გავლენა. მაინც ის კიდევ ინარჩუნებს თავის გავლენას მუშების დაშინებით. ხედავთ, თუ რას მივაღწიეთ ჩვენო, ეუბნება ის მუშებს: ჩვენი კავშირი ძლიერია, თქვენი ხელფასი ყველაზე მეტია მთელს ინგლისში. ჩვენ კომპანიები მიგვყავს ბევრ დათმობაზე. ერთი უბრალო გაფიცვა კი ყველაფერ ამას სულ ჩაშლის. თქვენ დაჰკარგავთ სახარბიელო ხელფასს და ჩვენი კავშირიც განადგურდება. რკინისგზის კომპანიებს არ შეუძლიათ ყოველთვის დააკმაყოფილონ თქვენი მოთხოვნილება. თუ ისინი გითმობენ ბევრს, ზოგჯერ თქვენც უნდა დაუთმოთ რამე. გაფიცვა კი—ეს ყველაზე უარესი რამ იქნებაო.

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ასეთი გეზი აქვს აღებული ტომასს, მაგრამ რომ ასიამოვნოს ბურჟუაზიას, ის კიდევ უფრო შორს მიდის. რკინისგზელთა უკანასკნელ ყრილობაზე ის, პირდაპირ აშინებდა მუშებს. ამგვარად მან დღეს მიაღებინა ისე რაც მუშებმა უარჰყვეს გუშინ. ამ ხნის განმავლობაში ალბათ ტომასმა ინახულა კომპანიების დირექტორები.

სწორეთ ამ ოინბაზურ გამარჯვების დღესვე ინგლისის იმპერიალისტურ პრესის ვეხშამზე ის აღფრთოვანების სიტყვას წარმოსთქვამს, რომ ასე ადვილათ გაიმარჯვა მუშებზე.

ყრილობის ამ გადაწყვეტილებამ და ტომასის ქცევამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშათა მასსებში. კუკმაც აღნიშნა ეს ტომასის წინააღმდეგ ამხედრებულ მემაღაროების კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში. ტომასმა აღშოთებული წერილი დაბეჭდა „დეილ ჰერალდის“ პირველ გვერდზე. ჩვეულებრივათ კი ის არას დროს არ სწერს ამ გაზეთში. ეს კუკის წინააღმდეგ მიმართული წერილი მეორე დღესვე ყველა ბურჟუაზიულმა გაზეთმა მოათავსა თავის პირველ გვერდზე. ეს საუცხოვო იარაღია მემაღაროელების წინააღმდეგ მიმართული. ასეთი ქცევა პირდაპირ შეთქმულობის ხასიათს ატარებს. იმ დროს, როცა ყველაზე მეტად არის საჭირო მუშათა ფრონტის მთლიანობა, ტომას საგანგებოთ ეძებს საბაბს, რომ ჩირქი მოსცხოს მემაღაროეთა კავშირიმდივანს და ამგვარად თვით კავშირსაც შეურყიოს ნიადაგი.

კუკმაც დაუნდობარი პასუხი გასცა ტომასს. ის ამბობს:

„მე საუცხოვოდ ვიცი, რომ ტომასი დაუძინებელი მტერია სოციალისტური პოლიტიკისა. ის სასტიკად ებრძვის მუშათა შეკავშირების საქმეს. მან ფიც ქვეშ განაცხადა, რომ ის სოციალისტი არ არის. ის ბრძანდება მხოლოდ დროებითი მეთაური. მე არას დროს არ ვუძახი მემაღაროეთა კავშირს „ჩემს ფედერაციას“, როგორც ამას გაიძახის ტომასა რკინისგზელთა ფედერაციის შესახებ. მე კავშირს თავზე არ ვახვევ არაფერს. მე მხოლოდ ვასრულებ იმ გადაწყვეტილებათ, რომელთაც იღებენ მუშები თავიანთ ყრილობაზე“.

როგორც ჰხედავთ, კუკ-ტომასის უთანხმოება არ არის პირადი ხასიათისა. არსებითად ეს არის ორ მიმდინარეობათა უთანხმოება: ერთი არის ძველი ტრედუნიონების (პროფკავშირების) მიმდინარეობა, როცა მუშათა მეთაურები ხშირად ხდებოდენ კაპიტალისტების მრჩევლებათ. მეორე არის—ახალი მიმდინარეთბა, აღჭურვილი პროლეტარული აზროვნებით კლასიურ ბრძოლის ნიადაგზე აღმოცენებული და რევოლიუციონურ გზნებით სულჩადგმული, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი რეფორმისტული მიდრეკილება და კლასთა თანამშრომლობა.

ქ. დავიდ.

ლონდონი, 4 თებერვალი.

საბჭოთა პრესა

ღარიბ-საშუალო გლეხობის თანამშრომლობა

როგორც საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობიდან სჩანს, ჩვენს ადგილობრივ ორგანიზაციებს ასე თუ ისე სწორად შეუგნიათ უმაღლესი პარტორგანოების დირექტივები ღარიბ გლეხობის შეკავშირების დარგში. სოფლის მოსახლეობის ეს ფენა საერთოდ საკმაო აქტივობას იჩენს არჩევნებში. იგი მეტ წილად დარაზმულად გამოდის და საშუალო გლეხობასთან ბლოკს ანხორციელებს. ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობა უფრო უნდა გაძლიერდეს არჩევნების განმავლობაში. უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნების დამთავრების შემდეგ ღარიბთა ჯგუფების დარაზმვას სოფლის ორგანიზაციებში, რათა მათი საშუალებით ჰპოვოს გამოსავალი ღარიბ გლეხობის თაოსნობამ და ენერგიამ, რათა ამ ორგანიზაციების მუშაობით უზრუნველყოფილ იქნას ღარიბ გლეხობის ინტერესები და მისი ორგანიული თანამშრომლობა საშუალო გლეხობასთან. როგორ უნდა გატარდეს ეს?

„უახლოეს დროში—სწერს ამხ. ი. იაკოვლევი გაზ. „ბედნოტა“-ში,—ამ მუშაობის გამოსავალ პუნქტად შეიძლება გახდეს საგადასახადო კანონი. შეიძლება მისი სწორი გატარება ცხოვრებაში პირველ ყოვლისა მაშინ, როცა მას შეითვისებენ ღარიბი და საშუალო გლეხები. ღარიბ გლეხობისათვის კანონის განმარტებით შეგვეძლება მიუდგეთ სოფლის ყველა სათანადო ორგანიზაციაში მისი გატარების უზრუნველყოფის საშუალებათა საკითხს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთ-ერთი პუნქტთაგანია. მიწათმოწყობაც, აგრონომების მუშაობაც, ტყის განაწილებაც, სკოლების საკითხებიც,—ყველაფერი ეს შეიძლება და უნდა გახდეს გამოსავალ წერტილად ღარიბ გლეხობის ჯგუფების ისეთი მუშაობის გასაჩაღებლად, რომელიც არ უპირისპირებს, რო ღარიბ გლეხობის ორგანიზაციას სოფლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამავე დროს უზრუნველყოფს ამ ორგანიზაციების მუშაობას როგორც ღარიბ ისე საშუალო გლეხობის სასარგებლოდ“

სოფლის ორგანიზაციებში ღარიბ და საშუალო გლეხობის პრაქტიკულ თანამშრომლობას აქვს უაღრესი მნიშვნელობა. საჭიროა ჩვენმა ადგილობრივმა ამხანაგებმა ამ საქმეში გამოიჩინოს სათანადო სიფრთხილე.

მათი ხელმძღვანელობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ღარიბი გლეხობა გახდეს სოფლის ნამდვილი შეკავშირებული საზოგადოებრივი ძალა და მისი აქტივობა გაიშალოს სასოფლო ორგანიზაციების ფარგლებში. ამასთან არ უნდა ექნეს ადგილი ღარიბი და საშუალო გლეხების ინტერესთა დაპირდაპირებას, პირიქით, მათი თანამშრომლობა მთლიანად უნდა იქნეს განხორციელებული.

წითელი არმიის რვა წლის თავზე

ამხანაგ ბუდიონის სურვილი

მოსკოვი, 17 თებ. „მუშურ-გლეხური წითელი არმია 1926 წლის 23 თებერვალს დღესასწაულობს თავის არსებობის რვა წლის თავს. მხოლოდ რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მუშათა და გლეხთა ნებისყოფით, ის კლასიურ მტრების წინააღმდეგ წარმოებულ მკაცრ ბრძოლებში იქნა დაარსებული. ჯერ კიდევ ცოცხალია მეხსიერებაში, როგორ იქმნებოდა ის. იზრდებოდა და ძლიერდებოდა მაშინ, როდესაც მტერი შემოტევას აწარმოებდა, როდესაც ის გარს ერტყა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და სუსტ საბჭოთა რესპუბლიკას. წითელი არმია შეცდომებზე სწავლობდა და იმარჯვებდა მტრებზე. მტრები დამარცხებულ იქნენ. მტერს არ შეეძლო გამკლავებოდა ჩვენს ჯარს, ჩვენი არმია ტეხნიკურათ სუსტი და ამასთანავე ცუდათ მომარაგებული იყო და არსაიდან არ იღებდა დახმარებას, მაგრამ ის მორალურათ ძლიერი და თავის იდეით შეკავშირებული იყო მუშებთან და გლეხებთან და იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობისათვის.

ყოველგვარ არმიას მხოლოდ მაშინ შეუძლია გამარჯვება მოიპოვოს, როდესაც ის უზრუნველყოფილია მტკიცე და ურყევი ზურგით. აჲეთი იყო ჩვენი ქვეყანა.

ჩვენმა მტრებმა სასტიკი დამარცხება იგემეს და შესვენების საშუალება მოგვცეს ჩვენ. 1921 წლიდან ჩვენი არმია სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ სამხედრო საქმის გაუმჯობესების გზით. სამხედრო სასწავლებლები ყოველწლიურად უშვებენ მეთაურთა ახალ კადრებს და ამასთანავე ერთად უფროს შემადგენლობის გადამზადებაც სწარმოებს. ჩვენი არმიის სკოლა ამ ხნის განმავლობაში გაიარა მუშურ-გლეხურმა ახალგაზრდობამ, რომელმაც უსათუოდ მიიღო იქ, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მომზადება. ამრიგათ, ჩვენი მუშურ-გლეხური არმია ამჟამად არის ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელსაც შეუძლია არა მარტო თავდაცვა, არამედ თავის მტრების დამარცხებაც. მეცხრე წლის განმავლობაში წითელი არმიის ამოცანაა არსებულ მიღწევების საფუძვლებზე კიდევ მეტად გააღრმავოს და გააუმჯობესოს თავისი სამხედრო ცოდნა.

მუშურ გლეხური წითელი არმიის არსებობის რვა წლის თავი საბჭოთა კავშირის ყველა მუშებისა და გლეხების დღესასწაულია, რადგან მათ იციან, რომ ეს მათი არმია არის.

გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას და მის არმიას!

მცირე ანტანტა უძლეურია

რომი, 16 თებერვ. გაზ. „ტრიბუნა" სპეციალურ წერილს უძღვნის ამ დღეებში დამთავრებულ მცირე ანტანტის კონფერენციას და სწერს:

„სინამდვილემ დაგვანახვა მცირე ანტანტის სრული უძლეურობა. აი ამიტომ ალაპარაკდენ ბალკანეთის საგარანტიო ხელშეკრულებაზე. რადგან ლოკარნოს აქციები ამ ჟამად ძალიან დაეცენ, ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებს ეს დაწყებული საქმე უნაყოფოთ მიაჩნიათ. ცხადია, რომ შეუძლებელია საგარანტიო ხელშეკრულებაში ჰუნგრეთის, საბერძნეთის და ბულგარეთის შეყვანა, ცხადია აგრეთვე უთანხმოება მცირე ანტანტას სახელმწიფოებს შორის. ამიტომ მცირე ანტანტას წარმომადგენლები გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდენ და ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მიაღწიეს.

მუშათა და გლეხთა ბლოკის დევნა რუმინეთში

ვენა, 16 თებ. რუმინეთის მთავრობის ორგანოები უტიფარ წამქეზებელ კამპანიას ეწევიან მუშათა და გლეხთა დემოკრატიულ ბლოკის წინააღმდეგ, რომელსაც გაზეთები უწოდებენ ბოლშევიკების ხელქვეითებს. ამ კამპანიის მიზანია დააშინოს ბურჟუაზიული ოპოზიცია და ამგვარათ დაარღვიოს მთლიანი ფრონტი.

მუშათა და გლეხთა დემოკრატიულ ერთიან ფრონტის სასარგებლო კამპანია გამარჯვებით მიმდინარეობს. ბრაილოვში და ტურნ სევერინში მიღებულია ოპოზიციის სია.

აჯანყება სირიაში

საფრანგეთის მმართველობის დაშლა სირიაში

ანგორა, 16 თებერვ. სირიელ აჯანყებულთა გმირობა იხატება იმაში, რომ მათ გაახშირეს თავდასხმა დამასკზე, რის წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა ფრანგების უკიდურესი თავდასაცავი ზომები.

ქალაქში თავდასხმის დროს აჯან- რომელნიც ფრანგების მხარეზე სდგანან. დამასკის ქალაქის თავის ცოლის ძმის ხელში ჩაგდების შემდეგ აჯანყებულებმა აიძულეს ქალაქის თავი გადამდგარიყო. ამგვარად ადგილობრივ თვითმართველობიდან წავიდა უკანასკნელი მოღვაწე, რომელიც ფრანგების მხარეზე მუშაობდა. მონახეს საზოგადო მოღვაწე ახალი კაბინეთის შესადგენათ.

აღმოსავლეთი

ეგვიპტე

ზაგლულის მომხრეები ბოიკოტს უცხადებენ პარლამენტს

ლონდონი, 16 თებერვ. როგორც ქაირიდან იუწყებიან, ზაგლულ ფაშამ ნაციონალისტურ „ელბელახის" თანამშრომელთან საუბარში, რომელიც ეხებოდა ოპოზიციის საბოლოო გადაწყვეტილებას ეგვიპტის პარლამენტის არჩევნებისთვის ბოიკოტი განეცხადებია, სთქვა. რომ ინგლისელი მთავრობა, რომელმაც პარლამენტი გარეკა, უკანონო დიქტატორული მთავრობა არის.

მოხელეებზე თავდასხმა ეგვიპტეში

ლონდონი, 16 თებერვ. ეგვიპტის სხვადასხვა პროვინციებიდან გახშირდა ცნობები მოხელეებზე თავდასხმების შესახებ. ეს თავდასხმები დამამტკიცებელია ეგვიპტის მოსახლეობის ფართო მასების მღელვარებისა.

არაბეთი

არაბული პრესა დაინტერესებულია კომუნისტებით

ანგორა, 16 თებერვ. არაბულ პრესას პალესტინაში კვლავ ემჩნევა დაინტერესება კომუნისტებით. ლიბერალურ გაზეთის „მერადულ შარკის" მოწინავეში აღნიშნულია, რომ ბოლშევიზმი ბუნებრივ მოკავშირეს წარმოადგენს დასავლეთის იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ აღმოსავლეთის ერებისათვის. პირიქით, გაზეთი „ანდფირი", რომელიც გამოდის ხაიფში, ათავსებს წერილების მთელ სერიას, რომელიც სავსეა ცილისწამებით კომუნისტების მიმართ.

მარტის პირველ რიცხვებში საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის

ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება იწვევს ქ. თბილისში, ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა თათბირს.

თათბირის დღის წესრიგი:

1. მოხსენებები ადგილებიდან (კომპარტიების ცეკას და რ. ახ. ლენინურ კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებების; გამომცემლობათა თანამოხსენებანი).
2. პარტიის მორიგი ამოცანები ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის დარგში.
3. მუშათა და სოფლის კორესპონდენტების მოძრაობა.
4. ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატთან.
5. ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებების გავრცელება.
6. სატელეგრაფო ინფორმაცია (ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს შესახებ).
7. სხვა და სხვა.

თათბირზე მოწვეული არიან ამიერ-კავკასიის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებათა, რ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების, საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის ბეჭდვითი სიტყვის სექციის, ამიერ-კავკასიის წიგნების გამომცემლობათა და გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები.

აღნიშნულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოგზავნონ საჭირო მასალები თათბირის საკითხებზე იმ ვარაუდით, რათა ეს მასალები მიღებული იქნას თბილისში არა უგვიანეს 28 თებერვლისა.

თათბირის დღე და მის მონაწილეთა პერსონალური სია თავის დროზე ეცნობებათ ორგანიზაციებს.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება.

ინგლის-ირაქის ხელშეკრულება

ლონდონი. 16 თებ. ხვალ თემთა პალატაში გაირჩევა ინგლის-ირაქის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილ იქნა ერთა ლიგის მიერ ირაქის საზღვრების საკითხის გადაჭრის შემდეგ. წინადადებას ხელშეკრულების მოწონების შესახებ შემოიტანს კოლონიების მინისტრი ემერი.

მუშათა პარტია, ალბად, შეიტანს თავის დამატებას, რომელზედაც დაურთავს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ გაგრძელებულ იქნეს ირაქზე ინგლისის მანდატის ვადა და მოითხოვს მთავრობისაგან ირაქის ერთა ლიგაში მიღების დაჩქარებას.

ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად ხელშეკრულება ძალაში უნდა დარჩეს 25 წლით (1925 წლ. 16 დეკემბრიდან), „თუ ამ ვადის განმავლობაში ირაქი არ გახდება ერთა ლიგის წევრი".

მოღალატეების წინააღმდეგ

ვარშავა, 16 თებ. კალიშის მუშები ძალიან არიან აღშფოთებული პოლონელ სოციალისტების ქცევით, რომელნიც უმრავლესობას შეადგენენ კალიშის ქალაქის გამგეობაში. ისინი სრულებით არ ცდილან გააუმჯობესებიათ უმუშევართა მდგომარეობა და არც რაიმე ზომები მიუღიათ უბედურების თავიდან ასაცილებლათ.

პოლონელ სოციალისტების კალიშის ორგანიზაციის ხელმძღვანელები მომხდარ უბედურობის შემდეგ დღეებში კარში აღარ გამოსულან, რადგან ეშინოდათ ხალხისა და მუშების შურისძიებისა.

ყალბი ფულების მკეთებელთა საქმე

პრაგა, 16 თებერვ. ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბენეშმა დეპუტატთა პალატაში შემოსულ შეკითხვაზე ჰუნგრელ ყალბი ფულის მკეთებელთა საქმის შესახებ განაცხადა, რომ ჩეხო-სლოვაკია არ აპირებს ამ აფიორის გამოყენებას ჰუნგრეთის წინააღმდეგ და არ ჩაერევა მასში. ჩეხო-სლოვაკიის ერთადერთი სურვილია, რათა მოხდეს ობიექტიური გამოძიება და საჯარო განმარტება იქნეს მოცემული მომხდარი ამბების შესახებ, დამნაშავენი კი სასტიკად დაისაჯონ. ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა იტოვებს უფლებას, თუ საჭიროდ დაინახა მიიღოს შესაფერი ზომები ასეთი აფიორის მომავალშიაც განმეორების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

პროფტეხნიკურ სკოლების კონფერენცია.

მოსკოვი, 17 თებ. 16 თებერვალს გაიხსნა სრულიად რუსეთის პროფტეხნიკურ სკოლების კონფერენცია. კონფერენცია გახსნა განათლების სახ. კომისრის მოადგილემ ამხ. ხოდოროვსკიმ. მან საგანგებო ყურადღება მიაქცია შინამრეწველობისა და ხელოსნობის განვითარებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხის მეურნეობისათვის.

შემდეგ სასოფლო მეურნეობის საერთო განვითარებაზე ილაპარაკა ამხ. კრუპსკაიამ.

სახ. კავშირის ადმინისტრატორების ყრილობა

მოსკოვი, 17 თებ. 16 თებერვალს გაიხსნა სახ. კავშირის ადმინისტრატორთა ყრილობა. ვრცელი მოხსენება წაიკითხა ფოსტა-ტელეგ. სახ. კომისარმა ამხ. სმირნოვმა. [illegible] მივარდნილ სოფლებში და ამბობს, რომ გლეხობის სახით ჩვენ მივიღეთ 120 მილ. ახალი კლიენტი, რომელსაც არ იცნობდა მეფის რუსეთი.

მომავალი წლისათვის ფოსტა-ტელ. აპარატი სამსახურს გაუწევს დასახლებული ადგილების 55 პროცენტს.

საგანძურის პოვნა

მოსკოვი, 17 თებ. ქერჩიდან. ასსონიროვის სერის მახლობლათ, სოფ. მარფოვკაში გლეხმა ნეშევმა იპოვა ოქროს განძეულობა, რაც არქეოლოგიურ თვალსაზრისით დიდ ინტერესს წარმოადგენს. განძეულობას მიაწერენ ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეს.

ამინდი

მოსკოვი, 17 თებერვ. მთავარმა გეოფიზიკურმა ობსერვატორიამ გამოარკვია ამინდის ცვალებადობა საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილში ზამთრის მეორე ნახევარში.

ზამთრის მეორე ნახევრის მნიშვნელოვან თავისებურობათ უნდა ჩაითვალოს ტემპერატურის მოსალოდნელი სხვადასხვა გვარობა სამხრეთ-აღმოსავლეთის, შავი ზღვის ნაპირების და კასპიის იქით მდებარე ველებზე ერთი მხრივ და საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილის სხვა ადგილებს შორის მეორე მხრივ.

ტემპერატურის ამ სხვადასხვაობას შეუძლია გამოიწვიოს ნაადრევი გაზაფხულის შთაბეჭდილება ჩვენი ქვეყნის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში, სადაც ამავე დროს მოსალოდნელია ხშირი წვიმები.

ვოლგის ზემო და ქვემო ნაწილში მოსალოდნელია ხშირი თოვა. ზამთრის დასრულებას უნდა მოველოდეთ ათი მარტისათვის.

უკრაინა

პროფესორ ტიმოფეევის გარდაცვალება

ხარკოვი, 16 თებერვ. უეცრად გარდაიცვალა ცნობილი პროფესორი ქიმიკოსი ტიმოფეევი, [illegible] და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე.

12 მილიარდი ფუთი ნახშირი

არტემოვსკი, 16 თებერვ. როგორც კალინინის მაღაროების სამმართველო იუწყება, აღმოჩენილია ნახშირის ფენა, რომელიც არ ყოფილა აღნიშნული გეოლოგიურ რუკაზე. ამ ფენაში დაახლოებითი გამოანგარიშებით არის 12 მილიარდი ფუთი ნახშირი.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია ეკატერინოსლავში

ეკატერინოსლავი, 16 თებერვ. კიევიდან ჩამოვიდა ავსტრიის მუშათა დელეგაცია, რომელსაც ზეიმით შეხვდენ სადგურზე ქალაქის პროფორგანიზაციები.

დელეგაცია ეკატერინოსლავში დარჩება 3 დღის.

ნათესების მდგომარეობა

ხარკოვი, 16 თებერვ. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად უკრაინის სხვადასხვა ადგილებში ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. თოვლი მინდვრებში. არათანაბრადაა დადებული. ზოგიერთ ადგილას თოვლი მინდვრებში არათანაბრადაა თოვლი თითქმის არ ფარავს მიწას.

ოსმალეთის მრეწველთა დელეგატები

მოსკოვი, 17 თებერვ. ოსმალეთის მრეწველთა დელეგატები ოდესის გზით ოსმალეთში გაემგზავრენ.

გამგზავრების წინ დელეგატებმა განაცხადეს, რომ ნახულმა, ისინი დაარწმუნა, რომ ქვეყანა განუწყვეტლივ იზრდება.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო ყრილობა

მოსკოვი, 18 თებერვ. 18 თებერვალს მოსკოვიდან ვარშავაში მიემგზავრება გზათა სახ. კომისარიატის დელეგაცია, ამავე კომისარიატის საერთაშორისო საქმეთა რწმუნებულის სვერჩკოვის მეთაურობით პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

იაპონიის და ჩინეთის მუშა ახალგაზრდობის მიწვევა

მოსკოვი, 17 თებერვ. რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკას ბიურომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მოიპატიჟოს საბჭოთა კავშირში იაპონიის და ჩინეთის ახალგაზრდობის დელეგაცია საკავშირო პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრების და შემოქმედების გასაცნობად.

სამუშაო ხელფასით დავალიანების გამო

მოსკოვი, 17 თებერვ. განათლების მუშაკთა კავშირის ცეკამ მთავრობის უმაღლეს ორგანოებში წარსადგენათ შეადგინა წერილობითი მოხსენება განათლების მუშაკთა ხელფასით დავალიანების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის შესახებ.

არსებული ცნობების მიხედვით, განათლების მუშაკთა ხელფასით დავალიანება მთელ რიგ გუბერნიებში არამც თუ არ მოსპობილა, არამედ იზრდება კიდეც.

განათლების მუშაკთა ცეკა ითხოვს ბრძანების გაცემას, რათა ადგილობრივ შესრულებულ იქნეს თავის დროზე დაგზავნილი დირექტივები სამუშაო ხელფასით დავალიანების დაფარვისა და მომავალში სამუშაო ხელფასის თავის დროზე მიცემის შესახებ.

საკავშირო პროფსაბჭოს განმარტება

მოსკოვი, 16 თებერვ. საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ განმარტა, რომ ის უარყოფითად უყურებს კერძო წარმოებებში საერთო მოგებისგან მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდების დაარსებას, თუნდაც ეს კოლექტიური ხელშეკრულებების წესით მოხდეს, რადგან ეს იქნებოდა მუშების და მოსამსახურეების მონაწილეობა კერძო წარმოების მოგებაში და კლასთა ბრძოლას შესცვლიდა კლასთა თანამშრომლობით.

განათლების მუშაკთა სრულიად საქართველოს მეხუთე ყრილობა

მეთორმეტე სხდომა

17 თებერვლის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა აჭარისტანის, აფხაზეთის და საქართველოს განათლების სახ. კომისართა საბოლოო სიტყვები.

ამხ. ქუთათელაძის საბოლოო სიტყვა

აქ აღნიშნული იყო, რომ სწავლა-განათლებისათვის შესაფერისი ნიადაგის მოსამზადებლად აჭარისტანში კომისარიატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ბავშვების აღზრდას სკოლის ასაკამდე. რასაკვირველია ეს უდავო ჭეშმარიტებაა და აჭარისტანის განათლების კომისარიატმაც მიაქცია ამ გარემოებას შესაფერისი ყურადღება. ჩვენ განზრახული გვქონდა, და ეს გეგმითაც იყო გათვალისწინებული, —დაგვეარსებია ხულოში, ქედაში და ქობულეთში საბავშო სახლები. ეს გეგმა სისრულეში არ არის მოყვანილი იმიტომ, რომ შესაფერისი თანხები კომისარიატს არ მოეპოვება ამ საქმისათვის. მოგეხსენებათ, რომ ასეთი დაწესებულებების შენახვა საკმაოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს. რაც შეეხება საბავშო ბაღებს, უნდა ითქვას, რომ აჭარისტანის პირობებში მათი არსებობისათვის შესაფერისი პირობები არ არის. საბავშო ბაღებში, როგორც ვიცით, მცირე წლოვანი ბავშვები იგზავნებიან, ხოლო აჭარისტანის ფუხარა ხალხი ამ ბავშვებს არ გზავნის ბაღებში. სასკოლო ასაკამდე ბავშვთა შორის მუშაობა ნაწილობრივ შემდეგნაირად ტარდება: ბათუმში დაარსებული არის საბავშო სახლი, სადაც თავმოყრილია 130 ბავში აჭარისტანის სხვადასხვა მაზრებიდან. აქ, ამ სახლში ჩვენ ვამზადებთ ბავშებს შემდეგი საფეხურის სკოლებისათვის (ტაში).

ამხ. ჭოჭუას საბოლოო სიტყვა

აფხაზეთში, როგორც მოგახსენეთ, ეროვნული სიჭრელეა. ამიტომ ჩვენ გვიხდება მოსახლეობის ყველა ფენებისათვის გასაგებ ენაზე ე. ი. რუსულზე წარმოება საქმეებისა. რასაკვირველია, ეს ზომა დროებითია. აფხაზეთის კონსტიტუციის თანახმად რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაკანონებულია სამი სახელმწიფო ენა: აფხაზური, ქართული და რუსული. ჩვენ გვისაყვედურებენ აქ, რომ ვერ შევძელით სკოლებში სასკოლო ასაკის მთელი ახალგაზრდობის ჩათრევა. ამაში ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის, რადგან არსებული სკოლების ქსელი საკმარისი არ არის. ყველაზე მწვავედ სკოლების ნაკლებობა აფხაზურ სოფლებშია. როგორც მოგახსენებთ, ერთ ხანს მოსახლეობა ძალიან უნდობლად ეკიდებოდა სკოლებს, მაგრამ ახლა არის უკვე ისეთი მაგალითები, როდესაც გლეხები თავის სასოფლო ყრილობებზე ადგენენ: დაიხუროს ეკლესიები და შენობები გადაკეთებულ იქნას სკოლებად. ორიოდე სიტყვა მასწავლებლობის შესახებ. მასწავლებლების სიმცირეს განსაკუთრებით მწვავედ აფხაზური სკოლები განიცდიან. სკოლები ამ მხრივ უზრუნველყოფილი არიან, თუმცა მასწავლებელთა არსებულ კადრის კვალიფიკაცია არ არის დამაკმაყოფილებელი.

დასასრულ ამხანაგმა აღნიშნა, რომ განათლების კომისარიატის მიერ შედგენილ შრომის სკოლების პროგრამაში არის დეფექტები, რომლებიც გამოსწორებული იქნებიან.

მომავალში ჩვენ საქართველოს განათლების კომისარიატთან მჭიდრო კავშირში და ურთიერთობაში ვიქნებით და შეერთებული ძალებით ვეცდებით შესაფერის სიმაღლეზე ავიყვანოთ აფხაზეთის მშრომელი მოსახლეობის და განსაკუთრებით ახალგაზრდობის სწავლა-განვითარების საქმე. (ტაში).

ამხ. დ. კანდელაკის საბოლოო სიტყვა

ორატორმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ კამათი არსებითად მოხსენების გარშემო არ სწარმოებდა.

აქ გამოითქვა აზრი, თითქოს განათლების ორგანოები, და კერძოდ თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილება, ზედმეტ ყურადღებას აქცევს სწავლა-განათლების საქმეს ეროვნულ უმცირესობათა შორის. მა[illegible]რები, რომლებიც კომისარიატის განკარგულებაში არის და რომელთა საშუალებით მტკიცდება, რომ, როგორც განათლების კომისარიატის, ისე განათლების განყოფილებათა პოლიტიკა ეროვნულ უმცირესობათა სწავლა-განათლების დარგში სავსებით სწორეა და სრულიად შეეფერება საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებს. აქ სახელმწიფო გამომცემლობასაც უსაყვედურეს, რომ ჩვენ ვერ ვაქცევთ სათანადო ყურადღებას კლასიკოსებს და სხ. უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ საბჭოთა ხელისუფლება და კერძოდ განათლების კომისარიატი საკმაოდ აფასებს ჩვენ კლასიკოსებს და ვფიქრობ, რომ დამცველები მათ აქ არ ესაჭიროებათ. სწორედ საბჭოთა ხელისუფლებაა ის ხელისუფლება, რომელმაც მკიცეთ მოჰკიდა ხელი საქართველოს კლასიკოსების ნაწარმოებთა გამოცემას. რაც შეეხება რჩეულ ნაწერებს, ისინი სკოლებისათვის არიან გამოცემული და ვერც ერთი პედაგოგი ვერ იტყვის, რომ ამ სკოლებისათვის უსათუოდ სრული კრებულის გამოცემა არის საჭირო. რაც შეეხება ილიას ნაწერების გამოცემას, განათლების კომისარიატმა და მთავრობამ იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწია ქართულ კოოპერატიულ გამომცემლობისათვის, ნება მისცა მათ აეღოთ თავის თავზე ეს საქმე. ქართული ენის სწავლების შესახებ ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვსთქვათ: ქართული ენის სწავლება საქართველოს ყველა სასწავლებლებში სავალდებულოა. მას ყველგან ასწავლიან, მხოლოდ თუ რიგიანად ვერ არის დაყენებული ეს საქმე, ამაში ბრალი ყველაზე უწინ თვით ამ საგნის მასწავლებლებს მიუძღვით. ამ საკითხთან დაკავშირებით მე ხაზი უნდა გაუსვა კიდევ ერთ გარემოებას. საქმე ის არის, რომ ჩვენს სკოლებში რუსული ენის სწავლება ისე ცუდად არის დაყენებული, რომ შესაძლოა ახლო მომავალში ჩვენმა ახალგაზრდობამ სრულებით არ იცოდეს ეს ენა. რასაკვირველია, ეს არ არის მიზანშეწონილი. [illegible]კლის გამოსწორებას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. რაც შეეხება სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას, უნდა ითქვას შემდეგი: განათლების კომისარიატი სახელმწ. უნივერსიტეტს ყოველთვიურად აძლევს დაახლოებით 6 ათას მანეთამდე. ეს დაახლოვებით ორჯერ მეტია ვიდრე ის თანხა, რომელსაც ბაქოს უნივერსიტეტი იღებს აზერბეიჯანის მთავრობისაგან, მიუხედავად იმისა, რომ იქ უნივერსიტეტს ფაკულტეტები მეტი აქვს, ვიდრე ჩვენსას. ამ 6 ათასი მანეთს ჩვენ ვაძლევდით უნივერსიტეტს და მისი შეხედულების თანახმად იხარჯებოდა ეს თანხა. რასაკვირველია, ამ თანხის ნაწილი გამომცემლობასაც უნდა მოხმარებოდა და თუ არ ხმარებოდა, კომისარიატი შეეცდება, რომ მომავალში მოხმარდეს.

ორატორები აღნიშნავდენ აგრეთვე, რომ სუსტი იყო კომისარიატის ხელმძღვანელობა. ეს მართალია და ჩვენ შევეცდებით მომავალში გამოვასწოროთ ეს ნაკლი.

დასასრულ მე მოგიწოდებთ, რომ არა მარტო ყრილობაზე, არამედ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაშიაც მიიღოთ მხურვალე მონაწილეობა ახალი პედაგოგიური აზრის გამოჭედვაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ურთიერთ გაგებისა და ნდობის ნიადაგზე ჩვენ დავაყენებთ სწავლა-განათლების საქმეს საბჭოთა საქართველოში იმ დონეზე, რომელზედაც ის უნდა იდგეს. (ტაში).

საბოლოო სიტყვების შემდეგ, ყრილობამ გამოჰყო კომისიები რეზოლიუციების გამოსამუშავებლად მოხსენებათა გარშემო. შემდეგ პლენარული სხდომა შესწყდა და დაიწყო სექციების მუშაობა.

მეცამეტე სხდომა

სამანდატო კომისიის მოხსენება

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ყრილობაზე დაესწრო 188 დელეგატი.

მათი ეროვნული შემადგენლობა ასეთია: ქართველი 147 (მათ შორის 15 ქალი), სომეხი 20 (4 ქალი), რუსი 12. (4 ქალი) და სხვადასხვა ეროვნების 9 დელეგატი.

განათლების მიხედვით დელეგატები შემდეგნაირათ ნაწილდებიან: შინაური განათლებით—3, დაბალი განათლებით—23, საშუალო განათლებით—103, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით—3, დამთავრებული უმაღლესი განათლებით—53, სპეციალურ სასწავლებელ დამთავრებულნი—3.

პროფესიის მიხედვით შემდეგი სურათია: მასწავლებლები—147, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკნი—5, კანცელიარიის მოსამსახურე—5, ტეხნიკური მოსამსახურე—5. პარტ. და პროფმუშაკები—19, დანარჩენი—7.

დელეგატთა პარტიული შემადგენლობა: კომუნისტი—72, კომკავშირელი—5, უპარტიო—111.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები; კავშირის ცეკას, ც. გამგეობის, განათლების კომისრების მოხსენებათა შესახებ. დასასრულ მოხდა კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. დახურვის წინ ყრილობას მოკლე სიტყვით მიმართა ამხ. გ. კვიცარიძემ.

კავშირის ორგანოების შემადგენლობა

ცენტრალური გამგეობა

ცენტრალურ გამგეობაში ყრილობამ ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები: 1) კვიცარიძე, 2) ფანცულაია, 3) გეგენავა, 4) ვალია ბახტაძე, 5) ხუროძე 6) პოგოსიანი, 7) ნიკო კიკნაძე (ბეჭდვ. სიტყვის მუშაკთა სექცია) 8) პროფ. ნუცუბიძე, 9) მ. ასუნდუკიანცი, 10) ტროფიმე ხუნდაძე, 11) პროცენკო, 12) ნაგიმინოვი, 13) როსტომიანი, 14) ნინა ძიძიგური, 15) ცინცაძე, 16) ასრიბეკოვი, 17) მესხიშვილი, 18) ფრანგიშვილი, 19) ქეიშვილი, 20) ღლონტი, 21) შაშიკოლლი (აჭარისტანი), 22) ბასარია, (აფხაზეთი) 23) ბასიევი (ს. ოსეთი), 24) ვართაგავა, 25) ჯიბლაძე, 26) ნადარეიშვილი, 27) [illegible]ლავა, 28) კაკაბაძე, 29) ნად. მირიანაშვილი. 30) პანიცკიდი, 31) ხალილოვი, 32) დარპინიანი, 33) კბილაძე, 34) მესროპოვი, 35) გულისაშვილი.

კანდიდატები

1) ტორჩინავა, (აჭარა) 2) მამულოვი, (აფხაზეთი) 3) ღლონტი, 4) თაგავაძე, 5) ქავთარაძე, 6) ცხაკაია, 7) გრ. ნუცუბიძე, 8) დევდარიანი, 9) შალვა ნუცუბიძე (არმია) 10) ვარლ. ბახტაძე, 16) მ. კორსაკ.

სარევიზიო კომისია

ნერსესოვი, გეგეჭკორი, იოჩიძე, სანიკიძე, ჯანეტა კოტრიკიძე.

კანდიდატები

გვილისიანი, სოხოვი

ამხ. კვიცარიძის სიტყვა

ამხანაგებო, საკმაოთ ხანგრძლივი და საქმიანი მუშაობის შემდეგ ჩვენ ვათავებთ ყრილობას. ეს ყრილობა სამუდამოთ დარჩება თვითეული დელეგატის მეხსიერებაში, რადგან თავისი მუშაობის სიცხოველით, აქტივობით და საქმიანობით ის განსაკუთრებულათ სდგას ჩვენი კავშირის ყრილობათა შორის. ის კამათი, ის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც გაიმართა აქ, ამტკიცებს იმას, რომ მასწავლებლობას სავსებით ესმის ჩვენი ქვეყნის ვითარება და გათვალისწინებული აქვს ის პირობები, რომელშიაც უხდება ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების შენება მშრომელ კლასებს.

ეს ყრილობა ამტკიცებს იმას, რომ მასწავლებლობა, მიუხედავათ იმისა, რომ ის სავსებით უზრუნველყოფილი არ არის ნითიერად, თავდადებულ მუშაობას ეწევა და მომავალშიაც იმუშავებს საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული. ის დარწმუნებულია იმაში, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე საბჭოთა ხელისუფლება და ის პარტია, რომელიც ჩვენს აღმშენებლობას ხელმძღვანელობს, კიდევ უფრო გააუმჯობესებენ სახალხო მასწავლებლის ნივთიერ პირობებს და ამით შეასრულებს ლენინის ანდერძს.

ჩვენმა ყრილობამ გამოიჩინა უმაგალითო აქტივობა. ის საქმიანი კრიტიკა, რომელიც მოვისმინეთ აქ, მხედველობაში იქნება მიღებული.

ჩვენ ვერ შევიცნობთ თავისებურობას ამ ყრილობისას, თუ არ გადავავლებთ თვალი ახლო წარსულს, როდესაც ჩვენს ყრილობებზე წითელი დროშა სამფეროვანს ებრძოდა, როდესაც ოპოზიციას გამოსავალ წერტილად ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების უარყოფა.

დღეს ასეთის ნიშან-წყალიც აღარ არის. დღეს საქმიანი ოპოზიციის წარმომადგენლები აღშფოთებაში მოდიან თუ ვინმემ მათ შესწამა საბჭოთა ხელისუფლებისადმი არა ლოიალური დამოკიდებულება ან განწყობილება. მე არ მგონია, რომ ამ ყრილობაზე თუნდაც ერთი მოიპოვოდეს ისეთი, რომელიც გულის სიღრმეში ატარებდეს რწმენას, რომ საბჭოთა საქართველოს ნანგრევებზე შეიძლებოდეს ჩვენი ქვეყნის ბედნიერების აგება. განათლების მუშაკთა არმია გულწრფელათ თანამშრომლობს საბჭოთა ხელისუფლებასთან. იდეური კრიზისიდან ჩვენი ინტელიგენცია გამოდის განსაღებული და ლოიალური გრძნობით ანთებული ოქტომბრის ხელისუფლების მიმართ. ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის ეს საჭიროა. საჭიროა ეს ჩვენი ამაღლებისათვის. საქართველოს განათლების მუშაკთა მეხუთე ყრილობა ტკბილ მოგონებათ დაგვრჩება. აქ გამომჟღავნდა ის ღრმა გარდატეხა, რომელიც განიცადა ჩვენმა ინტელიგენციამ.

გაუმარჯოს საქართველოს განათლების მუშაკთა არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! (ტაში.)

[illegible] ც. გამგეობის მუშაობის შესახებ

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკანური მეხუთე ყრილობა, მოისმინა რა ამხანაგ გეგენავას მოხსენება ამავე კავშირის ც. გამგეობის მუშაობის შესახებ, დამაკმაყოფილებლად აღიარებს მას.

ახალ. ც. გამგეობას ყრილობა ავალებს შემდეგს:

1) გაძლიერებულ იქნას მუშაობა საკავშირო მასის ურთიერთ შესაკავშირებლათ და მათ ფართოდ ჩასაბმელათ კულტურულ-განმანათლებელ და საზოგადოებრივ მუშაობაში, ხშირი საერთო კრებების მოწვევით. საკავშირო საკითხების გარჩევით და სხვა.

2) ვინაიდან განათლების მუშაკთა, —განსაკუთრებით კი პირველი და მეორე საფეხურის შრომის სკოლების როგორც პედაგოგიური, ისე ტეხნიკური პერსონალის,—მატერიალური მდგომარეობა ხელფასის მხრივ ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი, მომავალ გამგეობის საქმიანობაში მთავარი ყურადღება მიექცეს აღნიშნულ პერსონალის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

(რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად.)

გლეხკომები და მასწავლებლობა

(განათლების მუშაკთა ყრილობის გამო.)

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის მეხუთე ყრილობა დასრულდა. დელეგატები დაბრუნდებიან უკან ყრილობის მუშაობის მასწავლებელთა მასისათვის გასაცნობათ. მრავალ საჭირბოროტო საკითხებს შორის ამ მოხსენებაში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს გლეხკომების საკითხსაც.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უაღრეს ყურადღებას აქცევენ გლეხკომების მუშაობას. გლეხკომი გლეხების მასიური ორგანიზაციაა, რომელიც თვითმოქმედებისა და თაოსნობის ნიადაგზე ხელს უწყობს ჩვენი სოფლის აყვავებისა და დაწინაურების შესახებ.

სხვა დიდ და მრავალფეროვან მუშაობასთან ერთად, გლეხკომები ცხოველ მონაწილეობას იღებენ სკოლების, სამკითხველოების, საბავშვო სახლების, და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების მოწყობის საქმეში. ალაგ-ალაგ გლეხკომები თავის ხარჯზე ინახავენ სკოლებს, ეხმარებიან მოსწავლე ახალგაზრდობას სამოსწავლო ნივთებით, ტანსაცმელით, მასწავლებლებს აძლევენ დამატებით ხელფასს და სხვა. ასეთ სასარგებლო საქმეს აკეთებენ გლეხკომები.

საჭიროა ამ მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება და განვითარება—ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გლეხკომების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ თვით სოფლის მასწავლებლები.

გლეხკომებში ჩვენ არ მოგვეპოვებიან მომზადებული პირები, ხშირათ წერა კითხვის მცოდნეც კი, რის გამო მათ მუშაობაში ადგილი აქვს ბევრ გაუგებრობას და შეცდომებს. **მასწავლებლობა უნდა დაგვეხმაროს ამ შეცდომების გამოსწორებაში და გლეხკომების მუშაობის გაჯანსაღებაში—ამით გლეხკომის საქმეც წინ წაიწევს და განათლების საქმე გაუმჯობესდება.** გლეხკომებისა და მასწავლებლების შეერთებული ძალებით ჩვენ მკვიდრ საძირკველს ჩაუყრით განახლებულ კულტურულ სოფელს.

ჩვენ მოუწოდებთ სოფლის მასწავლებლობას მხურვალე მონაწილეობა მიიღონ მათ გლეხკომების მუშაობაში.

გაუმარჯოს გლეხკომებისა და მასწავლებლების ძმურ და ხელიხელ ჩაკიდებულ მუშაობას.

ქ. ხომერიკი.

უკანასკნელი ცნობები

ყველაზე მშფოთვარე პარლამენტი ევროპაში

ბერლინი, 16 თებერვ. ჩეხო-სლოვაკიის სეიმის უკანასკნელი სხდომა მეტად მშფოთვარე ხასიათს ატარებდა. ოპოზიციამ, რომელიც საყვირებით და სასტვენებით მოქმედებდა, მოახერხა იმ ორატორების ჩაჩუმება, რომელნიც ცდილობდენ თავისი სიტყვებით ხმაურება დაეჩრდილათ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ სეიმი ყველაზე უფრო დაუცხრომელი პარლამენტია მთელს ევროპაში.

გერმანიის პროლეტარიატს სიფხიზლე მართებს

ბერლინი, 16 თებ. სოციალ-დემოკრატების ბელადები განაგრძობენ ფარულ მოლაპარაკებას ბურჟუაზიულ პარტიებთან ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების ანაზღაურების საკითხის შესახებ. მემარჯვენე სოციალისტმა ლანდსბერგმა განაცხადა, რომ რეიხსტაგის იურიდიული კომისიისათვის საყოველთაო კენჭის ყრა ზედმეტი იქნება, თუ მოხდა სოციალ-დემოკრატები შეუთანხმდენ და ბურჟუაზიულ პარტიებს.

პროვინციალურ სოციალ-დემოკრატიული გაზეთების ნაწილსაც სასტიკი პოზიცია უჭირავს სოციალ-დემოკრატიის ბელადების ორჭოფობის მიმართ.

კომუნისტური გაზ. „როტე ფანე" მოუწოდებს პროლეტარიატს მეტი სიფხიზლე გამოიჩინოს ამ საკითხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიური ცხოვრება

ჩვენი საგარეო ვაჭრობა

ექსპორტის განვითარებისათვის

ამ ჟამად ყველა სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება მიპყრობილია ექსპორტის გაძლიერებისაკენ. იმ საქონელში, რომელიც ამიერ - კავკასიას გააქვს საბჭოთა კავშირში და უცხოეთში, მთავარი ადგილი უჭირავს სიმინდს, სატყეო მასალას, თამბაქოს, მატყლს, აბრეშუმის პარკს და სხვა.

მიმდინარე წლის საექსპორტო გეგმის შედგენის დროს განზრახული იყო საზღვარგარეთ გაგზავნილიყო მილიონ ნახევარი ფუთი სიმინდი. მაგრამ ახლა მდგომარეობა იმდენათ შეიცვალა, რომ სიმინდის ასეთი რაოდენობით გატანა შეუძლებელი ხდება. გასული წლის ოქტომბერში სიმინდი ფასობდა 70—80 კაპ. ფუთი, ახლა კი ღირს 1 მან. 20 კაპ., რის გამო მისი გატანა საზღვარგარეთ არ არის ხელსაყრელი. ფასების ზრდა სიმინდზე გამოწვეულია მოუსავლიანობით ზოგიერთ რაიონებში; ამის გამო ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამართველო იძულებულია შეამციროს სიმინდის ექსპორტი.

რაც შეეხება სატყეო მასალას, მისი გატანის გეგმა გადამეტებით იქნება შესრულებული. ასეთივე მდგომარეობაა თამბაქოს გატანის მხრივაც.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ხალიჩების ექსპორტს, რომელიც მთლიანად ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ხელშია. მიმდინარე საოპერაციო წლის პირველი კვარტალის განმავლობაში საზღვარგარეთ გატანილია 600.000 მანეთის ხალიჩები.

ბეწვეულის დამზადება სუსტათ მიმდინარეობს, რის გამო ის გატანილი ვერ იქნება განზრახული რაოდენობით. სხვათა შორის, წელს განახლებული იქნება ძირტკბილას გატანა.

მთელი საექსპორტო გეგმა, ნავთის და შავი-ქვის გამოკლებით, შედგენილია 17.000.000 მანეთის რაოდენობით; სულ კი გეგმა გულისხმობს 75 მილიონ მანეთის საქონლის გატანას. შარშანდელი გეგმით კი გათვალისწინებული იყო მხოლოდ 50.000.000 მანეთის საქონლის გატანა.

მიუხედავათ ზემოაღნიშნული დაბრკოლებებისა, მიმდინარე წლის საექსპორტო გეგმა მაინც გადამეტებით იქნება შესრულებული. საჭირო ხდება გეგმის გაფართოვება, ამისათვის მასში შეტანილი იქნება ჩვენი ნედლეულის მეორე ხარისხოვანი სახეები, როგორც არის ხილი, ღვინო, მინერალური წყლები შინამრეწველობის ნაწარმოები, კვერცხები და სხვა. ამ პროდუქტების დამზადებას უკვე აწარმოებენ ჩვენი სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები.

საექსპორტო გეგმის უმტკივნეულოდ განხორციელების მიზნით, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ გამომუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს გეგმის თავის დროზე და სრულად შესრულებას.

შემნახველი კასები ამიერ-კავკასიაში

მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის ამიერ - კავკასიაში ითვლებოდა 275 სახელმწიფო შემნახველი კასა, რომელთა ანაბარები უდრიდა 511.881 მანეთს. გასული წლის პირველ ოქტომბერთან შედარებით კასების რიცხვი გაიზარდა 30 პროც.-ით, თანხების რაოდენობა კი 28,9 პროცენტით.

კასების და ანაბარების რაოდენობა ცალკე რესპუბლიკებს შორის ნაწილდება შემდეგნაირათ: პირველი იანვრისათვის საქართველოში იყო 155 კასა 180.963 მანეთის ანაბარებით, აზერბეიჯანში — 82 კასა—312.276 მან. —[illegible] 18.642 მანეთის ანაბარებით.

აქედან სჩანს, რომ შემნახველი კასების მუშაობა ყველაზე უფრო სუსტათ განვითარებულია სომხეთში; აქ ანაბარების საშუალო თანხა ერთ კასაში უდრის მხოლოდ 565 მანეთს.

საქართველოში მართალია კასების რიცხვი საკმაოა, მაგრამ ანაბარების საერთო თანხის მხრივ საქართველო ჩამორჩება აზერბეიჯანს; საშუალოდ ერთ კასაზე საქართველოში მოდის 1167 მანეთი, აზერბეიჯანში კი—3808 მანეთი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საოპერაციო წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში შემნახველი საქმის განვითარების ტემპის მხრივ ყველაზე წინ მიდის სომხეთი. კასების რიცხვი სომხეთში არ გაზრდილა, მაგრამ ფულის შემნახველთა რიცხვი გაიზრდა 54 პროც.-ით, ანაბარების თანხა კი თითქმის 100 პროც.-ით.

აზერბეიჯანში შემნახველთა რიცხვი გაიზარდა 17,8 პროც., ანაბარების თანხები კი — 29,4 პროც.-ით; საქართველოში შემნახველთა რიცხვი გაიზარდა მხოლოდ 6,5 პროც.-ით, ანაბარების თანხები კი — 22,6 პროც.-ით.

შემნახველი კასების მუშაობა ამიერ-კავკასიაში დაიწყო ორი წლის წინათ; მათი მუშაობის გაცხოველება დაიწყო მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, როდესაც ჩვენი საფინანსო პოლიტიკის ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამიერ - კავკასიის ფინსახკომმა.

ჩვენი მკითხველებისათვის ინტერეს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ აქ ცნობები შემნახველი კასების რაოდენობის შესახებ მთელს საბჭოთა კავშირში. საკავშირო მასშტაბით შემნახველი კასების რიცხვი უდრის 11.000, შემნახველების რიცხვი—900.000, ანაბარების თანხა კი 46.000.000 მანეთს. კასების საერთო რიცხვში ამიერ - კავკასიის კასების საერთო რაოდენობა შეადგენს მხოლოდ 2,5 პროც., ანაბარების თანხები —1,1 პროც. შემნახველთა რიცხვი კი დაახლოვებით 1 პროცენტს.

ჩვენი კასების შედარებით სუსტი მუშაობა აიხსნება იმით, რომ ამიერ-კავკასიის მოსახლეობის ფართო მასებს, განსაკუთრებით გლეხობას, არ ესმის კასების მნიშვნელობა. ამიტომ ა.-კ. ფინსახკომი ამ ჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კასების პოპულიარიზაციას; ამ მიზნით ამიერ - კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში ტარდება სათანადო კამპანიები, იკითხება მოხსენებები და სხვა.

სამთო-ქიმიური მრეწველობა

ა. წ. 7 თებერვლის სხდომაზე ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა სამთო-ქიმიური კომბინატის მოქმედების მიმოხილვა. მოხსენება გააკეთა ამხ. ელბაქიძემ. მოხსენება შეეხებოდა კომბინატის ფაქტიურ მოქმედების დროს, ე. ი. 1925 წლ. აპრილიდან ოქტომბრამდე (შვიდ თვეს).

მთავარი ადგილი კომბინატის მრეწველობაში უკავია ბარიტს. კომბინატის გამგებლობაში იმყოფება: 1) ქარხანა „შრომა“, 2) მუხროვანის ქარხანა (გლაუბერის მარილი), 3) ქსანის ქარხანა (მარსელის კრამიტი), 4) თბილისის კერამიული ქარხანა, 5) ქუთაისის კირის ქარხანა და 6) სურინჯის ქარხანა ძირულაში.

ქუთაისის განყოფილება ამზადებს ბარიტს, საღებავს და მადანს. თიხის ქარხანაში მზადდება ჭურჭლეულობა, ამ ჟამად ქარხანა უმოქმედოა.

ქუთაისის ბარიტის ქარხანაში დამზადებული იყო 255.000 ფ. ბარიტი, ე. ი. გაცილებით მეტი, ვიდრე გასულ წლებში. მთელი მოგება ამ დარგში უდრის 46.125 მან. 48 კაპ.

„შრომის“ ქარხნის მოგება უდრის 2.274 მან. 11 კაპ., მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა ხანდახან ჩერდებოდა და ქარხანასაც სჭირდებოდა რემონტი და სხვ.

მუხროვანის გლაუბერის მარილის ქარხნის მოგება უდრის 2.830 მან. 43 კაპ.

ქუთაისის ქარხნის მოგება იყო 7.489 მან. 80 კაპ. კრამიტის ქარხანამ, რომელიც ქალ. აღმასკომს გადაეცა, მისცა კომბინატს მოგება 3.689 მან. 85 კაპ. რაოდენობით.

გაჯის მრეწველობის მოგება უდრის 781 მან. 81 კაპ.

სულ მთელი მოგება უდრის 63.250 მან. 09 კაპ.

ქსანის და კერამიული ქარხნების დეფიციტი უდრის 14.201 მან. 18 კ. ამრიგათ წმინდა მოგება უდრის 49.049 მან. 81 კაპ. ამ მოგებაში შედის 15.848 მან. 18 კ., რომელიც დახარჯულია გამგეობის შესანახად.

ძირითადი კაპიტალი უდრის 243.101 მან. 48 კაპ.

კომბინატს მიღებული აქვს საქ. სახკომსაბჭოსაგან 10.000 მან. მთელ წარმოებაში მუშაობს 800 მუშა, უმთავრესად გლეხობა.

ნაწარმოების რეალიზაციისათვის კარგი პირობებია შექმნილი, განსაკუთრებით ბარიტისათვის. ჩვენი ბარიტის ქიმიური ღირსება საუკეთესოა, მაგალითად ჩვენს ბარიტში არის გოგირდ-მჟავებარის 99 %.

დასავლეთ საქართველოში ჩვენ გვაქვს ბარიტის 15 უბანი 45 ბუდობით. აზერბეიჯანში ორი ბუდობია მხოლოდ.

ბარიტის წისქვილის მოსაწყობად გადადებულია 135.000 მან. მხოლოდ ადგილი ჯერჯერობით არ არის არჩეული.

ამ ჟამად სწარმოებს „შრომის“ ქარხნის კაპიტალური გადაკეთება.

ქიმიური კომბინატის მიერ შედგენილია გეოლოგიური ქარტა, რომელიც მოგვცემს საშუალებას გამოვარკვიოთ თიხის მარაგი საქართველოში. ამისდამიხედვით შესაძლებელი გახდება ახალი ღუმელის აშენების საკითხის მოგვარება. მუხროვანის გლაუბერის მარილის ქარხანა ამუშავებს 80.000 ფ. გლ. მარ. მთელი მარაგი ნავარაუდევია 8 მილ. ფუთამდე. მიღებულია ზომები აზამბურგის საბუდოების დასაზვერავად და გლაუბერის მარილის მარაგის გამოსარკვევად. გოგირდმჟავის წარმოების მოსაგვარებლად შედგენილია სათანადო გეგმა.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის განკარგულებით ხდებოდა საინფუზორო მიწების დაზვერვა ახალციხის მაზრაში. ხსენებულ საკითხის შესახებ შედგენილია ვრცელი მოხსენება ინჟ. გაბუნიას მიერ. ჯერჯერობით სწარმოებს ტექნიკური დამუშავება. მხოლოდ ბაზრის მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ შესაძლებელი გახდება პროდუქციის გატანა ბაზარზე. პარალელურად სწარმოებს ქიმიური დამუშავებაც. კომბინატს შედგენილი აქვს ინფუზორიატის ტექნიკური ექსპლოატაციის ხარჯთაღრიცხვა 184.000 მან. რაოდენობით. ნავარაუდევია 200.000 ფ. ინფუზორიატის დამუშავება. ინჟ. გაბუნიას აზრით პირველი ხარისხის ინფუზორიატის მარაგი უდრის 115 მილ. ფ. მეორე ხარისხის 60 მილ. ფ. რუსეთის ბაზრის მოთხოვნილება უდრის 400.000 ფ. წელიწადში. ინფუზორიატი აღმოჩენილია აგრეთვე რიონის ახლოს, იგი თავის ღირსებით შესაძლებელია გამოდგეს მხოლოდ, როგორც საალმშენებლო მასალა.

[illegible] დუშეთის, თელავის და თეთრი წყაროს რაიონებში. ამ დარგში შესაძლებელია საქმის გაფართოება. რუსეთის ბაზრის მოთხოვნილება უდრის 800 ქვას. დიდია მოთხოვნილება საერთოდ ლიტოგრაფიულ ქვაზე, რადგან ქვების მარაგი ილევა საზღვარგარედ. სამთო-ქიმიური კომბინატის გამგეობამ გადასწყვიტა გადასდოს მუშაობის გასაცხოველებლად 20.000 მან.

კომბინატის საპერსპექტივო გეგმაში შედის აგრეთვე ბითუმის და ბითუმის ფხვნილის დამუშავება ასფალტის და ასფალტის ლაქის წარმოებისათვის. ამ დარგში მუშაობს ჯერჯერობით მხოლოდ ინჟ. გაბუნია. ზაფხულის დასაწყისში დაიწყება ნატანების საბუდოების გამოკვლევა.

სამთო-ქიმიური კომბინატი აწარმოებდა პირველ ხანებში უმთავრესად კვლევა-ძიებას. მომავალში დაიწყება მისი სამეურნეო მუშაობის გაცხოველება.

შინამრეწველობა

ხალიჩების დამზადება და გასაღება

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სავაჭრო საპაიო საზოგადოების დასამზადებელი ოპერაციების გაფართოებამ დიდი გამოცოცხლება გამოიწვია ხალიჩის წარმოებაში. უკანასკნელ პარტიებში სჭარბობს ახლად დამზადებული ხალიჩები. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სავაჭრო საპაიო საზოგადოებამ მიიღო ზომები უზბეკისტანის და თურქმენისტანის რესპუბლიკებში ხალიჩების დამზადების და ექსპორტის საქმის განსავითარებლად ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებთან სათანადო ხელშეკრულებების დადების გზით. ამიერ-კავკასიაში მიღებულია ზომები ხალიჩების დამზადებისათვის ხელის შესაწყობათ (საჭირო მასალების მიწოდება შინა მრეწველთათვის), რამაც უნდა გამოიწვიოს ხალიჩის დამზადების გადიდება.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კერძო კაპიტალის წინააღმდეგ, რომელიც ღებულობდა ყოველგვარ ზომებს, რათა დაემარცხებია ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სავაჭრო საპაიო საზოგადოება უცხოეთის ბაზარზე, უკანასკნელმა ფართედ განავითარა საშინაო დასამზადებელი ოპერაციები, დაიპყრო მთელი შინაური ბაზარი და მაგრად მოიკიდა ფეხი ხალიჩის უმთავრეს ბაზარზე—სტამბოლში. კავკასიის ხალიჩებზე მოთხოვნილება მტკიცეა. გეგმიანმა გატანამ და სწორმა დახარისხებამ ხელი შეუწყო ჩვენს ხალიჩებზე მოთხოვნილების ზრდას.

ა.-კ. უმაღლესი სამეურნეო საბჭო

ა.-კ. მთავრობის დეკრეტი ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაარსების შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაედება ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტის უკანასკნელი სესიის დადგენილება, გამოქვეყნდება ა.წ. მარტში.

ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო იქნება მომწესრიგებელი და გეგმების შემმუშავებელი ორგანო. ამასთანავე განზრახულია ამ ორგანოში შევიდენ ყველა განყოფილებები რესპუბლიკანურ სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოების აპარატებთან შეფარდებით. შესაძლოა, რომ რესპუბლიკანურ სახ. მ. [illegible]ნენ საოლქო მრეწველობის ზოგიერთი დარგები, მაგალითად, თამბაქოსი, მარილის, ნავთის.

ამჟამად უკვე სდგება ამ ორგანოს შტატი, რომელიც ახლო მომავალში შეუდგება მუშაობას. იმ გეგმის თანახმად, რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის შემუშავებული და დამტკიცებული სათანადო ორგანოების მიერ, ამიერ-კავკასიის მომავალი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აპარატი უნდა შესდგებოდეს 93 კაცისაგან.

კვერცხების ექსპორტი

საქართველოს კვერცხების ექსპორტი, რომელიც დიდიხნით შეწყვეტილი იყო ომის შემდეგ, განახლებული იქნება ახლო მომავალში.

საექსპორტო კვერცხები მზადდება სამტრედიის რაიონში. ამ რაიონში კვერცხების დამზადებას ხელმძღვანელობენ პირველი საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციები. ახლო მომავალში უცხოეთში გაგზავნილი იქნება რამდენიმე ვაგონი კვერცხი.

ომამდე კვერცხების ექსპორტი სამტრედიის რაიონიდან წლიურად დაახლოვებით 69,000 ფუთს აღწევდა, აქედან დაახლოვებით 55,000 ფუთი იგზავნებოდა ბათომის ნავთსადგურით. კვერცხების ექსპორტი დაიწყო 1900 წელში და პირველად 2 ვაგონს აღწევდა თვიურად, ხოლო შემდეგ ავიდა 10 ვაგონამდე.

თუ რაიმე პირობებმა ხელი არ შეუშალეს, კვერცხების ექსპორტი ატანილი იქნება ომის წინანდელ ნორმამდე. ამ სასოფლო სამეურნეო პროდუქტის ექსპორტს დიდი მნიშვნელობა აქვს შინაური ფრინველების მოშენების განვითარებისათვის.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო ღებულობს ზომებს ხილის, უმთავრესად ვაშლის ექსპორტის გასაძლიერებლად.

მატყლის დამზადება

ა/კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, ა/კ. ყველა რესპუბლიკებში გაზაფხულის და შემოდგომის ნაკრეჭი მატყლის საერთო პროდუქცია 1926 წლისათვის მიაღწევს 150 ათას ფუთს.

ამ რაოდენობით დამზადებული მატყლიდან, 20 ათასი ფუთი მოხმარდება ა/კ. საფეიქრო მრეწველობისა და ადგილობრივი შინა-მრეწველობის საჭიროებას, დანარჩენი მატყლი კი გაიზიდება ა/კ. გარედ—უმთავრესად საბჭოთა კავშირის ბაზარზე.

შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ ყოველ ფუთ ნედლ მატყლზე საშუალო ფასად დაწესებულია 16 მანეთი.

იმ ანგარიშით, თუ ფუთი მატყლის ფასი 16 მანეთი იქნება, მატყლის მთელი მარაგის შესაძენად ა/კ. გარედ გაზიდვის მიზნით,—საჭიროა 1,840,000 მანეთი. თვითოული ფუთი მატყლის დანართი ხარჯები შეადგენს 6 მანეთს. სულ 130 ათას ფუთი მატყლის დანართი ხარჯები უდრის 960 ათას მანეთს.

ამგვარად 1926 წლისათვის გასაზიდი მარაგი მატყლის დასამზადებლად საჭიროა დაახლოვებით 2.520.000 მანეთი.

თანხების გაღებას ა/კ. მატყლის დასამზადებელი კამპანიის ჩასატარებლად კისრულობს სააქციო საზოგადოება „შერსტ“ რომელიც მატყლის დამზადებას აწარმოებდა გ/წ. განმავლობაში.

ამ საკითხის მოსაგვარებლად საზოგადოება „შერსტი“ უკვე მოლაპარაკებას აწარმოებს ადგილობრივ მეცხვარე გლეხების კოოპერატიულ ამხანაგობებთან.

სოფლისათვის საქონლის მიწოდების გეგმა

ამიერ - კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა ა.-კ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატისაგან მიიღო სოფლის მოსახლეობისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების გეგმა, რომელიც დეტალურად არის დამუშავებული.

ამ გეგმის მიხედვით მომხმარებელი სამრეწველო პროდუქტებს მიიღებს მხოლოდ კოოპერაციის ძირითადი ორგანიზაციების საშუალებით. დეპრესიას და საქონლის გაუნაწილებლობას ადგილი არ ექნება.

პირველ ყოვლისა, განზრახულია სოფლის მოსახლეობის მანუფაქტურით დაკმაყოფილება.

სოფლის მოსახლეობის გეგმით თვითეულ სულზე ერთი წლის განმავლობაში გაგზავნილ იქნება 10 მეტრზე მეტი მანუფაქტურა. მოსალოდნელია ლითონის ნაწარმოების საჭიროზე ნაკლები რაოდენობით შეტანა სოფლად, რაც აიხსნება ლითონის ნაწარმოებთა საერთო ნაკლებობით საბჭოთა კავშირის ბაზარზე.

დანარჩენი სამრეწველო საგნებით სოფელი დაკმაყოფილებულ იქნება სავსებით.

1925 — 26 წლის პირველ კვარტალში გამომუშავებული გეგმასთან შეფარდებით გაგზავნილ იყო სოფელში: პური — 123,6 პროცენტი, შაქარი — 60,4 პროცენტი, მანუფაქტურა —124,7 პროც., ასანთი—84,5 პროც., მარილი — 59,4 პროც., და ლითონის ნაწარმოები — 11,2 პროც.

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ სოფლად იგზავნება ლითონის ნაწარმოების გამოკლებით, საქონლის ყველა ჯგუფები საკმაო რაოდენობით, ხოლო პურს და შაქარს კი სოფლის კოოპერატივები ღებულობენ გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტს.

შეუსრულებელი ნორმა დაფარულ იქნება ამ მოკლე ხანში.

ლითონის ბაზარზე

ლითონის შემოტანის შემცირება

გასული წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ბაზარზე შემჩნეული იყო ლითონის და ლითონის ნაწარმოების ნაკლებობა, რაც აიხსნებოდა ამ საქონლის სუსტი შემოზიდვით. შარშანდელი საოპერაციო წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში ლითონები და ლითონის ნაწარმოები შემოტანილი იყო სულ 62,5 პროც. იმ რაოდენობისა, რომელიც ნამდვილად საჭიროა აქაური ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მიმდინარე საოპერაციო წლის დასაწყისში განზრახული იყო ამიერ-კავკასიის მოთხოვნილების სრულიად დაკმაყოფილება. მიმდინარე წლის გეგმის მიხედვით ამიერ-კავკასიაში შემოტანილი უნდა ყოფილიყო 2.038.070 მანეთის ლითონები და ლითონის ნაწარმოები. მაგრამ როგორც სჩანს, ეს გეგმა ვერ იქნება შესრულებული, რადგან ცენტრმა ამიერ-კავკასიაში შემოსატან ლითონის და ლითონის ნაწარმოების რაოდენობა შეამცირა 1.278.070 მანეთამდე; აქედან შემოტანილი იქნება: წმინდა ლითონი—680.000 მანეთის, ლითონის ნაწარმოები 597,070 მანეთის და მანქანების სხვადასხვა ნაწილები 700.000 მანეთის.

მიმდინარე წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში ლითონების და ლითონის ნაწარმოების შემოტანა მეტათ სუსტათ მიმდინარეობდა; იმ დროს, როდესაც პური, მანუფაქტურა და შაქარი გეგმაზე გადამეტებითაა შემოტანილი,—ლითონის შემოტანა, რომლის მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება, თანდათან მცირდება.

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, მიმდინარე წლის პირველი მეოთხედის პირველი ორი თვის განმავლობაში ლითონები და ლითონის ნაწარმოები ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნა გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობის მხოლოდ 211, პროცენტი.

ბეწვეულის დამზადება

ბეწვეულის დამზადებას ამიერ-კავკასიაში აწარმოებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით.

ბეწვეულის დამზადება რიდ დროს და თანხებს მოითხოვს, რადგან დამამზადებელი ორგანიზაციები მას ყიდულობენ კერძო პირებისაგან, რომლებიც თავის მხრივ ყიდულობენ მონადირეებისა და გლეხებისაგან. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ბეწვეულის ყველაზე უფრო მოქნილი მყიდველია კერძო პირი, სახელმწიფო ორგანოები იძულებული არიან ბეწვეული შეიძინონ ამ კერძო პირებისაგან, ამიტომ მისი დამზადება ძვირი ჯდება.

1924—25 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შეგროვილი უნდა ყოფილიყო 400.000 მანეთის ბეწვეული. მაგრამ ბეწვეულის ფასების გადიდებისა და მისი კონტრაბანდული გზით გაზიდვის გამო ამ რაოდენობის დამზადება შეუძლებელი შეიქნა.

ამიერ კავკასიის შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით გასული წლის განმავლობაში დამზადებული იქნა 230.000 მანეთის ბეწვეული. საერთოდ გეგმა შესრულებულია გადამეტებით, მაგრამ ცალკე ბეწვეულის მიმართ გეგმა ვერ არის სრულიად შესრულებული; მაგალითად, განზრახული იყო 25.000 მელას ტყავის დამზადება, ამ რაოდენობიდან კი დამზადებულია მხოლოდ 18.242 ცალი.

ამ ჟამად გამომუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები ბეწვიანი მხეცების დასაცავად; ამ ღონისძიებების გატარების შემდეგ ბეწვეულის დამზადება საგრძნობლად გაიზრდება.

ბეწვეულის დამზადების განვითარების მიზნით, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გააუქმა მტკიცე ფასები ბეწვეულზე, რომლებიც ხელს უშლიდა დამზადების საქმეს.

ამიერ-კავკასიაში დამზადებული ბეწვეული იგზავნება საზღვარ-გარეთ, უმთავრესად ინგლისში, გერმანიაში და ამერიკაში, ნაწილი კი საღდება ადგილობრივ ბაზარზე.

საბჭოთა არჩევნები

არჩევნები ცხუნკურის თემში

ქუთაისი, 17 თებ. დამთავრდა საბჭოს არჩევნები ქუთაისის მაზრის ცხუნკურის თემში. 3.211 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 2.194 კაცი. საბჭოში არჩეულია 67 კაცი, აქედან 6 ქალი. არჩეულია 12 კომუნისტი, 6 კანდიდატი და 3 კომკავშირელი.

საარჩევნო კამპანია გურიაში

ოზურგეთი, 17 თებ. გურია დაყოფილია 51 საარჩევნო უბნათ. ყოველ უბანს ხელმძღვანელობს ერთი პასუხისმგებელი ამხანაგი. დამთავრებულია არჩევნების ტეხნიკური მომზადება. ყველა უბნებს დაეგზავნათ საანკეტო ბარათები. მნიშვნელოვანი თემები: შემოქმედის დვაბზუს, მახვის, ხევის, აკეთის, ჩოხატაურის, ნიგოითის, ჩიბათის, ჯურუყვეთის და სხვ. შემავალ სოფლების ერთი მეორისგან დაშორების გამო, დაყოფილი არიან ორ საარჩევნო უბნათ. არჩევნები დანიშნულია 26 თებერვლისათვის.

ბორჩალოს მაზრაში

ლიქსემბურგი, 17 თებ. დაიწყო ახალი არჩევნები. მასსები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. პირველი არჩევნები მოხდა არუხლის თემში. არჩეულია საბჭოს 20 წევრი. აქედან პარტიული და კომკავშირელი—6. უპარტიო—14, ქალები—3.

ქუთაისის მაზრა

ქუთაისი, 17 თებ. მაღლაკის თემში დამთავრდა საბჭოს არჩევნები. გამოცხადდა ამომრჩევლების 55 პროც. არჩეულია 57 წევრი, აქედან 7 ქალია. ქვედა-სიმონეთის არჩევნებზე გამოცხადდა 50 პროც. მეტი. არჩეულია 60 წევრი, აქედან 4 ქალი, ორივე თემში არჩეულია სულ უპარტიო გლეხები.

ახალქალაქში

ახალქალაქი. 17 თებ. არჩევნებში მონაწილეობას იღებს ამომრჩევლების 75 პროც. ქალებიც მრავალია. მუსულმანურ პატარა სოფელ საგამოში მონაწილეობა მიიღო 8 თურქმა-ქალმა. ირჩევენ ღარიბებს და საშუალო გლეხებს.

რა უნდა გაკეთოს ახალმა საბჭომ

(ლეხაინდრაო— ონოღიის თემი, სენ. მ.)

ლეხაინდრაო-ონოღიის თემი ჩვენს მაზრაში მძლავრი თემია. ყოველივე კამპანიის ჩატარების დროს აქ ფეხზე დგას, როგორც კომპარტია, ისე კომკავშირი.

უკანასკნელ დროს მოწვეულ იქნა აღმასკომის მიერ საზოგადო კრება. კრებას დაესწრო მაზრიდან საარჩევნო კომისიის რწმუნებული, კ. მელიქაძე. აღმასკომის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად. თემში თუმცა გაკეთდა რის გაკეთებაც შეიძლებოდა, მაგრამ ბევრია გასაკეთებელი, რომელზედაც გლეხები მიუთითებენ და ავალებენ მომავალ ახალ საბჭოს: სამეურნეო იარაღების შეძენას, ზომების მიღებას კულტურულ მცენარეების გასავრცელებლად (მანდარინა, დაფნა და სხვა.), კოოპერატივის გახსნას ს. ლეხაინდრაოში და ონოღიაში, სკოლების და ქოხ-სამკითხველოების შეკეთებას, გაზ. „ახალი სოფლის“-ს გავრცელებას, გზების შეკეთებას, სახერხი მანქანის და ქურა-ხანის გახსნას, ცხენის-წყლის ჯებირის შესწორებას და ამ წყალზე ხიდის შეკეთებას, დაუნდობელ ბრძოლას ქურდობა-გაძარცვასთან და სხვა. აი—მთელი რიგი მოთხოვნილებანი ამომრჩევლების, რომელსაც უყენებენ ისინი ახალ საბჭოს ცხოვრებაში გასატარებლად.

გასული წლის საბჭოს შემადგენლობა დამაკმაყოფილებელია. საბჭოში საკმაოდ იყო პარტიის და კომკავშირის წევრები, უპარტიო გლეხები და სოფლის ინტელიგენცია. რაც შეეხება ქალებს, ისინიც არიან საბჭოში, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა და ახალ საბჭოში განზრახულია მეტი ქალების გაყვანა.

გლეხკორი— პ. ქიქავა.

კრებებს ამრჩეველთა დიდი უმრავლესობა ესწრება

მეჯვრისხევის თემში, სოფ. ქვეშში მოხდა საბჭოთა არჩევნები.

სოფ. ქვეშში სცხოვრობს 511 სული. საარჩევნო უფლება მქონე იყო 245, ამათგან კრებას დაესწრო—190, ე. ი. 77%, მათში მამაკაცი—125, დედაკაცი 65. თემს საბჭოსთვის ს. ქვეშმა აამორჩია 5 კაცი. საბჭოს ძველი წევრები მათში არის 3 კაცი.

ქარელის თემში სოფ. ქვემო-ხვედურეთში მამაკაცი—125, დედაკაცი 65. თემის საბსოფელში იყო ერთი საარჩევნო უბანი, (მცხოვრებთა რაოდენობა—510) სოფ. ქვემო ხვედურეთში საარჩევნო უფლება მქონე იყო 280. კრებას დაესწრო 230 ე. ი. 81 .

ზ. ბებოიძე.

საბჭოების არჩევნები ლეჩხუმში

ლეჩხუმი, 16 თებ. 14 თებერვლიდან დაიწყო საბჭოების ხელახალი არჩევნები. გლეხები დიდ ინტერეს იჩენენ ხელახალ არჩევნებისადმი.

ცაგერის თემში დიდძალი ამომრჩეველი იღებდენ მონაწილეობას არჩევნებში. სათემო საბჭოში არჩეულია 60 კაცი, აქედან 13 პარტიულია, 8 კომკავშირელი, და დანარჩენი უპარტიო.

გლეხებმა მოითხოვეს გზატკეცილების შეკეთება, ცხენის წყალის ნაპირების გამაგრება და სატყეო გადასახადების შემცირება.

განაწესების შედგენის შესახებ

მიმდინარე არჩევნების დროს, როცა სოფლის ყრილობა ისმენს მოხსენებას თემსაბჭოს მუშაობის შესახებ, ადგილი აქვს ერთ დამახასიათებელ მოვლენას. გლეხკაცობა ზოგჯერ უკმაყოფილო რჩება საბჭოს მუშაობით და უსაყვედურებს მას, რომ საბჭომ ვერ გაამართლა ის დაპირებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსული არჩევნების დროს.

ასეთი საყვედური, რასაკვირველია, სამართლიანი და დამსახურებულიც არის, თუ დაპირებების გაუმართლებლობა გამოწვეულია საბჭოს უმოქმედობით. მაგრამ არის შემთხვევები, როცა თემის მუშაკები მოკლებულნი არიან ყოველივე შესაძლებლობას სისრულეში მოიყვანონ ყველა ის დაპირებები, რომელთაც მათ აკისრებს ამრჩევლები მუშაობის დაწყებისას.

ეს უმთავრესად აიხსნება გადაჭარბებულ და შესაძლებლობასთან შეუფერებელ სამუშაო გეგმების შედგენით. კეთილი სურვილით გატაცებული ამომრჩევლები და ზოგჯერ თვით საარჩევნო კრების ხელმძღვანელი ამხანაგებიც ახალ საბჭოს აძლევენ ისეთ განაწესს (ნაკაზს), რომელნიც თემს ოქროს მთებს და რძის მდინარეებს ჰპირდებიან მომავალში.

ჩვენ ვიცით მაგალითები, როცა ახალ თემსაბჭოს ეკისრება ყველაფერის გაკეთება, რაც კი რამდენადმე მაინც აუცილებელია მცხოვრებლებისათვის. ამას არევ-დარევა შეაქვს საბჭოს ყოველდღიურ მუშაობაში. ის იბნევა, მან არ იცის რომელ საქმეს მიჰყოს პირველათვე ხელი, რა უფრო საჭირო და აუცილებელია.

გარდა ამისა, რაც უნდა თავდადებით იმუშაოს საბჭომ, ის მაინც ვერ ახერხებს მთელი გეგმის უკლებლივ შესრულებას, რაც გულგრილობას ჰბადებს ჯერ თვით საბჭოს მუშაკებში და შემდეგ გლეხკაცობაშიაც.

ამიტომ განაწესების შედგენას, რომელსაც ადგილი აქვს მიმდინარე არჩევნების დროს, უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. სჯობს ეს განაწესი იმდენ საკითხებსაც არ ეხებოდეს, რამდენის გაკეთებაც შეუძლია საბჭოს, ვიდრე ის ყველა საკითხებს შეიცავდეს, რომელთა გაკეთების შეუძლებლობა წინდაწინვე აშკარაა ყველასათვის.

საჭიროა განაწესში შედიოდეს თემის მხოლოდ მიუცილებელი და გადაუდებელი საქმეები, საჭიროა ამასთანავე ნაჩვენები იქნას თუ რომელი ამ საქმეთაგანი უნდა გაკეთდეს პირველ რიგში და რომელი შემდეგ.

თუ ჩვენ გვინდა, რომ საბჭო პირნათლად დარჩეს ამრჩეველთა წინაშე, თუ ჩვენ გვინდა რომ მან უსამართლოდ არ დაიმსახუროს გლეხკაცობის გულისწყრომა, საჭიროა საქმიან და შესაძლებლობასთან შეფარდებულ განაწესის შედგენა. მოკლეთ, საჭიროა მხოლოდ იმის დაკისრება, რის გაკეთებაც შეუძლია საბჭოს.

მზისერელი.

„დარჩია დათვალეს“ ფანდები.

(გორის თემი, გორის მ.)

წინასწარი მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის გორის თემში დაიწყო 15 დეკემბრიდან და დამთავრდა 1 თებერვალს. არ დარჩენილა არც ერთი კუნჭული თემ-საბჭოს საქმიანობაში, რომელზედაც თემის ამომრჩევლებს თავისი აზრი არ გამოეთქვათ. არჩევნები დაიწყო ამ თემში 5 თებერვლიდან.

ყველა მოქალაქე, ვინც გამოწვეულია საარჩევნო უწყებით, ცხადდება თავის დროზე და უკლებლივ. მაგ. **ს. ბერმუკში 110 ამომრჩევლებისაგან დაესწრო 102 კაცი და ქალი.**

აღსანიშნავია, რო სოფლის ინტელიგენტები დიდ დახმარებას უწევენ არჩევნებს. მოახდინეს ამრჩეველთა წინასწარი აღწერა და დაამზადეს მათთვის უწყებები.

საბჭოს არჩევნებზე ისინი ფიცს სდებენ, რომ კიდევ უფრო გააფართოვებენ იმ მუშაობას, რომელსაც ეწევიან სოფლის განათლების საქმეში.

საინტერესო იყო სოფ. გორიჯვრის გლეხობის კრება. თემ-აღმასკომის მუშაობაზე ბევრი იკამათეს და მადლობა გამოუცხადეს საბჭოს. **შემდეგ, როდესაც არჩევნებს შეუდგენ, ადგა ერთი იქაური აქტიური და სამაგალითო მეურნე, ახალგაზრდა კომკავშირელი და წაიკითხა მათი სია, ვინაც უნდა გასულიყო საბჭოში. სიის წაკითხვა დამთავრებული არ ქონდა, რომ იგრიალა 700 კაცის და ქალის ტაშმა და გაუმარჯოს ძახილმა.**

დასახელებულები, იყვნენ ღარიბესი და საშუალო შეძლების გლეხები. მათ რიცხვში იყო 2 ქალი.

კრებამ მოითხოვა მთლიანათ სიის კენჭისყრა, მაგრამ ვინაიდან ეს ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო დებულებას, ამიტომ დასახელებულთ თითეულათ ეყარათ კენჭი და ყველა ერთხმად გავიდა საბჭოში.

ამის შემდეგ წამოდგა ერთი გლეხი, სახელათ დარჩია, რომელიც იმ სოფლის ბოლო-ბოლო კულაკი ყოფილა და მოითხოვა სიტყვა. ის ამბობდა ხელახლა უნდა მოხდეს არჩევნები, რადგან ხმებს შეცდომით ვაძლევდითო. კრება ძლიერ აღელდა, მაგრამ ერთმა გლეხმა დაამშვიდა ხალხი და სთხოვა დარჩიას თითონ დაეთვალა ხმები. დაიწყო დარჩიამ ხმების დათვლა და როდესაც ხედავდა, რომ ყველა სწევდა ხელს, თითონაც იშვერდა თავის ხელს. ყველა კანდიდატები კვლავ ერთხმად გავიდა.

გლეხებმა უკმაყოფილო კულაკს „დარჩია დათვალი“ დაარქვეს და პირში ჩალაამოვლებული გაუშვეს.

დასასრულ არჩეული პირები გამოიყვანეს და მოულოცეს, როგორც კაცებმა, ისე ქალებმა, უსურვებდენ უფრო ნაყოფიერ მუშაობას სოფლის კეთილდღეობისათვის.

ამავე კრებამ დაადგინა, რათა ახლო ხანში თავიანთი შრომით სამ უბანში გააკეთონ ხიდები. აგრეთვე გამოიყვანონ სარწყავი არხი სოფ. ბევერიდან 8 ვერსის მანძილზე პრიმიტიული წესით. აგრეთვე ამომრჩევლები სთხოვდენ თემსაბჭოს ტრაქტორების შეძენას და მის ჩქარა მოტანას.

სიკო.

წარსულ წელთან შედარებაც არ შეიძლება

(ხაშურის თემი გ. მ.)

არჩევნების წინასწარი სამზადისი დამთავრდა. 10 თებერვლიდან უკვე დაიწყო ფაქტიური არჩევნები. მთელი აქტიური ძალები დანაწილებულია საარჩევნო უბნებში.

კულაკურ და ანტი-საბჭოთა ელემენტების ჯგუფიანობას ადგილი არა აქვს. ალბათ ეშინიათ დღის სინათლისა. ღარიბესი გლეხობა, როგორც ყოველთვის, ურყევად სდგას საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე. და სრული დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მიმდინარე არჩევნები დამთავრდება მშრომელი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებით.

[illegible] ასეთ დიდ საქმეს მუდამ თან ახლავს თავისებური დაბრკოლებები. ეს არის ცუდი გზები და ამინდი. მიუხედავათ დიდი მეცადინეობისა, მოსალოდნელია, რომ ზოგიერთ თემებში ფორმალური მხარეები სათანადოთ ვერ იყვეს დაცული. ეს კიდევ არაფერია შედარებით უამინდობასთან. მართალია დიდი ყინვები არაა, მაგრამ თოვლი და ტალახი ისეა გათქვეფილი ერთმანეთში, რომ საგრძნობლად ძნელდება მიმოსვლა, რაც აგრეთვე ხელს უშლის მოსახლეობის ფართოდ მონაწილეობის მიღებას არჩევნებში. მიუხედავათ ამისა მიმდინარე წლის არჩევნები ისეთი ფართო მასიური ხასიათისაა, რომ წარსულ წელთან შედარებაც არ შეი-

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო სამეურნეო გამოფენა

ფასები საგამოფენო მოედნის არეზე

ა/კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მომწყობ კომიტეტის მიერ დაწესებულია შემდეგი ფასები გამოფენის მოსაწყობ მოედანზე:

პავილიონში თითოეულ კვადრ. მეტრის დაკავებისათვის წესდება 10 მანეთი გამოფენის მთელ პერიოდში. ფანჩატურ ქვეშ თვითეულ კვ. მეტრზე 2 მან., გადაუხურავ ცარიელ ადგილზე საკუთარ პავილიონის მოსაწყობად თვითოულ კვადრ. მეტრზე ერთი მანეთი.

პავილიონები

გამოფენაზე საკუთარი პავილიონები ექნებათ „რუსს-ავტორგს“, „რუსპერტორგს“ და „ატლასდიზელს“. ეს უკანასკნელი ფირმა გამოფენაზე აწყობს საკუთარ ელექტრო-სადგურს, რომელიც ენერგიას მიაწოდებს გამოფენას.

უცხოეთის ფირმები გამოფენაზე

ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ უცხოეთიდან მიიღო ცნობა, რომ ერთი კვირის შემდეგ—დაახლოვებით 22 თებერვალს შვეციიდან ბათუმში გამოემგზავრება გემი, რომელიც დატვირთულია უცხოეთის ფირმების მიერ გამოგზავნილ ექსპონატებით. ექსპონატების დიდი ნაწილი ეკუთვნის შვედურ ფირმას „ატლასდიზელს“ და „მარიკოპოდშიბნიკს“.

საგამომფენო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება რომ ნებადართულ იქნეს გამოფენაზე წარმოდგენილ ყველა ექსპონატების ყიდვა-გაყიდვა.

მზადება გამოფენის მოსაწყობად

გამოფენის საჭიროებისათვის თბილისის ტრამვაის სამმართველოს დიდუბეში გაყავს ტრამვაის მეორე ხაზი.

იპოდრომზე—იმ ადგილს, სადაც მოწყობილი უნდა იქნეს გამოფენა უკვე დამთავრდა მიწის სამუშავარი. ამ ჟამად სწარმოებს ყვავილნარების მოწყობა, შენობათა აგება, წყალსადენის გაყვანა და სხვა.

ამიერ - კავკასიის საზოგადოება „ავტოპრომტორგი“ გამოფენის პერიოდისთვის ქალაქსა და გამოფენის ადგილს შორის აწყობს საავტომობილო მიმოსვლას.

გამოფენისათვის გამოცემული იქნება სპეციალური წიგნი - თანამგზავრი.

მებამბეობა

ტრაქტორები მებამბეობისათვის

ა/კ. მებამბეობის მთავარ კომიტეტს — უცხოეთიდან გამოწერილი აქვს 70 ცალი ტრაქტორი, რომელიც მიღებულ იქნება ამ მოკლე ხანში.

გარდა ამისა, ა/კ. მებამბეობის კომიტეტმა უცხოეთში გაგზავნა შეკვეთა ტრაქტორების ახალ პარტიაზე.

ვინაიდან მებამბე—გლეხები ამ ჟამად განიცდიან მუშა-საქონლის დიდ ნაკლებობას და საშუალება არ აქვთ უსაქონლობის გამო მოხნან ბამბის დასათესად საკმაო რაოდენობით მიწა, ა/კ. მებამბეობის კომიტეტს განზრახვა აქვს შეაჩვიოს გლეხობა ტრაქტორების მუშაობას და ამით შეავსოს მუშა-საქონლის დანაკლისი.

სწორედ ამ მიზნით კომიტეტს განზრახვა აქვს გამოწერილი ტრაქტორებით მოაწყოს ერთგვარი სატრაქტორო ბაზა, სადაც გლეხები შეისწავლიან ტრაქტორების წესიერ გამოყენებას და ხმარებას.

ბამბის სათეს ყანების განოყიერება

ა/კ. მებამბეობის კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელს სცადოს ბამბის სათესი ყანების მინერალური განოყიერება. განზრახულია აგრონომიული ქსელის საშუალებით რამოდენიმე ცდის მოხდენა. ამ ცდებით გამორკვეული იქნება აგრეთვე ისიც, თუ რომელი მინერალური გასანოყიერებელი ნივთიერება იძლევა უფრო მეტ ეფექტს, და რომელი მათგანი უფრო გამოსადეგია ა/კ. სხვადასხვა გვარ ნიადაგისათვის.

ამავე ცდებით შესაძლებელი იქნება იმის გამოკვლევაც, თუ რომელი გასანოყიერებელი ნივთიერების დამზადება შეიძლება საბჭოთა კავშირში.

მიმდინარე წელსვე განზრახულია მეტეოროლოგიურ სადგურების რიცხვის გადიდება მებამბეობის რაიონებში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში არსებულ ცნობების თანახმად, ამიერ-კავკასიაში კამპანიის დასაწყისიდან ა. წ. 1 თებერვლამდე სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილია 3.143,609 მანეთის რაოდენობით, რაც შეადგენს წლიური ვარაუდის 59,66 პროცენტს.

ცალკე რესპუბლიკებს შორის აკრეფილი გადასახადი ნაწილდება ამ რიგად; საქართველოში შემოვიდა 985,625 მან. (63.34 პროც.) აზერბეიჯანში—1,515,070 მან. (55,21 პროც.) და სომხეთში—692,-914 მან. (ე. ი. 66,33 პროც.)

წინანდელი კამპანიის ნარჩენი და საურავი შემოვიდა 183,079 მან. აქედან საქართველოზე მოდის 95,023 მან. აზერბეიჯანზე—79,542 მან. და სომხეთზე—8,514 მან.

რკინის გზებზე

შემთხვევებთან ბრძოლა ა/კ. რკ. გზებზე

(საუბარი ამხ. ივანოვთან)

ამიერ-კავკასიის რკინის გზების საერთო მდგომარეობა, შემთხვევების მხრივ—განაცხადა ამხ. ივანოვმა პრესის თანამშრომლებთან საუბარში, —არ შეიძლება, რომ ძლიერ ცუდათ ჩაითვალოს.

ამ შემთხვევაში გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს გზების აღმოსავლეთის უბანი.

თუ შევადარებთ მიმდინარე წელს წარსულს, შემთხვევების რაოდენობის მხრივ დავინახავთ, რომ ა.-კ. რკ. გზების ყველა უბნებს ეტყობათ გაუმჯობესება, ხოლო აღმოსავლეთ უბანს კი გაუარესება. მხოლოდ იანვარში მან მოგვცა 48 შემთხვევა მატარებლების დამტვრევის მხრივ.

შემთხვევათა ასეთმა დიდმა რაოდენობამ ბუნებრივად მიიპყრო ყურადღება როგორც გზათა სამმართველოსი, ისე ბაქოს ორგანიზაციების.

ასეთი დიდი რაოდენობა შემთხვევებისა უმთავრესად გამოწვეულია გზის აგენტების დაუდევრობით და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოდის ტეხნიკურ და სხვა მიზეზებზე.

ეხლახან ჩატარებულმა უბნის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ შემთხვევათა უმეტესი ნაწილი გამოუწვევია: მოსამსახურეთა სიმთვრალეს, დაუდევრობას და სხ. შემთხვევების უმეტესი ნაწილი შედეგია ძველ აგენტების დაუდევრობის.

ძალიან ხშირად შრომის კანონმდებლობის და კოლექტიური ხელშეკრულების შემცდარათ გაგების გამო, ასეთი დანაშაული დაუსჯელი რჩება, რაც ფსიქოლოგიურად რყვნის გზის აგენტებს.

ამ უკანასკნელად პრესაში აღძრულმა კამპანიამ აღმოსავლეთის უბანზე შემთხვევებთან ბრძოლის შესახებ და ამ გარემოებაზე პროკურატურის ყურადღების მიქცევამ, სასურველი ნაყოფი გამოიღო და უბანზე საგრძნობლად შემცირდა შემთხვევათა რიცხვი. ეს კი ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთის უბანი უნუგეშოთ არ არის დაავადებული და მისი განკურნება შეიძლება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თვით მუშა-მოსამსახურეებმა აღიმაღლეს ხმა ტრანსპორტის ამ საერთო ტკივილის გამომწვევთა წინააღმდეგ. მთელ რიგ სადგურებზე მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე გამოჰქონდათ რეზოლიუციები, სადაც სასტიკად ჰკიცხავდენ დამნაშავეთ.

უბნის ტეხნიკური მდგომარეობის მხრივ კომისიამ აღნიშნა: სადგ. განჯაში საგრძნობლად —გაცვეთილია ისრები და საკმაო რაოდენობით არ არის დაგებული ახალი შპალები.

კომისიამ აღნიშნა აგრეთვე ისრის ფანრების გაუნათებლობა. გამოწვეულია ეს მით, რომ ლამფის შუშები, დაკვეთილი შარშან, ჯერაც მიუღებულია. კომისიამ ამის შესახებ უკვე დეპეშით აცნობა ამხ. ძერჟინსკის.

გზათა სამმართველო თავის მხრივ იღებს ზომებს საჭირო მასალების თავის დროზე შესაძენად.

მე—ამბობს დასარულ ამხ. ივანოვი,—ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ ყოველი პატიოსანი მუშაკი რკ. გზის ტრანსპორტისა მიიღებს აქტიურ მონაწილეობას შემთხვევებთან ბრძოლაში, ჩვენ შევსძლებთ შემთხვევათა რაოდენობის მინიმუმადე დაყვანას.

„კომუნისტი“-ს რედაქცია
გადავიდა
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩაზე
№ 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

ამხ. შ. ელიავას მოხსენება თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

გუშინ ამხ. შ. ელიავამ თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე წაიკითხა ვრცელი საინსტრუქციო მოხსენება საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის შესრულების გამო.

ჩვენ, დაიწყო მომხსენებელმა, ამ ხუთი წლის წინათ უფრო სუსტნი ვიყავით, ვიდრე საქართველოს ზოგიერთი ანტისაბჭოთა პარტიები და განსაკუთრებით მენშევიკური პარტია.

გასაბჭოების შემდეგ, ქართული კონტრ-რევოლიუციური პარტიები გადავიდენ არალეგალურ მუშაობაზე და შეთანხმებული ანტისაბჭოთა ბლოკი გაფაციცებით ემზადებოდა შეიარაღებულ აჯანყებისათვის.

ბანდიტური გამოსვლები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას, ეგრეთ წოდებული პარიტეტული კომიტეტის ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობას და რაზმავდა ჩვენს წინააღმდეგ ყველა რევოლიუციისგან გულნატკენ ელემენტებს, აი ის გზა, რომლითაც მიდიოდა ქართული კონტრ-რევოლიუცია აჯანყებისაკენ. ისინი ამავე დროს იმედს ამყარებდენ საბჭოთა წყობილების შინაურ სიძნელეებზე და გარეშე ძალის დახმარებაზე.

ამრიგათ, წარსული ხუთი წლის განმავლობაში მუშაობის უაღრესად მძიმე პირობები იყო ჩვენი ქვეყნის შიგნით. მაგრამ სრულდება გასაბჭოების ხუთი წელი და ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ კონტრ-რევოლიუციონური კოალიცია, განსაკუთრებით კი მენშევიკური პარტია, საქართველოში პოლიტიკურათ ხერხემალ გატეხილია.

ეხლა ჩვენ გვაქვს შედარებით თავისუფალი ასპარეზი შემოქმედებითი მუშაობისათვის. მართალია პარიზში მოყიალე მენშევიკი პუბლიცისტები დღესაც განაგრძობენ ბრძნულ წინასწარმეტყველებას საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შესახებ, მართალია ისინი ფიქრობენ, რომ ეს თავისთავად უნდა მოხდეს, მაგრამ რას იზამთ, ფიქრს ვერავის დაუშლით, მით უფრო, როცა ამ ხალხს საამისო დრო ბევრი აქვს. [illegible] იფიქრონ, [illegible]რძობთ სოციალიზმის მშენებლობას.

ერთ უდიდეს მიღწევათ ამ ხუთი წლის განმავლობაში უნდა ჩაითვალოს ნაციონალური ზავი, რომელსაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალფეროვან საქართველოში და რომელსაც საბჭოთა სისტემამ მკვიდრი პოლიტიკური საფუძველი ჩაუყარა. შეიძლება ადგილი დაურჩეს რაიმე გაუგებრობას სხვადასხვა ერებ შორის, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არ არსებობს ამ გაუგებრობის უთანხმოებამდე გამწვავების პოლიტიკური საფუძველი. ეროვნული სოლიდარობა საქართველოს შიგნით, ძმური თანამშრომლობა ამიერ-კავკასიის ხალხებთან და მთლიანი ოჯახი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების — აი, ის უდიდესი მონაპოვარი ნაციონალურ ფრონტზე, რომელიც ჩვენ გვაქვს დღეს გასაბჭოების ხუთი წლის თავისათვის.

მენშევიკების ბატონობის შემდეგ ჩვენ მივიღეთ მთლიანად დანგრეული და გაძარცული ქვეყანა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შევქმენით, მართალია ღარიბი (რასაც თავისი გასამართლებელი მიზეზები აქვს), მაგრამ მტკიცე და ნორმალური ბიუჯეტი.

გაპარტახებულ ქვეყანასთან ერთად მენშევიკებისაგან ჩვენ დაგვრჩა მთელი რიგი მოუწესრიგებელი, უაღრესი მნიშვნელობის სოციალურ და პოლიტიკური საკითხი, როგორიცაა: მიწის რეფორმა, მუშათა საკითხი, ეროვნული საკითხი, ეკლესია და სახელმწიფოს დამოკიდებულება, შეიარაღებულ ძალის ხელახალი ორგანიზაცია და სხვა. ყველა ეს საკითხები ამ ხუთი წლის განმავლობაში უმეტეს ნაწილად მოწესრიგებულია.

გაუქმებულია მსხვილი მიწათმფლობელობა და მიწა მშრომელ გლეხებს აქვს გადაცემული სასარგებლოთ. დაგვრჩა მხოლოდ მიწათმოწყობის საბოლოოთ ჩატარება, რის შესრულებაც განზრახულია უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში, საამისო მუშაობა უკვე სწარმოებს; მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უფრო გაუმჯობესებულია წინანდელთან შედარებით და ამ კლასის პოლიტიკური ბატონობა უზრუნველყოფილია; ეროვნული ზავი უდავო ფაქტია, ეკლესია საბოლოოთ ჩამოშორებულია სახელმწიფოს, გვყავს საკუთარი მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალა, რომელსაც სავსებით შეუძლია რევოლიუციურ წესრიგის დაცვა და გარეშე თავდამსხმელისთვისაც პასუხის გაცემა საბჭოთა კავშირის მოძმე წითელ ლაშქართან ერთად.

წარსულმა ხუთმა წელმა დიდი გაუმჯობესება მოგვიტანა სოფლის მეურნეობის დარგშიაც. შეუჩერებლათ წინ მიდის და ფრთოვდება, სათესი მოედანი, მეხილეობა, მეთამბაქოობა, მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, ჩაის მოშენება და სხვა.

სწარმოებს სამელიორაციო მუშაობა ჭაობების გაშრობის და უწყლო ადგილების მორწყვის გზით. ჩვენ ეხლა გვაქვს 6 სარწყავი არხი, რომლის ერთად აღებული სიგრძეც უდრის 114 ვერსს. შენდება 4 ახალი არხი 98 ვერსის სიგრძის. სწარმოებს ფოთის ჭაობების ამოშრობა, ყარაიას სარწყავი სისტემის შეკეთება და სხვა.

მრეწველობის დარგშიაც, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ აქ ღარიბნი ვართ, მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს ამ ხუთი წლის განმავლობაში. თან და თან მატულობს ნახშირის ამოღება, იზრდება თამბაქოს მრეწველობა, ფართოვდება ტყავეულობის წარმოება. გვაქვს აგრეთვე დიდი მიღწევები კოოპერატიულ მშენებლობის საქმეში აც, რომელიც თავის გარშემო იკრებს მშრომელ მასას და დღითი დღე მაგრდება ეკონომიურად და ორგანიზაციულად.

რაც შეეხება ელექტროფიკაციას — ის სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ. ზაჰესი შემოდგომაზე იქნება დასრულებული, შენდება ელექტრო-სადგურები: აბაშაში და აჭარისტანში, განზრახულია მოეწყოს ასეთივე სადგური ქუთაისში, რიონზე.

გარდა ამისა, ხელისუფლება ყურადღებას აქცევს ბუნებით მდიდარ ჩვენი კურორტების არა მარტო სამკურნალო, არამედ სამრეწველო წარმოებათ გადაქცევას. ამ კურორტების კეთილმოწყობა, რომ მათ მიიზიდონ ავადმყოფები შორეულ კუთხეებიდან და შემოსავლის წყაროთ გადაიქცნენ — უცილებელ ამოცანას წარმოადგენს.

ჩვენ ვფიქრობთ, დასრულა თავის მოხსენება ამხ. შ. ელიავამ, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა. ამისათვის ჩვენ არავინ გვაგინებს, გარდა მენშევიკებისა. დაე, იგინონ და ილანძღონ მათ. ჩვენ კი შეუპოვრათ წავალთ წინ დასახულ მიზნისაკენ. მტრების გინება კი იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჩვენი გზა სწორია და ჩვენი მუშაობა მიზანშეწონილი.

ნ. მ—ლი.

პარტ-სკოლათა საკავშირო მე-5 მეთოდიური კონფერენციის შედეგები

წარსულ თვის 28-ს ქ. მოსკოვში მოწვეული იყო სრულიად საკავშირო პარტსკოლათა და კომუნივერსიტეტთა მე-5 მეთოდიური კონფერენცია. კონფერენციის მიზანს შეადგენდა გარკვევა იმ მეთოდიური კითხვებისა, რომლებიც სდგანან პარტსკოლების მუშაობის დღის წესრიგში, მათში მეცადინეობის დალტონ-გეგმაზე გადაყვანის გამო. თუ წარსული მე-4 კონფერენცია ეხებოდა უმთავრესად სკოლების მიზნებისა და ორგანიზაციულ საკითხების საფუძვლების გაშუქებას და ზოგადათ მეთოდიურ საკითხების გარკვევასაც, მე-5 კონფერენცია კი ეყრდნობა რა პარტსკოლათა ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას, აყენებს თავის მუშაობის დღის წესრიგში სპეციალურ მეთოდიურ კითხვებს ამა თუ იმ დისციპლინის სწავლების შესახებ. მე-5 კონფერენციაზე გამომუშავებულ იქნა მეთოდიური საფუძვლები მხოლოდ ისტორიულ საგნების სწავლებისა და ამ საგნების პროგრამული მეთოდიური გამიჯვნა.

საბჭოთა პარტსკოლების წინაშე პარტიის მიერ წამოყენებულია გარკვეული მიზანი — მომზადება აგიტ-პროპაგანდისტთა და სოფლის პოლიტგანმანათლებელ მუშაკებისა. პარტსკოლების მუშაობა და ამ მუშაობის შედეგები სავსებით ამართლებენ არა მარტო ამ სკოლების არსებობას და მათ მიერ დასახულ მიზნებს, არამედ ისინი კომუნივერსიტეტთან ერთად დიდ როლს თამაშობენ სწავლის ახალ მეთოდების საფუძვლების გამომუშავებისა და განმტკიცების საქმეში. ახალი პედაგოგიური მიმდინარეობა — ლაბორატორიული გეგმა, ამერიკული — დალტონ-გეგმის საფუძველზე აგებული, მაგრამ შესწორებული ჩვენს ნიადაგზე კომუნისტური პედაგოგიკის თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა განხორციელებას პოულობს პარტსკოლებში და კომუნივერსიტეტებში. ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კულტურულ ქვეყნებში დაბადებული ახალი პედაგოგიური მიმდინარეობანი, გადმოტანილი ჩვენი ქვეყნის ნიადაგზე, იძლევიან უფრო კარგ რეალურ შედეგებს, ვიდრე მათ წარმომშობ ქვეყნებში. ამ ფაქტს, როგორც ამხ. კრუპსკაიამ განაცხადა კონფერენციაზე, აღნიშნავენ თვით ამერიკელი პედაგოგებიც.

მე-5 მეთოდიური კონფერენციის ყურადღება მიქცეული იყო იმისაკენ, რომ პარტ-სკოლების სასწავლო გეგმა და ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება მეთოდიური მხრით უნდა ეთანხმებოდეს სკოლის მიზნებს და ამ ამოცანებს, რომლებიც დასახულია დღევანდელ ისტორიულ მომენტში პარტიისა და საბჭოთა წყობილების წინაშე.

პარტიულ და საბჭოთა მშენებლობის სისტემის ცოდნა, საბჭოთა მეურნეობის განვითარების ხასიათის სწორი გაგება და აქედან გამომდინარე მთელი რიგი კითხვებისა სოფელში მუშაობის შესახებ, — აი ის საფუძვლები, რომლებზედაც უნდა აგებდენ პარტსკოლები თავიანთ მუშაობის გეგმას დღევანდელ მომენტში. აქედან ცხადია, რომ პარტსკოლები თავიანთ მუშაობას უნდა უგუებდენ იმ საკითხებს, რომლებიც წამოყენებული იქნებიან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. საბჭოთა პარტსკოლებში სასწავლო მასალის გაშუქება უნდა ეხმარებოდეს თანამედროვეობის სწორათ გაგებას. წარსულის შესწავლა, იქნება ის კლასთა ბრძოლის ისტორიიდან, პარტიის ისტორიიდან, თუ სხვა დარგიდან, უნდა ემსახურებოდეს კურსანტის არა მარტო საერთო ცოდნათა ჯამის გაზრდას არამედ ის უნდა უნვითარებდეს მას თვით ამ ისტორიულ მოვლენათა შორის მიზეზობრივ კავშირის გაგებას. ასეთია მოკლეთ მე-5 მეთოდიური კონფერენციის შეხედულება ისტორიულ საგნების სწავლის მეთოდზე.

აკ. კაპანიძე.

პარტწევრთა მოძრავ ს. კ. პ. თბილისის ორგ. მე-2 რაიონში

მეორე რაიკომში მიმდინარე წლის იანვარში ორგანიზაციის წევრთა მოძრაობა გამოიხატა შემდეგ ციფრებში: პარტიაში მიღებულია 49 კაცი, კომპარტიის კანდიდა- [illegible] 1171 მამაკაცი და 148 ქალი; კანდიდატი 509, აქედან 432 მამაკაცი და 77 ქალი. პარტიაში ახლად მიღებულ 49 კაცის გარდა, რაიონში კიდევ მიღებულია 58 კაცი, [illegible] ბული და ამიტომ ეს ციფრი არ შევვიტანია [illegible].

ა. კონდახჩიანი.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

ს. ქ. პ. ფოთის კომიტეტის მუშაობა

ს. კ. პ. (ბ) ფოთის ორგანიზაცია აერთიანებს 16 კომუჯრედს. ყველა კომუჯრედში ა/წ. 1-ლ თებერვლისათვის ითვლებოდა 490 წევრი და 144 კანდიდატი, ამათ'ში ქალები 26—წევრი და 16 კანდიდატი.

თვითეულ კომუჯრედზე მიმაგრებული არის კომიტეტის თითო წევრი რომელიც თვალყურს ადევნებს კომუჯრედის მუშაობას და უწევს უკანასკნელს ხელმძღვანელობას მიმდინარე მუშაობაში. ამ რიგად მუდმივი ძაფით გაბმული ყველა კომუჯრედებს შორის, რის გამო კომიტეტს საშუალება აქვს მთლიანათ და სისწორით იცოდეს ამა თუ იმ კომუჯრედის მდგომარეობა და საჭიროების დროს მიიღოს ზომები უჯრედებში საქმის თავის სიმაღლეზე დასაყენებლათ.

უჯრედებში უმეტესად ხდება ღია კრებები, რომლებზედაც ესწრებიან უპარტიო მუშა-მოსამსახურენი, სოფლის უჯრედებში კი უპარტიო გლეხები. ღია კრებებზე დღის წესრიგში ისმება საკითხები ადგილობრივ მუშა მოსამსახურეთა და გლეხთა საჭირბოროტო კითხვებზე, სადაც კამათში მონაწილეობას ღებულობენ უპარტიონიც.

დაარსებულია უჯრედების მდივნების გადასამზადებელი კურსები 66 სამეცადინო საათით. ხსენებულ კურსებზე მეცადინეობენ ყველა კომუჯრედების მდივნები და ზოგიერთი უჯრედის ბიუროს წევრებიც.

დაარსებულია პოლიტ-სკოლა სოფელ ყულევში, სადაც მეცადინეობა მიდის მოძრავ პოლიტ-სკოლის პროგრამით. ახლო ხანში გაიხსნება: სამი სტაციონალური პოლიტსკოლა დაბალი ტიპისა, საღამოს პარტიული სკოლა და ყოფილ მენშევიკებში დაარსებული იქნება ლენინიზმის შემსწავლელი წრე.

მუშაობა ქალთა შორის დამაკმაყოფილებელია. სისტემატიურად ხდება დელეგატ ქალთა კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები სხვადასხვა თემაზე.

კავშირი ა. ლ. კ. კ.-თან კარგია. ფოთის კომიტეტი უწევდა და უწევს უკანასკნელს ყოველნაირ დახმარებას, როგორც მატერიალურად ისე იდეიურად. პარტკომის პ/მგ. მდივანი არის კ. კ. სამაზრკომის პრეზიდიუმის წევრი, რომელიც ესწრება ყველა სხდომებს და უწევს მათ სათანადო ხელმძღვანელობას. კ. კ. სამაზრკომის ანგარიში ისმება პარტკომის პრეზიდიუმის და ორგანიზაციის საერთო კრებებზე, სადაც კ. კ. ღებულობს პრაქტიკულ წინადადებებს, რომლებიც სამაზრკომის მიერ ტარდება ცხოვრებაში.

კომუჯრედებს და კ. კ. კავშირის უჯრედებს შორის არის წარმომადგენლობითი კავშირი და დრო გამოშვებით იმართება მათი გაერთიანებული კრებები.

საერთოთ ფოთის ორგანიზაციაში პარტიული მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

არავითარ უთანხმოებას და ინტრიგანობას ორგანიზაციაში ადგილი არა აქვს.

ვ. კალანდაძე.

გაერთიანებული კრება

8 თებერვალს შესდგა მე-5 ლეგიონის და ქუთაისის საქსოვი ქარხნის კომუჯრედების გაერთიანებული კრება. მოხსენება საქსოვი ქარხნის მდგომარეობაზე გააკეთა ფაბრიკის დირექტორმა. მან გააცნო კრებას ფაბრიკის აგების ისტორია, რა დაბრკოლებები ელობებოდა წინ ფაბრიკას, და შემდეგ საერთო ძალით როგორ იქნა დაბოლოს ეს დაბრკოლებები დაძლეული. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. სასურველია ასეთი გაერთიანებული კრებები მუშებისა და წითელი ჯარის ნაწილების კომუჯრედებისა ხშირად იმართებოდეს.

მოსე ჭყონია.

პროფკავშირებში

სოციალური დაზღვევა

სამშაბათს, 16 თებერვალს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობების, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების და პროფრწმუნებულთა კონფერენცია

კონფერენცია გახსნა ამხ. გ. ყურულაშვილმა.

ამხ. ყურულაშვილის სიტყვა

ამხ. ყურულაშვილმა თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა კონფერენციის მიზანი და დანიშნულება.

მან აღნიშნა აგრეთვე ის, რომ კონფერენციის მოწვევამდე ადგილობრივ კეთდებოდა მოხსენებები დამზღვევ სალაროს მუშაობის შესახებ და დაიბეჭდა აგრეთვე ანგარიშები. ყველა დაზღვეულს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა სალაროს მუშაობას. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ მოვისმინოთ თბილისის დამზღვევ სალაროს ანგარიში, ავწონ-დავწონოთ მისი მოქმედება და ავირჩიოთ ახალი გამგეობა. კონფერენციამ დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

თბილისის დამზღვევ სალაროს და დაზღვეულთა საქმეთა დახმარების ქვე-განყოფილების მუშაობა

(ამხ. კ. ცომაიას მოხსენება)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1924-25 საანგარიშო წლის განმავლობაში სალაროს წევრთა რიცხვი 32 ათასი 40 ათასამდე გაიზარდა. თუ თვითეულ დაზღვეულის ოჯახს ვიანგარიშებთ ოთხ სულად, გამოდის, რომ ჩვენი სალარო უწევს დახმარებას 160 ათას სულს.

ამრიგად თბილისის მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ღებულობს უფასო სამკურნალო დახმარებას.

1924-25 წელში დამზ. სალაროს ჰქონდა შემოსავალი 2.807.105 მან. წინა წელში კი დაახლოვებით ამის ნახევარი.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ დამზ. სალარო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შრომის დროებით უნარდაკარგულებს და შრომის დასახიჩრებულ პენსიონერ მუშა-მოსამსახურეებს.

გასული წლის განმავლობაში დამზ. სალარომ აანაზღაურა 362,063 გაცდენილი დღე.

შრომის დროებით უნარდაკარგულებს მიეცათ	790.816 მ.
დამატებითი დახმარებაზე გაიცა	255.348 „
პენსიონერებს მიეცა	158.861 „
უმუშევრებს	125.627 „
წინასწარ გამაფრთხილებელ ზომების მისაღებათ დაიხარჯა	84.214 „
დაზღვევის აგიტაცია-პროპაგანდაზე	8.061 „
საორგანიზაციო ხარჯები	124.624 „
სხვა დამზღვევ სალაროების წევრებს	13.801 „
საქმიმო - საკონტროლო კომისია	10.367 „
სოც. დაზღ. სამმართველოს	210.565 „
საქმიმო ფონდში გადაირიცხა	701.885 „

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასულ წელს დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული დასასვენებელ სახლებისა და სანატორიუმებში მუშა-მოსამსახურეების გაგზავნას.

სულ გაიგზავნა 3.451 კაცი, ამათგან დაახლოვებით 75 პროცენტი მუშებია, დანარჩენი მოსამსახურეები.

მომხსენებელი შეეხო დაზღვეულთათვის სამედიცინო დახმარების გაწევის საქმეს და აღნიშნა, რომ ეს დარგი დიდათ გაუმჯობესდა.

გაფართოებულია ამბულატორიები, მაგრამ იქ მაინც ყოველთვის უამრავი ხალხია, ამიტომ დამზღვევ სალაროს გადაწყვეტილი აქვს კიდევ გახსნას რამოდენიმე ამბულატორია.

დაზღვეულთა სტაციონალური დახმარების საქმეც გაუმჯობესდა.

ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფო 110 საწოლით სავსებით იმყოფება სალაროს განკარგულებაში.

ამას გარდა სალაროს სახელმწიფო საავადმყოფოებში დაზღვეულთათვის წელს უფრო მეტი ადგილი აქვს აღებული.

დასასრულ ამხ. ცომაიამ აღნიშნა, რომ დამზღვევ სალაროს არ შეეძლება შესაფერ სიმაღლეზე დააყენოს მუშაობა, თუ მისი ნივთიერი მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. მომხსენებლის აზრით დაზღვეულთა მკურნალობის საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს თბილისის აღმასკომმა და ნივთიერად დაეხმაროს დამზღვევ სალაროს.

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის სრულიად საქართველოს მეოთხე ყრილობა

ამხ. კუჩუაშვილის საბოლოო სიტყვა

16 თებერვლის დილის სხდომაზე ც. გ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ამხ. კუჩუაშვილი.

შეხო რა მთელ რიგ ორატორების გამოსვლას, ამხ. კუჩუაშვილმა აღნიშნა, რომ მათ მიერ ძალიან ცოტა იყო ნათქვამი კავშირის მუშაობის ამა თუ იმ დეფექტებზე. კოლხელშეკრულების გარშემო გამართულ კამათის შესახებ ორატორი ამბობს რომ კავშირის მიერ გამომუშავებულ ხელშეკრულების პროექტიდან 16 მუხლია მიღებული კავშირის ცეკას მიერ.

სეზონის მომუშავეთა კავშირში მიღების შესახებ ამხ. კუჩუაშვილი ამბობს, რომ მთელი 100 პროც. კავშირში ჩაბმა ტეხნიკურად შეუძლებელი იყო, რადგან ეს მუშები გაფანტული იყვენ სხვადასხვა კუთხეებში.

რაც შეეხება ზონების შემცირებას კავშირში, საამისო ნაბიჯები უკვე გადადგმულია, მაგრამ ხელფასის სათანადო ფონდის უქონლობა ჯერჯერობით ხელს უშლის ამის განხორციელებას.

გასული წლების შვებულების მაგივრათ კომპენსაციის მიცემის საკითხის შესახებ ორატორი ამბობს, რომ საჭიროა ასეთი შვებულებების ახალ წელში გადატანა, რათა ეს კომპენსაცია არ დააწვეს ხელფასის ფონდს, ხოლო იქ, სადაც ტეხნიკურად შეუძლებელია შვებულების მიცემა, ცხადია, მიცემული უნდა იქნეს სათანადო კომპენსაცია.

ეხება რა ღამის თოხსაათიან განუწყვეტელ დასვენებას კავშირის დაწესებულებებში, ორატორი აღნიშნავს, რომ ზოგან ეს არ ტარდება ცხოვრებაში, რასაც ყურადღება უნდა მიაქციონ კავშირის ადგილობრივმა განყოფილებებმა.

საწარმოო თათბირების მუშაობის შესახებ ამხ. კუჩუაშვილი ამბობს, რომ მთელი რიგი დადგენილებები არ არის გატარებული ცხოვრებაში, იმის გამო, რომ ოლქის სამართველოს ამისათვის არ აქვს სათანადო თანხები.

რაც შეეხება საკონფლიქტო - შემფასებელ კომისიების მუშაობას, ორატორი აღნიშნავს, რომ იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც სრულიად შეუფერებელი საკითხები ისმებოდა ამ კომისიების სხდომებზე, საიდანაც გადაქონდათ ისინი სათანადო უმაღლეს საკონფლიქტო ორგანოებში, რაზედაც გამგეობამ თავის დროზე მიუთითა ადგილებს.

კულტმუშაობა თბილისში ქალაქის მასშტაბით სწარმოებს კავშირის კლუბში (მიხა ცხაკაიას სახელობის), რომელიც უნდა ითქვას, თავის დანიშნულების სიმაღლეზე სდგას.

რაც შეეხება ახალგაზრდათა ჯავშანს ფოსტელთა კავშირში, ეს გატარებულია თითქმის 100 პროცენტით და უკვე ზოგი ახალგაზრდა გადარიცხულია მაღალი ხარისხის სამუშაოზე.

წარმოებების ბინების შეკეთების შესახებ უნდა ითქვას, რომ უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯები და რამოდენიმე დაწესებულების შენობა უკვე შეკეთებულია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თანხების უქონლობა ხშირათ იწვევს საქმის შეფერხებას.

ამხ კუჩუაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სთვლის; რეზოლიუციის სრული ტექსტის გამომუშავება დაევალა პრეზიდიუმს, რომელმაც რეზოლიუციაში უნდა შეიტანოს ყრილობაზე წამოყენებული ყველა პრაქტიკული წინადადებანი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საქართველოს გასაბჭოების დღე.

ახალქალაქი, 17 თებერვ. პარტიის სამაზრო კომიტეტთან დაარსდა კომისია საქართველოს გასაბჭოებას 5 წლის თავის და წითელი არმიის 8 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად. მოსამზადებელ მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მთელი რიგი პასუხისმგებელი ამხანაგებისა. საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავზე განზრახულია ბარალეთის რაიონის საავადმყოფოს გახსნა.

კოოპერატივის წევრთა რიცხვი.

ახალქალაქი, 17 თებერვ. ამ ბოლო დროს მუშათა მთლიანი კოოპერატივის წევრთა ხელახალ რეგისტრაციის კამპანიის გამო შემჩნეულია კოოპერაციის წევრთა რიცხვის ზრდა. მუშკოპი ამ დღეებში შეუდგება იმ ღარიბ გლეხების წევრებად ჩაწერას, რომელთაც არა აქვთ საშუალება შემოიტანონ საწევრო გადასახადი. ამ გადასახადს დაჰფარავს წარსულ საოპერაციო წელში მიღებული მოგება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაბიჯი დააინტერესებს გლეხობას კოოპერაციით და აწევს უკანასკნელის ავტორიტეტს.

მარგანეცის გატანა.

ფოთი, 17 თებერვ. 1-დან 15 თებერვლამდე გავიდა მარგანეცით დატვირთული 5 უცხოელი გემი, რომელთაც გაიტანეს 21.523 ტონა; მარგანეცის წასაღებათ მოვიდა 5 გემი.

კვალიფიკაცია.

ქუთაისი. 17 თებერვ. შემჩნეულია, რომ ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშებმა, რომელთაც პირველად მოჰკიდეს ხელი ასეთ წარმოებას, სპეციალისტ მუშების ხელმძღვანელობით მაღალ კვალიფიკაციას მიაღწიეს.

ბამბის ქარხანა.

ქუთაისი, 17 თებერვ. საქართველოს საბამბო კომიტეტის ბამბის ქარხანა ქუთაისში უკვე მოქმედობს. ყოველ დღე იწმინდება 800 ფუთი ნედლი ბამბა. ნედლეულის მარაგი იკმარებს 1 ნახ. თვეს.

ახალქალაქის სამაზრო ბიუჯეტი.

ახალქალაქი, 17 თებერვ. რადგან სამაზრო ბიუჯეტი ჯერ-ჯერობით არ არის დამტკიცებული და ფინანსთა სახ. კომისარიატს არ მოუცია მაზრისთვის მორიგი დოტაცია, სამაზრო ბიუჯეტის მდგომარეობა კრიტიკულია, ზოგიერთ მოსამსახურეს, დეკემბრის ჯამაგირიც არა აქვს მიღებული. დაუკმაყოფილებელი რჩება მაზრის მრავალი გადაუდებელი მოთხოვნილება.

აჭარისტანი

მუშათა აღმშენებლობისათვის.

ბათომი, 17 თებერვ. მუშათა აღმშენებლობის გასაუმჯობესებლად და ცეცხლთან ბრძოლის საქმის გასაუმჯობესებლად ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ თავისი მოგებიდან აჭარისტანს მისცა 5.834 მან.

კრედიტი მუშათა კოლექტივებს.

ბათომი, 17 თებერვ. სახელმწიფო ბანკის აჭარისტანის განყოფილება უმუშევართა კოლექტივებს აძლევს 10.000 მანეთს გრძელ ვადიან სესხის სახით.

წერილები

წინ აღმშენებლობის და კულტურის გზით

(წერილი თელავის მაზრიდან).

კახეთის სოფელმა ფერი იცვალა. ის ეწაფება კულტურულ ცხოვრებას და განათლება-გათვითცნობიერებას.

კახელი გლეხი ახლა უკეთ სცხოვრობს, ვიდრე უწინ. მან ქონებრივადაც მოიმაგრა ფეხი. ეს უმთავრესად გამოიხატება სოფლის აღმშენებლობაში. ყველამ უკუ აგდო ფიცრების სახლები და აშენებს ქვიტკირის სახლს.

ღარიბები თითო ოთახს გვერდზე მართით, ხოლო საშუალო შეძლების გლეხის სახლის გეგმა ერთნაირია, მარანი და მაღლა ერთი ანუ ორი ოთახი აივნით. აი—ნიმუში კახელი გლეხის სახლისა.

რაც შეეხება საზოგადოებრივ ცხოვრებას, აღსანიშნავია მისი დაწინაურება ამ მხრივ. უპირველესად ყოვლისა სოფელი სასმელ წყალს აქცევს ყურადღებას, ბევრგან უკვე გამოიყვანეს წყალი. რასაკვირველია არის კიდევ ბევრი სოფლები, რომლებიც ამ მხრივ დიდ ნაკლულოვანებას განიცდის, მაგრამ ასეთი სოფლებიც იმედია დაინახავენ უპირველეს ყოვლისა წყლის საჭიროებას და ამას მიაქცევენ ყურადღებას.



ს. ფშაველის სახალხო სახლი

კახეთი შეუჩერებლივ წინ მიდის კულტურულადაც. აი—მაგალითად სოფ. ფშაველის სახალხო სახლი. ფშაველი ერთი მიყრუებული სოფელთაგანია თელავის მაზრაში, მაგრამ ყველა ამან ხელი ვერ შეუშალა აეშენებიათ კოხტა შენობა, სადაც მოთავსებული იქნება თემ-აღმასკომი, პარტკომი, სამკითხველო და სხვ. კულტურული დაწესებულებანი. შენობა თითქმის დამთავრებულია და ახლა შენდება ამავე შენობასთან ვეებერთელა დარბაზი წარმოდგენისათვის.

იმედია სოფ. ფშავლის გულშემატკივარი მეთაურნი თეატრის შენობასაც ისევე წარმატებით დაამთავრებენ, როგორც თვით სახალხო სახლი დაამთავრეს.

ვან—ლი.

ძველი მოურავი ძველ ზნეს არ იშლის

საკვირველია დადიანების ძველი მოურავი ძაძუ ქარდავას მოქმედება. ის ძველებურათ განაგრძობს გლეხების დაშინებას. ემუქრება სხვადასხვა სასჯელით. ყოფილმა მოურავმა ძაძუ ქარდავამ იყიდა 300 მანეთად ორი ქცევა მიწა კ. ხუბუტიასაგან.

ეს ყიდვა მან მოახერხა მის ბიძაშვილ ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარე მ. ქარდავას დახმარებით.

საჭიროა ასეთ მიწის მყიდველს და გამყიდველს მოეთხოვოს სასტიკი პასუხი. ქარდავას უკანონო მოქმედების შესახებ ათმა გლეხმა შეიტანა საჩივარი, მაგრამ ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარის დაუდევრობით საქმემ მიიძინა. საჭიროა ამას მიაქციოს ყურადღება მაზრის სათანადო ორგანოებმა.

მაგანის პირელი.

მალე საკუთარი თეატრის შენობა გვექნება

ამ სამი წლის წინათ შილდის საზოგადოებამ განიზრახა სახალხო სახლის აშენება და კიდეც ამოირჩია კომისია, რომელსაც საჭირო თანხის აკრეფა დააკისრა.

ამ სოფლის ინტელიგენტი, მუშა, გლეხი, თითქმის ყველა სცდილობდა [illegible] აეშენებიათ სახალხო სახლი... რამოდენიმე თვის შემდეგ მიზანსაც მიაღწიეს, ერთგული და კოლექტიური შრომით შენობა ააგეს, და[illegible] მაგრამ [illegible] სამუშაო მიატოვეს!—აქ რამდენიმე წარმოდგენები დაიდგა (ჯერ ისევ გაუმართავში), რომელზედაც სიხარულით ესწრება შილდის მცხოვრებნი.

ვფიქრობთ, რომ შილდის გლეხობა შესძლებს ახლო მომავალში ამ კულტურის კერის საბოლოოთ დამთავრებას.

ლადო მჭედლიშვილი.

ბოსლები საქონლისაგან იცლება

(ს. კოშკი ტეზერი, გორ. მ)

სოფელ კოშკის ტეზერი რამოდენიმე წელიწადია დახვეწებული იყო საქონლის ჭირისაგან. ამ ბოლო დროს ისევ გაჩნდა საქონლის ჭირი, რამაც გაანადგურა სოფელში მსხვილი ოთხფეხი. გლეხებმა პირველ ხანებში არ მიაქციეს ყურადღება ჭირს. ბოლოს, როცა ბოსლები დაცარიელდა, ძლივს მოიყვანეს ექიმი და აუცრეს დარჩენილ საქონელს.

დიდ შიშს განიცდიან მეზობელი სოფლები: ხაზუტის ტეზერი, ლიხ. კალთა და ბეყმის გლეხკაცობა. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს გორის მაზრის საბეითლო ხაექიმო განყოფილებამ სათანადო ყურადღება.

ტეზრელი.

მუშაობის სურვილი დიდია ჯერი საბჭოზეა

(ს. ასკანა, გურია)

ს. ასკანა გურიაში ცნობილია უხეირო გზებით. აღმართ-დაღმართი და წითელი მიწა, რომელიც არ იშრობს წვიმის წყალს, ხელს უწყობს გზების გაფუჭებას. დაახლოვებით ოცდაათი წელიწადი იქნება, რაც ასკანის გზები საფუძვლიანად არ შეკეთებულა. ეხლანდელ საბჭოსაც ამ დიდი საკითხისათვის ყურადღება არ მოუქცევია. მომავალმა საბჭომ კი ამ საქმეს უსათუოთ უნდა მოჰკიდოს ხელი. თუ იქნება თაოსნობა, ბოლო მოეღება „ზემოურ“-„ქვემოურობას“ და ყველა ერთსულოვნად იმუშავებს. ამ საქმის გაკეთებას ასკანის მეურნე გლეხობა შეძლებს. ამის მაგალითი უკვე გვაქვს: შარშან (1925 წ.) ასკანის გლეხობამ შეძლო წყალსადენის აგება ერთსულოვანი მუშაობით.

რაში გამოიხატება „ზემოურ“ „ქვემოურობა“? ეს ძველი ავათმყოფობაა. ყველას სურს გზა გაატაროს უსათუოდ თავის ეზოსთან და ეს კი მოუხერხებელია. ასეთ შემთხვევაში საჭიროა სათანადო ორგანომ თავისი ავტორიტეტული სიტყვა სთქვას. თუ საქ. გზათა სამმართველო დაგეგმავს გზებს მუშაობის დაწყება შესაძლებელია.

საქმის ნამდვილი ვითარება ასეთია: ოზურგეთიდან ს. ბახვამდე მიდის საეტლო გზა, ბახვიდან ს. ასკანის ცენტრამდე მხოლოდ ოთხი ვერსია. საეტლო გზა ხომ არ არის და არ არის, მაგრამ წვიმების დროს ფეხით, ცხენით და ურმით მიმოსვლაც შეუძლებელია. მდ. ბახვის წყალის ადიდებასთან ერთად იკარგება ხიდი (თუ შეიძლება ხიდი უწოდოთ ხის ერთ მორს, რომელზედაც გულ-მაგარი კაციც შიშით და კანკალით გადის), „გზებზე“, ისეთი ლაფი დგება, რომ პირდაპირ ნავია საჭირო.

ამ ოთხი ვერსი გზის საფუძვლიანად გაკეთება და ნამდვილი ხიდის აგება მდ. ბახვის წყალზე დიდი მიღწევა იქნება.

გლეხებში მუშაობის სურვილი დიდია. „ვინა რომ გზაზე არ იმუშავებს“, „მომიზომეთ ამხანაგებო, რაც მეკუთვნის და გავაკეთებ“, „ვილრიზობით ტალახში და მეთაური არ ჩანს“ „გამოვიდეთ ყველა ერთად—გზაც გვექნება და კვალიც“, „რათ გვინდა“ სკოლა და აფთიაქი, თუ უგზოობით სიახლოვეს ვერ მოვეკარებით“,—აი რას გაიგონებთ ასკანის გლეხობიდან.

მომავალ საბჭოს, ხალხი საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეს აკისრებს. ხალხში მუშაობის დიდი სურვილია. თუ საბჭო უნარიანი გამოდგა ს. ასკანაში გზები გაკეთდება.

ს. ჭეიშვილი.

ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია

(ს. კოხნარი, გურია)

სამი წელია მას შემდეგ, რაც კოხნარის თემში დაარსებულ იქნა სამეურნეო სკოლა. სკოლის გახსნას მცხოვრებლები დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ. ასეთი სკოლის გახსნის მიზანი გლეხობას ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის დროს ჰქონდა, მაგრამ მამული, რომელიც ეხლა სამეურნეო სკოლის განკარგულებაშია, კერძო პირის ხელში იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალ სამეურნეო სკოლას არ მოეპოვება საჭირო საწარმოვო იარაღები. თვით სკოლას კი არა აქვს შემოსავალი, რომ ნაწილობრივ შეიძინოს, როგორც იარაღები, აგრეთვე კულტურული მცენარეები. მიუხედავათ იმისა, რომ თემს აქვს სკოლისთვის საკმაო პირველი ხარისხის მიწა (20 დესეტინამდე), მაინც ვერ არის კარგს ნიადაგზე დაყენებული სწავლის საქმე. მიზეზი ამისა არის ერთის მხრივ ეკონომიური სილატაკე თემისა და მეორეს მხრივ კარგი აგრონომის არ ყოლა.

დღიდან სკოლის გახსნისა ხელისუფლებას მატერიალური დახმარება არ გაუწევია სკოლისათვის და ეს გარემოება საქმის წინ მსვლელობას აფერხებს.

ზ. დოლიძე.

წერილებიდან

ასურეთი (თბილ. მ.)

სკოლის სხვა რაიმე საქმეზე ჩამოსული მას- [illegible] ათიან სამკითხველოში. ზოგჯერ გარეთაც რჩებიან მთელი ღამეობით. აქ დარჩა ძველი ბინა, სადაც მასწავლებლები ითევდენ წინად ღამეს. თემაღმასკომმა უნდა იკისროს ამ ბინების მოწყობა საჭირო ქვეშაგებლით შეძენით.

ა. მაჩხვარეთელი.

ს. ითხვისი, (შორ. მ.)

ბაკურაძეს ქვრივი მიწებს ჰყიდის. ჭიათურელ ვაჭრის, ნიკო ბაკურაძის ქვრივს ს. ითხვისში ქმრისაგან დიდი ქონება დარჩა. ამ ქალმა უკანასკნელ ხანებში ხელი მიჰყო მიწების გაყიდვას. ადგილობრივი ხელისუფლება ამას ყურადღებას არ აქცევს. საჩხერის რაიაღმასკომო, შენ რას იტყვი ამის შესახებ?

პ. კიბისთაველი.

ს. ვანისქედი, (გურია)

ამდენი ხნის უჯამაგირობა დაუშვებელია. ადგილობრივ სამკითხველოს გამგეს წარსული წლის პირველ აგვისტოდან არ მიუღია შრომის ხელფასი. ის უმიწო-წყლო გლეხია. გარდა სამსახურისა, სხვა შემოსავალი არ გააჩნია. თუ კიდევ ასე გაგრძელდა სამკითხველო უგამგოთ დარჩება.

ქედელი ვანო.

ს. ცაიში (ზუგდ. მ.)

არსებობის შესახებაც არაფერი იციან. აქაური გლეხკომი დიდ უმოქმედობას იჩენს. გლეხებმა არც კი იციან მის არსებობის შესახებ. ასეთი გლეხკომი ვის რაში გამოადგება?

შიო ქოთომი.

ს. გოგაშენი, (ახალქალ. მ.)

დაკარგული ბავშვი. ადგილობრივ გლეხს [illegible] 1919 წელში დაკარგა და ნინა ივანეს-ასული კოჟორიძე. მისი ცნობით დაკარგული ბავშვი ქუთაისში იმყოფება, რისთვისაც ის სთხოვს ყველას, ვინც კი რამე იცის ამ ბავშვის შესახებ აცნობოს მას ს. გოგაშენში თემაღმასკომის მისამართზე.

აქაური გლეხკორი.

ლეწურწუმეს თ. (ზუგდ. მ.)

არც კოოპერატივი, გვაქვს არც სამკითხველო. ჩვენს თემში არ არსებობს კოოპერატივი და არც ქოხ-სამკითხველო. მეზობელ ჩხოროწყუს გვაშორებს მდ. ხობის წყალი, რომელზედაც ხიდი არ ვარგა და გლეხები ამ ზამთარში ფეხით გადიან მდინარეში. საჭიროა ასეთ მდგომარეობას მიაქციოს ყურადღება თემაღმასკომმა და მაზრამაც აღმოუჩინოს მას შესაფერისი დახმარება.

ი. წურწუმია.

სოფლის ქრონიკა

— **სენაკში** დაარსდა ინვალიდთა ორი არტელი.

— **დახმარება.** სენაკის მაზრის სათემო გლეხკომებმა გადაწყვიტეს დაეხმარონ წითელ-არმიელთა და ომის ინვალიდთა ოჯახებს საყანე ადგილების დამუშავებაში.

— **მგლები.** გუდაუთის თემში (აფხაზეთი) გამოჩნდნენ მგლები, რომლებიც იტაცებენ შინაურ პირუტყვებს. გლეხები ითხოვენ დახმარებას.

— **აჭარის მაზრებში** ამ ჟამად არსებობს 12 სადეზინფექციო კამერა.

— **ფართლეულობა.** ახალსენაკის კოოპ. კავშირმა მიიღო დიდძალი ფართლეული, რომელიც დაურიგდება ძირითად კოოპერატივებს.

ქართველ მწერალთა ყრილობა

ხელოვნების საქმეთა მთავარი
საბჭო
ამით აცხადებს, რომ
კვირას, ა/წ. 21 თებერვალს, საღამოს 7 საათზე
ხელოვნების სასახლეში
დანიშნულია
ქართველ მწერალთა ყრილობა

წესრიგი:

1) მიმდინარე მომენტი და ქართულ მწერლობის ამოცანები,
2) სახელმწიფო გამომცემლობა,
3) ხელოვნების სასახლის შესახებ,
4) ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს მუშაობა,
5) მწერალთა კავშირის საბჭოს არჩევნები,
6) ხელოვნების სასახლის საბჭოს არჩევნები.

ყრილობას დაესწრებიან ქართველ მწერალთა სათანადო კავშირების მიერ არჩეული დელეგატები.

ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭო.

ხ. 759 3—3

საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავის აღსანიშნავად

საქ. ცაკთან არსებულ ზეიმის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ

შეიმუშავა ზეიმის ჩატარების შემდეგი წესი:

1. 24 თებერვალს, საღამოს მოეწყობა შეერთებული საზეიმო სხდომა საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის, თბილისის საბჭოსა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, მუშათა, სამხედრო, პარტიული, მოსწავლეთა, კომკავშირელთა და სხვა ორგანიზაციების თანადასწრებით.

25 დილით—დემონსტრაცია, მანიფესტაცია და სამხედრო ნაწილების აღლუმი (საღამოს: უფასო თეატრი, კინო და სხვა გასართობები).

25 თებერვალს მაზრებში მოეწყობა საბჭოთა საზეიმო სხდომები, რომლებზედაც გაკეთებული უნდა იქნეს მოხსენება საქართველოს გასაბჭოებისა და მის მიღწევებზე 5 წლის განმავლობაში, დემონსტრაციები და სამხედრო ნაწილების აღლუმი.

თბილისში მოხდება თურქთა პედაგოგიური ტეხნიკუმის საზეიმო გახსნა, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებში და მაზრებში, მოწყობილ საწარმოო, ან კულტურული დაწესებულებათა გახსნა უნდა მოხდეს ზეიმის დღეებში.

2. ავტონომიურ რესპუბლიკებში: აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე—ცაკის თავმჯდომარე.

წარმომადგენელნი: 2. საოლქო კომიტეტისა, 3. პროფორგანიზაციისა, 4. სამხედრო ნაწილებისა, 5. კომკავშირელებისა, 6. ქალთა განყოფილებისა, 7. ინტელიგენციისა, მუშათა და უპარტიო გლეხთა.

3. შეიქმნას სამაზრო კომისიები შემდეგი შემადგენლობით: 1. კომისიის თავმჯდომარე—მაზრაღმასკომის თავმჯდომარე, 2. სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელნი, 3. მაზრის პროფბიუროს, 4. სამხედრო ნაწილების, 5. კომკავშირელთა, 6. ქალთა განყოფილების, 7. ინტელიგენციის, მუშათა და უპარტიო გლეხთა წარმომად., 8. დაწვრილებითი გეგმის გამომუშავება ადგილობრივად ზეიმის ჩასატარებლად ევალება ადგილობრივ კომისიებს.

ლიტერატურა საქართველოს გასაბჭოების შესახებ

მომხსენებლებს შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი ლიტერატურით.

1. **ფ. მახარაძე** „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში", სახელგამის გამოცემა 1921 წ. 112 გვ.
2. **მარტინოვი ა. ს.** „მენშევიზმის ლიკვიდაცია საქართველოში" (მოხსენება პასუხისმგებელ მუშაკთა კრებაზე 1923 წ. 7 აგვისტოს. „კრასნაია ნოვ"-ის გამოცემა. მ. 1923 წ. გვ. 39.)
3. **მისივე** „მენშევიზმის და ბოლშევიზმის შესახებ (მოხსენება 1 რაიონის ყოფილ მენშევიკ-რკინისგზელების კონფერენციაზე ქ. თბილისში, „რაბოჩაია პრავდა"-ს გამოცემა თბილისი 1923 წ.
4. **ი. შაფირი.** „სამოქალაქო ომი რუსეთში და მენშევიკური საქართველო", სახელგამი.
5. **რუბენ.** „ქართველი ჟირონდის დაშლა" გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-ს გამოცემა, თბილისი, 1924 წ. გვ. 103.
6. **არქომედ, ს. ტ.** „მასალები ამიერ-კავკასიის რუსეთიდან ჩამოშორების ისტორიისათვის" გამოც. „კრასნიაი კნიგა", თბილისი, 1923 წ. გვ. 85.
7. **ლ. ტროცკი.** „იმპერიალიზმსა და რევოლიუციას შორის". რევოლუციის ძირითადი საკითხები საქართველოს კერძო მაგალითზე. რ. ქ. პ. ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის, თბილისი 1922 წ. გვ. 119.
8. **საბჭოთა საქართველოს 1924 წ. მიღწევების მოკლე მიმოხილვა.**
9. **საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიაზე ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენების მოკლე მიმოხილვა.**
10. **საქართველოს კომუნისტური პარტიის მეოთხე ყრილობა.** 1925 წ. 30/XI—5/XII სტენოგრაფიული ანგარიში. საქ. კომპარტიის ცეკას გამოცემა. თბილისი.

ამხ. ელიავას მოხსენება „საქართველოს მრეწველობის შესახებ. გვ. 13.

11. **ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება** ამიერ-კავკასიის ცაკის მე-2 სესიაზე, ერევანში. ამხ. ორახელაშვილის მოხსენება. „ზარია ვოსტოკა" № 1087, 1926 წ. 7 იანვარი.
12. **ამიერ-კავკასიის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.** ლუკაშინის მოხსენება. „ზარია ვოსტოკა" № 1089, 1926 წ. 29 იანვრის №.
13. **ამხ. ლუკაშინის მოხსენება ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციის მე-4 ყრილობაზე:** „მრეწველობის შესახებ".
14. **ამხ. ორჯონიკიძე**—„მენშევიკურ ავანტიურის შესახებ". „რაბოჩ. პრავდ." გამოცემა.

ქართულ ენაზე

1. „ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო„. საქ. კომპარტიის ცეკას საგიტ. საპროპაგ. განყოფ. გამოც. კრებული. 1923 წ. გვ. 330. თავები: 1. გზა ოქტომბრისაკენ, 2. ოქტომბრის რევოლიუცია და მისი ადგილი ისტორიაში. 3. ოქტომბრის რევოლიუცია და მენშევიკური საქართველო, 4. ოქტომბერი საქართველოში.
2. **ტროცკი** „იმპერიალიზმსა და რევოლიუციას შორის". ცეკას საგიტ. საპროპ. განყ. გამოცემა. თბილისი 1922 წ.
3. **ფ. მახარაძე**—„მენშევიკურ პარტიის დიქტატურა საქართველოში". საქ. სახელგამის გამოცემა. თბილისი 1922 წ.
4. **ავალიშვილი** „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918—1921 წ. პოლიტიკა. მოგონებანი და მიმოხილვები. პარიზი, 1924 წ. თარგმანი. შალვა ელიავას წინასიტყვაობით. „ზაკნიგას" გამოც. 1925 წ. გვ. 403.
5. **კახიანი**—„მენშევიკური გამოსვლების დასკვნები და გაკვეთილები".

ყველა ჩამოთვლილ მასალებით შეიძლება ისარგებლონ საგიტ.-საპროპაგ. მუშაობის კაბინეტში (საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის ყოფ. ცენტრალ. პარტ. კლუბი, კირკის ქ.) საღამოს 5—9 საათამდე.

საქ. კომპარტიის საგიტ.-საპროპ. მუშაობის კაბინეტი.

მუშათა ცხოვრება

სტამბის მუშები რევოლიუციის მუზეუმში

14 თებერვალს, გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა ინახულეს საქ. რევოლიუციის მუზეუმი ექსკურსიის სახით. თუმცა მუზეუმის დასათვალიერებლათ ჩვენი სტამბიდან 100-მდე ამხანაგები ჩაეწერენ, მაგრამ ყველამ ვერ მოიყარეს თავი და შევგროვდით მხოლოდ 50 კაცამდე. ვინაიდან მუზეუმის სანახავად წინდაწინვე ერთი კვირით ვიყავით რიგში ჩაწერილნი, ამიტომ მისვლისთანავე მუზეუმი თავისუფალი დაგვხვდა და ჩვენც შეუდექით მის დათვალიერებას.

რასაკვირველია, მუზეუმის ზერელე დათვალიერება მუშებს ვერაფერს მისცემდა, რომ აქ თვით მუზეუმის დირექტორი ამხ. ბ. ბიბინეიშვილი და სხვები არ მოგვეშველებოდა, რომლებმაც სტამბის მუშებს დაწვრილებით გააცნო ყველა ის განყოფილებანი, რომელნიც დალაგებულად არის მოთავსებული მუზეუმის ოთახებში ბატონყმობის ეპოქიდან დაწყებული—რევოლუციის უკანასკნელი ეპოქის განვითარებამდე და თავდება საბჭოების გაბატონების ხანით საქართველოში.

ყველა ამ განყოფილებების დათვალიერებამ და იმ ახსნა-განმარტებამ, რომელიც ჩვენი სტამბის მუშათა ექსკურსიამ მოისმინა ამხ. ბიბინეიშვილისაგან მუზეუმში გამოფენილი საგნებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ წარსული რევოლიუციის სხვადასხვა ეპოქიდან, ყველა მუშებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და მუშებიც კმაყოფილი დარჩნენ რევ. მუზეუმის დათვალიერებით.

სტამბის მუშა-მოსამსახურეთა სასახელოდ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ყველა მათგანი მეტად დაინტერესდა მუზეუმის დათვალიერებამ, მხოლოდ სამწუხაროა ის, რომ ყველა ვერ დაესწრო ამ მეტად სასიამოვნო ექსკურსიას. ჩვენი ვალია შემდეგში რევოლიუციის მუზეუმის დათვალიერებას და მის გაცნობას ყველა თბილისის სტამბის მუშა დაესწროს და გაეცნოს იმ რევოლიუციურ წარსულს, რომლის უმთავრესი ცენტრი ამიერ-კავკასიაში თბილისი იყო. მით უმეტეს, სტამბის მუშები უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ამ მოძრაობის პირველი საფეხურის განვითარებას იმ აუარებელი პროკლამაციების, ბროშიურების და სხვადასხვა სახის მოწოდებების არალეგალურ სტამბებში ბეჭდვით, რომელიც ასე უხვად არის გამოფენილი რევოლიუციის მუზეუმში.

აქვე სურათზე გადაღებულია აგრეთვე ავლაბრის საიდუმლო სტამბა, ქუთაისის და მოსკოვისაც, სადაც ჩუმად იწყობოდა, იბეჭდებოდა და მზადდებოდა თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პროკლამაციები და მუშებში ვრცელდებოდა გამოძახილს მეფესთან საბრძოლველად.

ერთი უმთავრესი მნიშვნელობა რევოლუციონური მუზეუმისა კიდევ იმასაც აქვს, რომ დღეს მუშების მოწინავე ამხანაგები პოლიტიკურ ცოდნას იძენენ და სწავლობენ წარსულ რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას, ეცნობიან ბოლშევიკ-მენშევიკთა განხეთქილებას, მის მიზეზებს, რომლებსაც მთლიანად გაეცნობა მუშათა ექსკურსია რევოლიუციის მუზეუმის დათვალიერების დროს და თავის თვალით ნახავს იმ სურათებს, რომლებიც აღწერილია ზინოვიევის „კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია"-ში და კოვალენკოს პოლიტცოდნის სახელმძღვანელოში.

ერთი პატარა შენიშვნა პოლიგრაფტრესტის სტამბის მუშების საყურადღებოთ და მათ სასაყვედუროდ: მუზეუმის ხელმძღვანელი ამხანაგები მესამე კვირაა, რაც ელოდებიან მათ ექსკურსიას, ისინი ჯერაც არ ყოფილან დასათვალიერებლად, რიგი კი დაუკავებიათ და ამით აფერხებენ სხვა მუშების ექსკურსიას მუზეუმის გაცნობის მიზნით.

თუ არ უნდათ მოსვლა და ნახვა, მათი ნებაა, მხოლოდ მესამე კვირაა რიგში არიან, სხვა ექსკურსიას უარს ვეუბნებით და ისე ტყუილ-უბრალოდ დრო გვეკარგებაო!—ასეთია უკმაყოფილება მუზეუმის დირექციისა პოლიგრაფტრესტის მუშებისადმი.

სამწუხაროა ერთი რამ: შენობა მუზეუმისა მეტად პატარაა და ეს ძალიან უშლის ექსკურსიას ხელს. გარდა ამისა, საჭიროა მიღებულ იქნეს მხედველობაში ისიც, რომ მუზეუმი ღიაა დილის 10 საათიდან დღის 4-დე, ამ დროს კი მთელი მუშათა კლასი წარმოებებშია სამუშაოდ და მსურველიც რომ ბევრი იყვეს, მუზეუმს ვერ დაათვალიერებს.

ვფიქრობ, მუზეუმის დათვალიერება მიზანშეწონილი იქნება, თუ რომ მუშათა ექსკურსიას საშუალება ექნება მუშაობის გათავების შემდეგ მისი ნახვისა და გაცნობისა.

ამისათვის საჭიროა, რომ მუზეუმის დათვალიერება შეეფარდოს მუშის თავისუფალ დროს საღამოობით.

ეს კი საშუალებას მისცემს რევოლიუციონ მუზეუმს მისი შემოსავლის წყაროც გააფართოვოს. ყველა მუშა შესძლებს 10 კაპ. გადახდას, თუ ამას ორგანიზაციული ხასიათი მიეცემა ექსკურსიის სახით და ყველა დარგის პროფკავშირები თავიანთ წევრებს უხელმძღვანელებენ ამ საქმეში.

დღესდღეობით კი მუზეუმის შემოსავალი უქმე დღეებში მთელი დღის განმავლობაში გროშებითაა დასათვლელი, რაც მეტად სამწუხაროა. საქართველოს რევოლიუციის მუზეუმი კი საჭიროა ყველა მუშამ ნახოს და გაეცნოს ამ შესანიშნავი შენობის იმ სიმდიდრეს, რომელიც ამ პატარა და ვიწრო ოთახებში რიგზე დალაგებულია ემელიან პუგაჩოვის ამბოხების ეპოქიდან დიადი ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებამდე.

აუცილებელია მუზეუმისათვის ფართო შენობა, მისი დათვალიერების დროის შეფარდება მუშების თავისუფალ დროსთან, ე. ი. საღამოობით, ექსკურსიის ფართედ ჩაბმა, განყოფილებების განათება და ავეჯის ფართე მოწყობა. სოფლიდან ჩამოსულ გლეხთა ექსკურსიებისა, რომლებიც გაეცნობიან აქ იმ წყეულ ბატონყმობის ხანას, როდესაც თავად-აზნაურობა თავიანთ ყმებს მაძებარ ძაღლებში უცვლიდენ ერთმანეთს, როცა შეამჩნევდენ რომელიმე ყმის ურჩობას და ჯიუტობას.

მეტი ყურადღება საქართველოს რევოლიუციის მუზეუმს!

გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის მუშების გულითადი მადლობა ამხ. ბ. ბიბინეიშვილს ახსნა-განმარტებისათვის.

ასოთ-ამწყობი—**შ. ჯაში.**

ს. პ. ქ. ს პროფ-კურსებში

გასულ წლის დეკემბერში გაიხსნა პროფ-მუშაკთა მოსამზადებელი კურსები, რომელიც პროგრამის მიხედვით ამა წლის მაისის პირველ რიცხვებში უნდა დასრულდეს. მსმენელთა უმრავლესობა გამოგზავნილია მაზრებიდან სხვადასხვა კავშირების მიერ, მეცადინეობა სასურველად სწარმოებს სამოსწავლო ნაწილის და ლექტორთა ენერგიული მუშაობით. აღნიშნულ კურსების მოწყობა პირდაპირ აუცილებელ საჭიროებიდან გამომდინარეობს. თუ რამდენათ გაამართლებენ კურსები მათზე დაყრდნობილ იმედს, ამის თქმა ჯერ ადრეა, მაგრამ ახლავე სჩანს, მეცადინეობის შედეგებიდან, რომ მალე გვეყოლებიან შესაფერისად გამოწვრთნილი და მომზადებული პროფ-მუშაკები, რომელნიც დაუბრუნდებიან საკავშირო მუშაობას და შეგნებულათ გამოასწორებენ ყოველივე სუსტს და მახინჯ მხარეებს, რომელსაც ადგილი აქვს პერიფერიებში ჩვენი პროფესიონალურ კავშირების ქვედა ორგანიზაციებში. 9 თებერვალს მოხდა კურსკომის არჩევა, სადაც გავიდენ ამხ. შ. ქიქინაძე დ. იაშვილი და გაბრიაძე.

კურსკომს დაევალა მრავალი საკითხების მოგვარება და ხელის შეწყობა მეცადინეობის წესიერ მსვლელობისა.

პროფ-კურსანტი.

ჭკუა და წესი ასწავლეთ ამ ვაჟბატონს

ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან არსებობს ელსმენთა ცენტრალური სადგური, რომელიც აერთიანებს ქალაქის ელსმენებს რიცხვით 14-ს. ამავე სადგურთან არიან შეერთებული მაზრის თემების ელსმენები. მორიგეობა სწარმოებს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოთი კი მოდიან ხაზების გასასინჯავათ და მაშინ, თუ მოისურვეს, ქალაქის გარეთი თემების ელსმენების შეერთება, — ეს მათი სურვილია თუ არა და მორიგეები მეტ ხანს შეექცევიან ბაასს ვინმე „პიროვნებასთან" თუ რომ ვინმე ეცდება ვინმესი ქალაქ შეგნით, თუ გარეთ, საჭიროა რამდენიმე წუთები უცადოთ, რომ მოიცალოს მობაასე მორიგემ და თუ შეკადრეთ მას საყვედური, თუ ამდენ ხანს, რატომ ან პასუხი არ გაგცათ ვაი, მტერს. მაშინ იძულებული იქნები ფეხით მისვიდე იმასთან, ვისაც უძახდი, ვინაიდან შეერთებას ვერ ეღირსები.

ხშირია ასეთი შემთხვევა: 11 თებერვალს სენაკიდან რეკავს სენაკის მორიგე, ზუგდიდი არ აძლევს პასუხს, ბოლოს ძლივს ეღირსა სენაკი პასუხს და პასუხად სენაკის მორიგე ქალისა, თუ რატომ ამდენხანს ზუგდიდის მორიგემ არ გასცა პასუხი მას, მან მიიღო ბ-ნ ზუგდიდის მორიგედან შეურაცხყოფა.

საჭიროა ზუგდიდის ელსმენის მორიგეებმა შეამცირონ კერძო ბაასი, შეაერთონ ელსმენები თავის დროზე და რაც მთავარია იყვნენ ზრდილობიანი.

მათ ყურის გდება ევალება ზუგდიდის ფ-ტელ. კანტორის უფროსს.

ტეტივი.

აქაც სიფრთხილეა საჭირო

წყალტუბოს აბანოს აუარებელი რევმატიზმით დასნეულებული ხალხი ეხვევა, განსაკუთრებით გლეხობა. სოფლად ნაკლებია ვენერიული ავადმყოფობა. და თუ შემთხვევები არის, ესეც ვინმე ჩაიტანს ხოლმე ქალაქიდან. ამ მხრივ დიდი სიფრთხილეა საჭირო წყალტუბოს აბანოში. გასულ წელს კი ვერ იყო ეს საქმე სათანადოდ მოწყობილი, და ამ სიფრთხილისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

არეული იყვნენ სოფლის და ქალაქის ავადმყოფები ერთად და ერთ დიდ ოთახში 40—50 კაცი ერთად ბანაობდა. ვენერიული ავადმყოფობა კი ძალიან ადვილად გადადის ადამიანზე და ისიც ერთად ბანაობის დროს. ამ გაუფრთხილებლობამ შარშან გამოიწვია სოფლის ხალხის ვენერიული ავადმყოფობით დასნეულება.

რომ ამ წელს ეს არ მოხდეს, საჭიროა ზომების მიღება, რომ ავადმყოფები წინასწარ გაისინჯონ და თავთავის ალაგას განაწილდეს.

მუშკორი **ვ. სა—ვაძე.**

გამოგზავნილი წერილებიდან

— **მუშათა უბნებს დიდი ყურადღება ექცევა.** ძველ დროს და მენშევიკების დროსაც მუშათა უბნებს ნაკლები ყურადღება ექცევა ყოველმხრივ. ორთაჭალა ყოველთვის საშინელ სიბნელეში იმყოფებოდა. ეხლა კი ორთაჭალაში გაყვანილია ელექტრო-განათება და მთელი უბანი გავარაყებულია ელექტრო-შუქით.

აქაური მუშა-მცხოვრებლები ულრმეს მადლობას უძღვნიან აღმასკომს.

მუშკორი **ი. ჯ.**

— **ესეც მოაგვარეთ.** ორთაჭალაში ყოფ. ბიზიროვის ქ. მე-2-რე სარტილერიო ლეგიონის შენობის ირგვლივ არის პატარა დალმართი, რომელსაც ძალზე ანადგურებს აღნიშნულ შენობის მილებიდან გამომდინარე წყალი.

მუშკორი—ვანო ჯ.

— **ასეთ ცოლქმარს ჭკუა უნდა ასწავლოთ.** ბათუმის შესახვევში № 8 სახლში სცხოვრობს მოქ. გიორგი ადამოვი თავისი ცოლით. ამ „პატივცემულ" ცოლქმარის ყოველდღიური ჩხუბითა და აყალმაყალით მობეზრებული არიან ეზოს მდგმურები.

„ცოლქმრის" ყოველდღიურ გასართობ საგანს შეადგენს ჩხუბი ლანძღვა-გინება და ცემა-ტყეპა. ამაებს დასასრული არა აქვს.

საჭიროა მათ წინააღმდეგ მიღებულ იქნეს შესაფერი ზომები ვისგანაც ჯერ არს.

მილიციამ უნდა ასწავლოს მათ ჭკუა.

მუშკორი—**მილიციელი.**

— **მოარჯულეთ ეს თავხედი.** ყვირილის ქუჩაზე №-2 სახლში სცხოვრობს რკ. გზის მოსამსახურე ნოე ხუცია თავისი ცოლშვილით, რომელსაც ლანძღვა-გინებით იკლებს ამავე ეზოში მცხოვრები იაშა ავანოვი.

იყო შემთხვევა ავანოვი ოჯახში მიუვარდა ხუციას და მის სახლში არ ყოფნის დროს გალახვას უპირებდა მის ცოლს.

ასწავლეთ ჭკუა.

მუშკორი—**მი—ციელი.**

— **ამათაც უნდა ასწავლოთ ჭკუა.** ბაქოს ქუჩაზე № 7 სახლში სცხოვრობს მოქ. კუპრანოვი თავისი ცოლშვილით, რომელიც ბინის ქირას იხდის როგორც საბჭოთა მოსამსახურე. რა თქმა უნდა სახლის პატრონს არაფრად ესიამოვნება კუპრანოვისთანა მდგმური, მაგრამ რა გაეწყობა... სამაგიეროთ კუპრანოვის ოჯახს და მასთან მისულ სტუმრებს ლანძღვა-გინებით იკლებს სახლის პატრონის ნათესავი ქალი ქეთევან გვერდწითელისა. ამავე სახლში სცხოვრობს ვაჟარ ლვაზერიას ცოლი და კუპრანოვის ოჯახის ლანძღვა-გინებაში ისიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობს.

თუ კუპრანოვმა იჩივლა სასამართლოში ან მილიციაში თავისი შეურაცყოფის შესახებ, მაშინ სახლის პატრონი ქეთევან გვერდწითელისა და ლვაზერიას ცოლი ცრუ მოწმეებათ მისდევენ ერთიმეორეს და ასე ავიწროებენ კუპრანოვის ოჯახს, რათა როგორმე აიძულონ და დააცლევინონ ოთახი.

მილიციავ, მისცემ ამის ნებას?

მუშკორი—**მილიციელი.**

— **განებივრებული დედაკაცი.** ჭიათურის მუშკოოპის მაღაზია № 1-ში მოლარედ არის ერთი ქალი ვინმე დურ-ოღლი, რომელსაც თავისი გვარი გადაკეთებული აქვს დურმიშიძედ. ეს დედაკაცი იმდენად გათავხედდა, რომ მუშებს ხურდა ფულებს არ აძლევს. ყოველთვის აკლებს 15—20 კაპ. და თუ რომელიმე მუშამ მოითხოვა ასეთი, იგი მას ლანძღვა-გინებით ისტუმრებს მაღაზიიდან.

საჭიროა ამ დედაკაცს ჭკუა ასწავლოთ.

მუშა-ჭიათურელი.

ქრონიკა

რკინისგზების ელექტროფიკაცია.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს მიერ შემუშავებული გეგმით მახლობელ 5 წელში უნდა განხორციელებულ იქნეს ხაშურ-ზესტაფონის, თბილის-ხაშურის და ზესტაფონ-სამტრედიის რაიონების ელექტროფიკაცია.

შინამრეწველობის პუნქტები.

მახლობელ 5 წლის განმავლობაში საქართველოში უნდა მოეწყოს 30 შინა-მრეწველობის პუნქტი. 3 ასეთი პუნქტი უკვე დაარსებულია, ხოლო ამ წლის ბოლომდე განზრახულია მათი რიცხვის აყვანა ათამდე.

უ. ლაბასის გამგზავრება ჭიათურაში.

გუშინ სააქციონერო საზოგადოება „ქართული მარგანეცის" რწმუნებული ჟიულ ლაბასი და მისი თანაშემწე დე-რობერტსი გაემგზავრენ ჭიათურაში.

პროფკავშირთა ყრილობის გადადება.

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობა გადადებულია 7 მარტისათვის. ყრილობაზე მოხსენებით გამოვლენ ამხ. ტომსკი და დოგადოვი.

ტყიბულის ქვანახშირი.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო გამორკვევა იმის, თუ რა მოთხოვნილებაა ტყიბულის ნახშირზე, როგორც სათბობ მასალაზე.

სატყეო თათბირი.

28 თებერვალს შესდგება ამიერ-კავკასიის სატყეო თათბირი.

საკრედიტო თათბირი

მარტში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ინიციატივით გაიმართება საოლქო თათბირი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ.

უპ. ალმასკომში.

— **საძოვრები.** თბ. აღმასკომმა დაამტკიცა თბ. მაზრაში მდებარე საძოვრებით სარგებლობის ნიხრი.

— **პასუხისგებაში მიცემა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა პასუხისგებაში მისცეს თელეთის აღმასკომის თავმჯდომარე მოქ. ღლონტი და ასურეთის აღმასკომის ყოფ. თავმჯდომარე თეთრაშვილი, თანამდებობის აღსრულების დროს ბოროტმოქმედების ჩადენისათვის.

— **ქალაქის ბაღები.** თბ. აღმასკომმა დაადგინა იჯარით გასცეს აღმასკომის კუთვნილი ბაღები.

— **მაზრაში საექიმო პუნქტებში** თბ. აღმასკომის წინადადებით ჯანმრთელობის განყოფილების მიერ შემოღებული იქნება პროფილაქტიური (ავადმყოფობის წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღება) მუშაობის წარმოება, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

— **აბანოების შეკეთება.** იანვარში აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ შეაკეთა ქალაქის ყველა აბანო.

მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატში.

— **ტყის მოწყობა.** მიწათ-მოქმ. კომისარიატის სატყეო განყოფილების ცნობით საქართველოში მოსაწყობი და გამოსაკვლევია 1.300 ათასი დესეტინა მიწა.

— **სატყეო მასალა.** მთელ რესპუბლიკაში (ავტონომიურ რესპ. გარდა) მოსახლეობის საჭიროებისათვის ყოველწლიურად იცემა 220 ათასი კუბ. საჟენი სატყეო მასალა. ამდენივე რაოდენობა ემატება ჩვენს ტყეებს ყოველწლიურად.

— **ა|კ. სატყეო მეურნეობის** მუშაკთა ყრილობა მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის ცნობით გაიხსნება თბილისში 28 თებერვალს.

ბრძოლა საქონლის ჭირის წინააღმდეგ.

— **საქონლის ჭირის წინააღმდეგ** საზეითლო სამმართველომ სხვადასხვა მაზრებში გაგზავნა 1,150 ლიტრი შრატი.

— **ციმბირის წყლულთან ბრძოლის** გასაძლიერებლათ საზეითლო სამმართველომ დაამზადა საჭირო წამლეულობა.

— **ტაბახმელის საშრატე სადგურმა** იანვარში დაამზადა 1200 ლიტრი საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

— **სამხრეთ-ოსეთის სოფლებში** ბეჟაანთ კარში და უბისში გაჩნდა საქონლის ჭირი.

საქართველოს წითელ ჯვარში.

— **წითელი ჯვარის საზოგადოების** სამკურნალო დაწესებულებათა რიცხვი ამ ჟამად უდრის 34-ს.

— **საექიმო დახმარება.** გასულ წელს წითელი ჯვარის სამკურნალო დაწესებულებებმა მთელ რესპუბლიკაში უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინეს 174 ათასამდე ავადმყოფს.

სხვადასხვა.

— **მუშათა კოოპერატივი—პასსაჟი** (რუსთაველის პრ.) ყოველდღიურათ ვაჭრობს 5000 მან. კოოპერატივთან გაიხსნა ორი ახალი განყოფილება: საკანცელარიო ნივთების და ქუდების.

— **დაზღვეულ** მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ამ ჟამად აღწევს 38,350 კაცს.

— **ელევატორი ფოთში.** სააქც. საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი", შეუდგება ახლო ხანში ფოთში ელევატორის აგებას, რითაც ძლიერ გაადვილდება გემების დატვირთვა-გადატვირთვა.

კრებები და მოხსენებები.

— **საქ. მუზეუმის სააუდიტორიო** დარბაზში პარასკევს, თებერვლის 19, სად. 7 ს. დანიშნულია საქართვ. გეოგრაფიული საზოგ. პედაგოგიური განყოფილების წევრთა საერთო კრება. მომხსენებელია გიორგი ნიკოლაძე—„რკინის გამოდნობა მადნიდან და ჩათახის ქარხანა".

— **სოციალურ უზრუნველყოფის სამაზრო ინსპექტორების თათბირი.** თებერვლის 20-ს სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში გაიხსნება სოც. უზრუნველყოფის სამაზრო ინსპექტორების თათბირი. თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1. მოხსენებები ადგილებიდან, 2. საორგანიზაციო საკითხი, 3. ხარჯთაღრიცხვის საკითხი, 4. სახელმწიფო უზრუნველყოფის საკითხები, 5. გლეხთა ურთიერთდახმარების საკითხები, 6. ინვალიდთა არტელები, 7. მიმდინარე საქმეები.

— **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ცნობაში ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გლეხობისათვის გადაცემის შესახებ შეცდომით სწერია: საქართველოში გადაეცა გლეხობას 45.000 დესეტ. ტყე, უნდა იყოს: 145.000 დესეტ. ტყე.

შემთხვევები

— **ავტომობილიდან** ტანისამოსის და სხვა ნივთების მოპარვისთვის შეიპყრეს ამბარცუმ ხაჩატუროვი.

— **თავდასხმა.** 16 თებ. ღამით მნაცაკანოვის ხიდზე ალექსანდრე ბეგიაშვილს დახვდა ორი შეიარაღებული უცნობი პირი გაძარცვის მიზნით, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

— **შეპყრობა.** 11 თებ. შეიპყრეს ქურდები ხაჭაპურიძე და ჯახაძე.

— **თბ. აღმასკომის შენობაში** პარასკევა ამაშუკელს მოპარეს 300 მ.

— **მუშათა სასახლის შენობაში** მარიამ აზმაიპარაშვილს მოპარეს საფულე.

— **ბანდიტის შეპყრობა.** სადგურ იორათან (გარე-კახეთი) შეიპყრეს ბანდიტი ივანე ყველაშვილი.

— **ქურდობა.** სოფ. ხაშმში გაქურდეს ჭიბრიშვილის სავაჭრო.

— 14 თებ. პლეხ. პრ. № 117 გაქურდეს მაისურაძის ბინა.

— 16 თებ, სასტუმრო „ნოე"-დან მოიპარეს 80 მ. ნივთები.

სახალხო ჯანმრთელობა

კეთრი

რა არის კეთრი

კეთრი (რუსულად „პროკაზა", მედიცინაში „ლეპრა"-ს სახელით არის ცნობილი) ეკუთვნის კანის სნეულებათა კატეგორიას. იგი გადამდები სენია და მასთან ძნელად მოსარჩენი. ეს სენი ძალზე გავრცელებული ამერიკაში, სადაც მითი შეპყრობილთ ასახლებენ სპეციალურად საამისოდ მიჩნეულ კუნძულებზე, ასე რომ კეთროვანს სრულიად განაცალკევებენ ხოლმე საზოგადოებისაგან.

ეს გამოყოფა (იზოლიაცია) ჯერჯერობით ერთი მთავარი საშუალებათაგანია ამ სენთან ბრძოლაში. იზოლიაციისათვის აწყობენ ე. წ. ლეპროზორიებს და ლეპროკოლონიებს, სადაც ათავსებენ ავადმყოფებს. (ლეპროზორია არსებობს ჩრდილო კავკასიაში, სტანიცა ხოლმსკაიაში).

კეთრი ამიერ-კავკასიაში

რაც შეეხება კეთრის არსებობას ამიერ-კავკასიაში, იგი უფრო გავრცელებულია აზერბეიჯანში (200-მდე შემთხვევა), შემდეგ სომხეთში (150-დე შემთხვევა) და შემდეგ საქართველოში, სადაც ჯერ-ჯერობით აღმოჩენილია კეთრით დასნეულებული 16 კაცი, მათგან 12 სვანეთში, სადაც ისინი მცხოვრებთაგან გამოყოფილნი არიან. თბილისში მე-3-მე ვენერიულ საავადმყოფოში მოთავსებული არის ორი კეთროვანი.

ამიერ კავკასიაში ეს სენი არ ითვლება ადგილობრივად, იგი უმეტესად შემოტანილია. აზერბეიჯანში და სომხეთში ის შემოდის უმთავრესად სპარსეთიდან.

ამ უკანასკნელად ქალაქში გავრცელდა ხმა თითქოს რვა პირს მიეღოს კეთრი გოგირდის აბანოებში. ეს ხმები არ გამართლდა.

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ მოახდინა სათანადო გამოკვლევა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ეს ხმები ყოვლგვარ სიმართლეს მოკლებულია.

პროფ. ბურზდორფი კეთრის შესახებ

თბილისის უნივერსიტეტის ვენერიული კათედრის პროფესორმა ბურზდორფმა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ კეთრი ერთბაშად არ აჩნდება ადამიანს და მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში იჩენს ხოლმე თავს. პროფესორმა მოიყვანა მაგალითები იმისა, რომ როგორც მას, ისე მრავალ სხვა მეცნიერთ, ღამეები გაუტარებიათ კეთროვანთა შორის, სენისგან გამომდინარე საშინელ ატმოსფერაში, შეხებიან კეთროვანთ, მაგრამ კეთრით არ დაავადმყოფებულან. ბურზდორფმა მოიყვანა მაგალითი ევროპის ერთი პროფესორის ცხოვრებიდან, რომელმაც თეატრში წაიყვანა და ლოჟაში გვერდზე მოისვა კეთროვანი, კეთრი არავის არ გადასდებია.

თვით პროფ. ბურზდორფს დიდი პრაქტიკა აქვს კეთრთან ბრძოლაში და მის მიზანს შეადგენს მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლა ჩვენში. მას მთავარ დაბრკოლებათ ამ საქმეში მიაჩნია ის, რომ ხალხი, (ვინაიდან ვერ იცნობს ამ სენს) ვერ არჩევს მას კანის სხვა სნეულებიდან.

ლეპროზორიის დაარსების საკითხი

რაც შეეხება ლეპროზორიის გახსნას, საქართველოს ჯანსახკომს იგი შეტანილი აქვს თავის ხუთწლიან გეგმაში, მაგრამ მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვიდან იგი ამოშლილი იქნა. აუცილებლობა ლეპროზორიის დაარსების ცნობილ იქმნა საქართ. ექიმთა უკანასკნელ კონგრესის მიერ და ეს საკითხი იდგა აგრეთვე ჯანმრთელობის სახ. კომის. თათბირზედაც.

ავიოქიმში

სასოფლო-მეურნეობის დასახმარებლად

ამიერ-კავკასიის ავიოქიმმა გამოითხოვა ცენტრიდან მიწის გასანოყიერებელი ქიმიური ნივთიერებანი და აგრეთვე ქიმიური საშუალებები სასოფლო-მეურნეობის მავნეებთან საბრძოლველათ. ახლო მომავალში ამიერ-კავკასიის ავიოქიმი იწვევს სპეციალურ კომისიას, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ზომები სასოფლო-მეურნეობის დასახმარებლად.

ავიოქიმი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ა. კ. ავიოქიმი მონაწილეობას მიიღებს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც გაიხსნება თბილისში მარტში. ავიოქიმი გამოაფენს ქიმიურ ექსპონატებს, რომელთაც კავშირი აქვთ სასოფლო-მეურნეობასა და მრეწველობასთან, გამოფენაზე მოწყობილი იქნება სანიმუშო აგრონომიული კუთხეები. ჩატარებული იქნება განმარტებითი კამპანია სასოფლო-მეურნეობაში ქიმიის საშუალებების გამოყენების შესახებ.

ქიმუჯრედები

ამჟამად ადგილებზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი აქვთ ქიმ-უჯრედებთან. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან ერთად შემუშავებული იქნება პროექტი, რომლის მიხედვით უნდა მოეწყოს მუდმივი საცდელ-სანიმუშო აგრონომიული უბნები ქიმიურ განოყიერების გამოსაყენებლად ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კლიმატიურ ოლქებში სხვადასხვა კულტურებისათვის.

აეროდრომების მოწყობა

ამჟამად ა. კ. ავიოქიმი აწარმოებს მუშაობას საზაფხულო პერიოდისათვის აეროდრომების მოსამზადებლად. წინანდელი აეროდრომები მეტწილად დახნულია. სხვათაშორის ბაქოში აეროდრომის ტერიტორიაზე აგებულია რადიო სადგური, რის გამო აეროდრომი სხვა ადგილას უნდა იქნეს გადატანილი, რაც დიდ ხარჯებს გამოიწვევს

ხუთის სახელობის აეროპლანი

ამიერ-კავკასიის ავიოქიმის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ერთად იქნეს შეგროვებული ის თანხები, რომელიც რადაქციებმა შეკრიბეს „ხუთის სახელობის" აეროპლანის ასაგებად, ამ აეროპლანის ასაგებად შეგროვებულია 28.000 მანეთი. ა. კ. ავიოქიმმა საჭიროდ სცნო, რათა ეს აეროპლანი სამოქალაქო ტიპის იქნეს, რომ შესაძლებელი გახდეს მისი გამოყენება აგიტაციის მიზნით და სასოფლო მეურნეობისათვის.

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

სასოფლო-სამეურნეო აკადემია

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა პროექტი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის და გამოყენებითი ზოოლოგიის ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

საგეგმო კომისიამ ასეთი აკადემიის მოწყობა სასურველად იცნო. ამასთანავე საგეგმო კომისიამ დაადგინა, რომ სასოფლო-სამეურნეო საცდელი დაწესებულებების ქსელი და ზრუნვა მის განვითარებაზე დარჩეს რესპუბლიკანურ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატების ხელში.

საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო დაშლილი საცდელი დაწესებულებების აღდგენა საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე და ახალი საცდელი დაწესებულებების ქსელის გეგმაშეწონილი განვითარება საკავშირო რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

კანაფის კულტურა

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა სასურველად სცნო კანაფის დათესვა ცდის სახით ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონებში.

განზრახულია კანაფი დაითესოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატების მამულებში, საბჭოთა მეურნეობებში და აგრეთვე კერძო მეურნეობებში. საჭირო კრედიტებს კანაფის დასათესავათ გაიღებს უკრაინის საფეიქრო ტრესტი.

რესპუბლიკანურ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატებს დაევალა შეისწავლონ საკითხი, თუ რამდენათ მომგებიანია კანაფის კულტურა სხვა ტეხნიკურ მცენარეებთან, განსაკუთრებით კი ბამბასთან შედარებით.

მეცხვარეობის განვითარებისათვის

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო მეცხვარეობის აღდგენის და განვითარების ხელის შემწყობ საკავშირო კომიტეტის დაარსება. სასოფლო-სამეურნეო სექციას დაევალა შეიმუშაოს ამ კომიტეტის ძირითადი დებულებანი და განსახილველად წარუდგინოს საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს.

ამასთანავე საგეგმო კომისიამ განიხილა საკითხი სააქციო საზ-ბა „ოვცევოდ"-ის მოწყობის შესახებ საკავშირო მაშტაბით; ასეთი საზოგადოების მოწყობა საგეგმო საგეგმო კომისიამ მიზანშეუწონლად სცნო.

კონიუნქტურის შესწავლა

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ მოისმინა საკონიუნქტურო საბჭოს მოხსენება ბაზრის მდგომარეობის შესახებ. საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციას დაევალა შეაგროვოს მასალები იმის შესახებ, თუ რამდენათ მოსახერხებელია პურეულის ნათესების სივრცის გადიდება ბამბის ნათესების ხარჯზე. ამავე დროს ეკონომიურ-სტატისტიკურ სექციას დაევალა შეაგროვოს მასალები მატყლის საზღვარგარეთული ბაზრების მდგომარეობის შესახებ.

სამეცნიერო დაწესებულებებში

ტყის ძვირფასი ჯიშების დაცვა

საქართველოს განათლების სახ. კომისარიატთან არსებულ ისტორიულ ძეგლების და სიძველეთა დაცვის სექციამ გამოიმუშავა ღონისძიებანი რომელნიც მიზნად ისახავს ბუნების იშვიათი ნიმუშების დაცვას და მოვლა პატრონობას.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აქა-იქ დარჩენილა მცენარეთა სამეფოს იშვიათი წარმომადგენელნი, რომელნიც თავისი სიძვირის გამო განსაკუთრებულ ინტერეს იწვევენ და საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და მოვლას.

ასეთ იშვიათ მცენარეებს ეკუთვნის **ელდარის ფიჭვი,**—რომელიც იზრდება სიღნაღის მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში—ელდარის ველზე; **ურთხმელა,**—რომელიც ხარობს მხოლოდ პანკისის რაიონის სატყეო აგარაკში. (თელავის მაზრის ჩრდ. ნაწილში); **ბიწუნდის ფიჭვი,**—რომლის ერთადერთ სამშობლოს, საქართველოში წარმოადგენს—აფხაზეთი და დასავლეთ. **ძელქვის ხე**—ვარციხის სახალხო მამულში, (აჯამეთის სატყეო აგარაკს ახლო) სადაც ამ ხეების ტევრი საგანგებოდ არის გაშენებული ნახევარი ქცევის სივრცეზე. ძელქვის ხის ქალა—ვარციხეში წარმოადგენს ამ იშვიათ მაგარი ხის ჯიშის სანიმუშო სანერგეს მთელს ამიერ-კავკასიაში.

ამ ჟამად ისტორიულ სიძველეთა და ბუნების იშვიათ ნიმუშების დაცვის სექცია ამუშავებს იმ რაიონების სიას, სადაც მცენარეთა ესა თუ ის იშვიათი ჯიში გამოცხადებულ უნდა იქნას ხელშეუხებლად და აკრძალულად მოხმარებისათვის.

ამავე დროს გამოცხადებულ იქნება იმ გარეულ ნადირთა ხელშეუხებლობა, რომელნიც ამ ჟამად მალიან მეტად ხდებიან საქართველოს ტყეებში. ასეთებს წარმოადგენენ: ირმები, შველები, ქურციკები, ჯიხვები და სხვა.

წითელ ჯარში

წითელ-არმიელთა საყურადღებოდ

„კომუნისტი"-ს № 18-ში მოთავსებულ ინფორმაციის **„ასეთ გაუგებრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს"** საპასუხოთ გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი: თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა 1923 წლის 20 ივლისიდან, წერილები წითელ-არმიელთა სახელზე იგზავნებიან უფასოდ შემდეგ საფუძვლებზე:

1) ღია და უბრალო წერილები 20 გრ. რომლებზეც მისამართში აღნიშნული იქნება ჯარის ნაწილები, სადაც მსახურობენ წითელ-არმიელები.

2) წერილები წონით 20 გრ. მეტი, თუნდაც მათ მისამართში აღნიშნული იყოს ჯარის ნაწილები, რომლებიც იქნებიან მიმართულები წითელ-არმიელების კერძო ბინებზე, „ან ფოსტაში მოკითხვამდის", ან სხვა პირებზე გადაცემით უფასოთ არ გაიგზავნებიან.

3) ამ შეღავათებით ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად წერილის მისამართში უეჭველად უნდა იყოს აღნიშნული მიმღების თანამდებობა „წითელ-არმიელი" და ჯარის ნაწილი, ამის გარეშე წერილი უფასოთ არ გაიგზავნება.

კანტორის გამგე **ივანოვი.**

კანც. გამგე **ჩიკოიძე.**

ჩვენი ავტო-ტრანსპორტი

საავტომობილო მიმოსვლა ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის საავტომობილო საავჭრო-სამრეწველო საზოგადოებაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

— „ზაკავტოპრომტორგმა" შეიმუშავა საქალაქთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის განვითარების გეგმა 1925—26 წლისათვის; ამ გეგმის მიხედვით შესამჩნევად გაფართოვებული იქნება საავტომობილო მიმოსვლა ყველა რესპუბლიკებში, განსაკუთრებით კი აზერბეიჯანში, სადაც საავტომობილო მიმოსვლა აქამდი ძალიან სუსტათ იყო განვითარებული.

გასული წლის განმავლობაში საქართველოში საავტომობილო მიმოსვლა სწარმოებდა 1.500 ვერსის მანძილზე; ეს მანძილი შეიცავს ერთ მესამედს იმ გზებისას, რომლებზედაც საერთოდ შესაძლებელია საავტომობილო მიმოსვლა.

მიმდინარე წელში განზრახულია ავტომობილების მიმოსვლა მოეწყოს შემდეგ ახალ ხაზებზე: თბილისი-თელავი, თბილისი-სიღნაღი, ქალ. თელავი—სად. თელავი, სიღნაღი-წნორის-წყალი-ლაგოდეხი, გორი-ცხინვალი, ბორჯომი-ხულო-ბათომი, ბათომი-ქედი-ხულო, ბათომი-ქობულეთი, ქალ. ქობულეთი—სად. ქობულეთი, ქუთაისი-წყალტუბო, ქუთაისი-ონი-შოვი, ქუთაისი-ზესტაფონი და სოხუმი-პილენკოვი.

მიმდინარე წლის გეგმის მიხედვით, საავტომობილო მიმოსვლა წელს საქართველოში მოწყობილი იქნება 1857 კილომეტრის მანძილზე.

მიმოსვლის ახალი ხაზები დაწესებული იქნება ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებშიაც; მაგალითად, სომხეთში წელს ავტომობილების მიმოსვლა მოწყობილი იქნება შემდეგ ახალ ხაზებზე: ერევანი-ეჩმიაძინი-ამატარაკი, ერევანი-კამარლიუ-დავალუ, ერევანი-უზუნტალი-აქსტაფა, ელინოვკა-ახალი-ბაიაზეთი, კარაკლისი-სტეპანავანი-ვორონცოვკა.

აზერბეიჯანში: ევლახი-აგდაში-სტეპანაკერტი, განჯა-ელენდორფი, განჯა-ქიკენდ-მიხაილოვკა-ჩაიკენდი, ქედაბეკ-დალარი, აგდამ-კარიაგინი, შუშა-გორისი, ზაქათალა-ტერტერი, ლიაკ-აგდაში, უჯარი-გეოკჩაი, შემახა-ქიურდამირი, კუბა-კუსარი და ორდუბათ-ჯულფა.

გეგმის მიხედვით, მთელს ამიერ-კავკასიაში საავტომობილო მიმოსვლა მოწყობილი იქნება 3.000 კილომეტრის მანძილზე.

მგზავრების გადაყვანასთან ერთად განზრახულია ფართოდ მოეწყოს ტვირთების გადატანის საქმეც. მიმდინარე წლის გეგმა ითვალისწინებს 20 მილიონ ფუთ ბარგის გადატანას ამიერ-კავკასიის ყველა ხაზებზე.

ავტომობილების მიმოსვლა განზრახულია მოწყობილი იქნეს ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით; ამ მიზნით გამოწერილია ახალი კონსტრუქციის მანქანები; ამას გარდა, საავტომობილო მიმოსვლის საქმის გასაცნობათ „ზაკავტოპრომტორგის" მიერ საზღვარგარეთ გაგზავნილი იყო ამხ. მზარეულაშვილი, რომელმაც შეისწავლა ამ საქმის დაყენება გერმანიაში და იტალიაში. ამიერ-კავკასიაში ავტომობილების მიმოსვლის მოწყობის დროს გამოყენებული იქნება ამ ქვეყნების გამოცდილება.

ა.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენლების თათბირი

თბილისში გაიმართა ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს რწმუნებულთა პირველი თათბირი, რომელმაც მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს და მის განყოფილებათა მუშაობის შესახებ.

თათბირმა საჭიროდ აღიარა, რომ ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო უნდა სარგებლობდეს მონოპოლიური უფლებით ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე უცხოეთის და საერთო საკავშირო ინფორმაციის გავრცელების საქმეში.

თათბირმა საჭიროთ სცნო საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ხელმძღვანელ სამუშაო აპარატში დაინიშნოს ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელი.

თათბირის აზრით საჭიროა კიდევ უფრო გაფართოვებული იქნას ამიერ-კავკასიის ინფორმაცია, საჭიროა აგრეთვე გაფართოვებული იქნას კორესპონდენტთა რიცხვი ადგილებზე და აწეული იქნას კორესპონდენტების ხარისხი.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს და ადგილობრივ პრესის მუშაობის შესათანხმებლად, თათბირმა საჭიროთ სცნო ადგილებზე მოეწყოს რედაქტორთა კოლეგიები, რომლის შემადგენლობაში უნდა შევიდენ საგიტ.-საპროპ. განყოფილებათა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებათა გამგეები.

შემდეგ თათბირს არასაკმარისად მიაჩნია სიტყვების ის ნორმა, რომელიც საკავშირო დეპეშათა სააგენტომ დააწესა ამიერ-კავკასიისათვის და საჭიროდ სცნო ამ ნორმის მაქსიმალურად გადიდება.

თათბირს საჭიროთ მიაჩნია აგრეთვე სამაზრო გაზეთებისა და აღმასკომებისათვის რეგულიარული ინფორმაციის მიწოდება მინიმალურ ფასებში.

სამაზრო აღმასკომების 1926—27 წ. ბიუჯეტში, თათბირის აზრით, სასურველია გათვალისწინებული იქნას სათანადო თანხები ამ ინფორმაციისათვის.

დასასრულ თათბირმა საჭიროთ სცნო საინფორმაციო მუშაობაში რადიო-ტელეფონით სარგებლობა. ამ მიზნით თათბირი შუამდგომლობს ამიერ-კავკასიის უმაღლეს ორგანოების წინაშე, რათა მათ მატერიალური დახმარება გაუწიონ ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს რესპუბლიკანურ განყოფილებებს ასეთ რადიო-ტელეფონების მოსაწყობად.

ხელოვნების ქრონიკა

— **ოპერის თეატრში** „ბუჟუნები".

— **რუსთაველის თეატრში** დღეს მესამედ წარმოდგენილი იქნება „ლამარა".

— **„დალალი".** სახელმწიფო ოპერაში დასადგმელად მზადდება იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა: „დალალი".

— **სიმფონიური კონცერტი მიგაის მონაწილეობით.** ორშაბათს, 22 თებერ. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ს. მიგაის მონაწილეობით გაიმართება საოპერო სტუდიის სიმფონიური კონცერტი.

— **ხელოვნების მუშაკთა** კავშირის მორიგი ყრილობა შესდგება 20 თებერვალს. ამ დღისათვის გამოვა ჟურნალ „ხელოვნების" მორიგი ნომერი.

— **წითელ თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „პირველი ცოლის მორჯულება".

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში** შაბათს, საღამოს 6 საათზე, ხელოვნების სასახლეში ამხ. **ბ. ბუაჩიძე** გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქართული ლიტერატურის სინამდვილე".

დღეს კინოებში

— **აპოლლო** „ინდოეთის აკლდამა".

— **არფასტო** (
— **სოლეი** („ნიბელუნგები".

— **ოდეონ** „დავიწყებულ სადგურის გმირი".

— **პალას** „დოროტი ვერნონ".

ქალაქის კომენდანტისაგან

ყოველწლიურად ქ. თბილისის მახლობელ რაიონებში ადგილი აქვს უბედურ შემთხვევებს, რაც ახსნება იმით, რომ არც მოზრდილებმა და არც, განსაკუთრებით, ბავშვებმა არ იციან ფრთხილად მოპყრობა ყუმბარებსა, ვაზნებსა და სხვა ასაფეთქებელ ნივთიერებისადმი, რომლებსაც ისინი პოულობენ მინდვრათ და სპილენძისა და ლითონის სხვა ნაწილების გამოყენების მიზნით ცდილობენ მათ დაცლას.

უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად ყველა მოქალაქეებს ეკრძალებათ ახლოს ყოფნა ასაფეთქებელ ნივთიერებათა დაცლის ადგილთან გვერდკეთილის მთაზე, მლაშე ტბის რაიონში და ლითონის აკრეფა.

თუ რომელიმე მცხოვრებმა იპოვა საარტილერიო ყუმბარები, გილზები, ან სხვა ასაფეთქებელი მასალა, მან ხელი არ უნდა ახლოს მას, არამედ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ კომისარიატს ან ჯარის ნაწილს სათანადო ზომების მისაღებად.

ის მოქალაქეები, რომლებიც არ შეასრულებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებას პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

ქ. თბილისის კომენდანტი **აბაშიძე.**

კინო

ნიბელუნგები

ალბად კინო-ტეხნიკის უდიდესი მიღწევა და ფრიც ლანგეს ნიჭი იყო საჭირო იმისთვის, რომ თანამედროვე ადამიანს, რომელიც თავისი ფსიხოლოგიით ასე დაშორებულია ისტორიის ასპარეზზე პირველად გამოსული მეომარი და რაინდი ხალხის წარმოდგენებსაგან, ასეთი სიცხოვლით განეცადა ამ ხალხის მახვილი ფანტაზიის ნაყოფი—გრანდიოზულ ეპიური შემოქმედება.

ნიბელუნგებში, რომელიც წარმოადგენს გერმანელ ტომების თქმულებათა კრებულს, ერთმანეთშია გადახლართული — ზღაპრულ მითიური ამბები და ისტორიული სინამდვილე.

ზღაპრული ჭაბუკი ზიგფრიდი მჭედელ მიმეს მიერ გაწრთვნილ თავის მიერვე გამოჭედილი მახვილით აღჭურვილი, მიემგზავრება ვორმსის სამეფოში, რომ შეირთოს მეფე—გუნტერის და—მშვენიერი კრიმგილდა. მგზავრობის დროს უღრან ტყეში შეეჩეხება უზარმაზარ დრაკონს, რომელსაც ჰკლავს შეუპოვარი დევ-გმირი. დრაკონის სისხლში განბანილი ზიგფრიდის სხეული ხდება შეუვალი გარდა ერთი ადგილისა, სადაც ზიგფრიდს განბანის დროს მუხის ფოთოლი დაეცა. გზაზე დევ-გმირი ხდება მეორე განსაცდელს: იგი შეებრძოლება ტყის ერთ ხასტიკ მთავარს, ჰკლავს მას, აღიჭურვება მისი უჩინმაჩინი ქუდით და თან გაიყოლებს მის ვასალ რაინდებს. ძლევამოსილი ზიგფრიდი მიადგება ვორმსის სასახლეს. აქ იგი მეფე გუტნერს ცოლადა სთხოვს მშვენიერ კრიმგილდას. მეფე თანხმდება, თუ ზიგფრიდი დაუმორჩილებს და ცოლად მოგვრის ბურგუნდის დედოფალს, რომელსაც თავისი ვაჟკაცობით პირისპირი შეტაკების დროს არა ერთი ვაჟკაცი დაუმარცხებია. მეფე გუტნერი და ზიგფრიდი თავიანთი ამალებითურთ მიეშურებიან დედოფალ ბურგილდასთან. გამარჯვებას ჩვეული მეფე ქალი მოითხოვს მეფესთან პირისპირ შებმას. მეფე გუტნერი ზიგფრიდის უჩინარი დახმარებით ამარცხებს მას და დასაქორწინებლად მიჰყავს თავის სამეფოში. სადაც ხდება ორი ქორწინება: ერთი გუტნერისა—ბურგილდაზე და მეორე— ზიგფრიდისა—კრიმგილდაზე. მეფეზე დაქორწინებული ბურგილდა მაინც არ ნებდება ცოლად მეფეს. ჯადო ქუდის საშუალებით გუტნერად გადაქცეული ზიგფრიდი მოსტეხს ქედს მძლავრ დედოფალს და დაუმორჩილებს მეფეს. საიდუმლოება არ რჩება დაუფარავი. ბურგილდა გაიგებს, რომ იგი დამორჩილებულია არა გუტნერის, არამედ ზიგფრიდის მიერ და მის შურს იძიებს. დედა-კაცი მეფის წინაშე ზიგფრიდს დასწამებს ნამუსის შებლალვას. განრისხებული მეფის დავალებით ვერაგი კარის კაცი ტენიე ნადირობის დროს დროს ზიგფრიდს მზაკვრულად გაგმირავს იმ ადგილს, რომელიც გაუბანელი დარჩა დრაკონის სისხლში. ეს არის პირველი ორი სერიის შინაარსი.

დანარჩენი სერიები შეიცავენ ზიგფრიდის მეუღლის კრიმგილდის შურისძიების ამბავს.

ისტორიის პირველ საფეხურზე მყოფ ხალხის ეს მითიური წარმოდგენა და ფეოდალური საუკუნეების სინამდვილე ხორცშესხმულია კინოს სასწაულებრივი ტეხნიკის საშუალებით. მნახველის წინაშე იშლებიან უღრანი მითიური ტყეები, ღვიმეები და საიქიო სამყარო,— დასახლებულნი ავი სულებითა და ბუნების საიდუმლო ძალებით. მეორე მხრივ მაყურებელს იტაცებს თავისი მხატვრულობით გერმნელ ტომების თავისებური მდიდარი კულტურის გადმოცემა ციხე-კოშკები, დაღვრემილი და კუშტი დარბაზები, სადაც ჯარისკაცები, მოყმე რაინდები და მოლაშქრენი, მოძრაობენ და მოქმედობენ უკვე განმტკიცებული ცერემონიით და ეთიკეტის მიხედვით.

ზღაპრულ რაინდთა,—ისტორიულ პირთა ჩაცმულობა, ჟესტი მიმიკა, სხეულის მოძრაობა, სცენების დეკორატიული და არქიტექტორული შესრულება ისე ცხოვლად და სინამდვილით არის შესრულებული, რომ მაყურებელი მთელი სიმძაფრით გრძნობს საშუალო საუკუნეებს, მთელი მისი ციხე-კოშკებით, ლაშქრებით, ტურნირებით, დღესასწაულებით და ადათ-ჩვეულებით.

რეჟისორი ამ ეფექტს იწვევს ზედმიწევნით დაცული სტილით, დეკორატიული და არქიტექტური პლანებით და დროის შესაფერი რიტმით.

ნიბელუნგები—იმდენად არ აღელვებს რამდენადაც ანცვიფრებს მაყურებელს, რომლის წინაშე იშლება და ვითარდება სასწაულები, რომელიც სწამდა და კიდეც აღელვებდა ჩვენ შორეულ წინაპრებს.

ვ. წ.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

„კომუნისტი“-ს ა.წ. 3 თებერვლის №-ში იყო მოთავსებული ქრონიკაში შენიშვნა, რომელსაც შეუძლია შეიყვანოს შეცდომაში როგორც სახელმწიფო ორგანოები, ისე ჩაის მწარმოებელი გლეხები. ამიტომ გთხოვთ მოათავსოთ გაზეთში შემდეგი განქარტება:

საქც. საზოგადოება „საქართველოს ჩაი“, რომლის გამგეობაშია, როგორც ჩაქვის მამული, აგრეთვე სხვა დანარჩენი მამულებიც ჩაის პლანტაციებით, ამით აცხადებს, რომ მოქ. ლაუ-ჯონ-ჯაო არა თუ არ ითვლება ჩაქვის სახალხო მამულის გამგეთ, არამედ საერთოდ არავითარი კავშირი არა აქვს არც ჩაქვის მამულთან და არც საქც. საზოგადოების სხვა ჩაის საქმეებთან და მაშასადამე ზემოხსენებული შენიშვნა, სადაც მოქ. ლაუ-ჯონ-ჯაო დასახელებულია ჩაქვის მამულის გამგეთ, არ შეეფერება სინამდვილეს.

გამგეობის თავმჯდომარე ა. ქავთარაძე

იურიდიული რჩევა-დახმარება

მაქვს თუ არა უფლება მივიღო მიწა სასარგებლოთ და რა რაოდენობით

კითხვა

მე ვეწევი ფიზიკურ შრომას. ვმუშაობ რკინის გზაზე, თვიურ ჯამაგირად ვღებულობ 58 მან. 50 კაპ. ვარ კავშირის წევრი (წიგნაკი № 861) მე მქონდა სოფელში 5 ქცევა საყანე მიწა მე-3 ხარისხისა. ორი ქცევა კი სამოსახლე მიწა, სულ 7 ქცევა მიწა. ზემოაღნიშნული სამოსახლო მიწა ნახევარზე შეადგენდა ხე-ტყეს. 1923 წ. ჩამომერთვა საყანე მიწა მთლად. 1925 წელში კი ჩამომართვეს ერთი ქცევა, სადაც იჭრება ხე-ტყე და მიასაკუთრეს რკინის გზის სადგურს. დამრჩა 7 ქცევიდან მხოლოდ ერთი ქცევა სამოსახლე ადგილი.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება მაქვს უფლება თუ არა ვისარგებლო მიწის ნორმით ჩამორთმეული მიწიდან, როგორც რკინის გზის ფიზიკურმა მუშამ.

რკინისგზელი ოჩხეკიძე.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 67-ისა, მიწის ნახევარი ნორმა დაეტოვებათ ფიზიკურ შრომის იმ მუშებს, რომლებიც ეწევიან წარმოებითი შრომას სახელმწიფო და კერძო საწარმოოში და დაწესებულებაში.

ამ მუხლის თანახმად თქვენ გაქვთ უფლება მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ ხელისუფლებას მიწის ნახევარი ნორმის დატოვების შესახებ.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

გთხოვთ გვაცნობოთ,—თუ რამდენი უნდა ვაძლიოთ ბინის ქირა სახლის პატრონს? ბინა ჩემი შეიცავს 60 კვ. არშინს, რომელშიაც ვცხოვრობთ 5 სული. სამზარეულოთი სარგებლობის ნებას სახლის პატრონი არ გვაძლევს. სახლის პატრონი მთხოვს თვეში 30 მან.; ბინა ჩემი მოთავსებულია ბროსეს ქუჩაზე, სახლი № 8.

პირადად მე ვარ მედსანშრომის კავშირის წევრი, ვმსახურობ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში. ძირითადი ჩემი ჯამაგირი უდრის 60 მან. თვეში.

წინდაწინვე სახლის პატრონს მიღებული აქვს ჩემგან 130 მან. ეს თანხა განაწილებული იქნება თუ არა შემდეგ თვეების ანგარიშში დაწესებულ ბინის ქირის მიხედვით?

ექიმი ი. ჰეჰინაძე.

პასუხი

ბინის ქირად თითოეულ კვად. არშინზე თქვენ იხდით ოთხ კაპეიკ ნახევარს (4,5 კაპ.) რაც შეეხება უკვე ავანსად გაცემულ საბინაო ქირას, მისი განაწილება მომავალ თვეებზე უნდა მოხდეს სასამართლოს წესით და მისი (სასამართლოს) განაჩენის თანახმად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 7

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 323 და 335 მუხლის შეცვლის შესახებ.

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლისა. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 323 და 335 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 323. საქციო საზოგადოება (საპაიო ამხანაგობა), რომლის ძირითადი თანხა ხუთასი ათას მანეთს (500.000 მან.) არ აღემატება და რომლის გამგეობაც, წესდების ძალით, უნდა იმყოფებოდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაარსდება იმ წესდების თანახმად, რაც ამიერ-კავკასიის შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის (საქართველოს ს. ს. რ.-ში) მეშვეობით წარედგინება დასამტკიცებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოს.

შენიშვნა. უკეთუ საქციო საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულია რაიმე გამონაკლისი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქმედ კანონებისა, წესდება, ამა მუხლის თანახმად, დამფუძნებლებმა უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

მუხ. 323^1 წესდების დამტკიცების შემდეგ საქციო საზოგადოებას რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს ამიერკავკასიის შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოში (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში).

მუხ. 323^2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო საქციო საზოგადოების (ამხ-ბის) წესდების დასამტკიცებლად არ მიიღებს:

1) უკეთუ საზოგადოების (ამხ-ბის) დამფუძნებელთა შორის არის საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ან ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახელმწიფო დაწესებულება ან ისეთი საწარმო, რომელსაც აქვს საერთო-საკავშირო ან საფედერაციო (ა.-კ. სფსრ) მნიშვნელობა;

2) უკეთუ საზოგადოების (ამხ-ბის) დამფუძნებელთა შორის არიან რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი ან ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რამდენიმე რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი;

3) უკეთუ საზოგადოების (ამხ-ბის) ძირითადი თანხა აღემატება ხუთასი ათას მანეთს (500,000 მან.);

4) უკეთუ საზოგადოების (ამხ-ბის) წესდებაში არის რაიმე გამონაკლისი იმ წესდებისა, რაც საბჭ. სოც. რესპ. კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით შემოღებულია საქციო საზოგადოებისათვის;

5) უკეთუ საზოგადოების (ამხ-ბის) დაარსებაში მონაწილეობას იღებს უცხოეთის კაპიტალი, ან საზოგადოების (ამხ-ბის) წესდების თანახმად აქცია შეიძლება უცხოელის ხელში გადავიდეს;

6) უკეთუ საზოგადოების (ამხ-ბის) წესდებას საკონცესიო ხასიათი აქვს, თუნდაც უცხოეთის კაპიტალი საზოგადოებაში (ამხ-ბაში) მონაწილეობას არ იღებდეს;

7) უკეთუ საზოგადოების (ამხ-ბის) წესდებაში არის რაიმე გამონაკლისი საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მომქმედი დადგენილებისა.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ საქციო საზოგადოებათა (ამხ-ბათა) დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესი განისაზღვრება საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლ. აპრილის 24-ის დადგენილებით (ს. ს. რ. კავ. კანონთა კრებული 1925 წ. № 30) და ა.-კ. სფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ნოემბრის 9 დადგენილებით-კუთვნილებისამებრ.

მუხ. 323^3. ყველა საქციო საზოგადოებას (ამხ-ბას), რომელიც დაარსებულ და რეგისტრაციაში გატარებულ იქნა დადგენილი წესით (323 და 323^2), უფლება აქვს იმოქმედოს მთლად საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ტერიტორიაზე (სსრ კავშირის კან. კრებ. 1925 წ. № 30, მუხ. 195).

მუხ. 335. უკეთუ აქციონერთა დამფუძნებითი საერთო კრება სცნობს, რომ საზოგადოება შემდგარია, გამგეობა ვალდებულია ორი კვირის განმავლობაში შეიტანოს განცხადება საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ ამიერკავკასიის შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში), საზოგადოების (ამხ-ბის) რეგისტრაცია გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ოფიციალურ პერიოდულ ბეჭდვითი ორგანოში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წლ. თებერვლის 1.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

პარასკევს, 19 თებერვალს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი

სავალდებულოა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იტყობინება, რომ ხუთშაბათს 18 თებერვალს, საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეულია მე-2 რაიონის საბჭოთა უჯრედების ბიუროების კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1) მოხსენებები სახალ. მეურ. უმაღ. საბჭოს დამზღვევ სალაროს და მუშკოოპის უჯრედთა მუშაობის შესახებ.

საბჭოთა უჯრედების ბიუროების მდივნების და წევრების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

მდივანი ფანცულაია.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის მუშა ქალთა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის განყოფილება იტყობინება, რომ ხუთშაბათს 18 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე არმიისა და ფლოტის კლუბის შენობაში (ნიკოლოზის ქ. № 51) შესდგება მე-2 რაიონის ქალთა სადელეგატო კრება.

ყველა დელეგატ ქალების და ქალთა ორგანიზატორების გამოცხადება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ წითლიძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს 18 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე სახალხო კავშირის კლუბის შენობაში (კინო „სოლეი“-ს ქვეშ) შესდგება ქალაქის რაიონის უჯრედების აგიტპროპორგანიზატორების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ადგილკომების კულტკომისიების წარმომადგენელთა თათბირი.

ქალაქის რაიკომი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. საკოვთან, დილის 10 საათზე. 1. შოგერაძე ბესარიონ, 2. ბახტაძე სერგო რომანის ძე, 3. კიკვაძე გიორგი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომში ამხ. დიასამიძესთან 9-დან დღის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.

მიხაილოვა ანასტასია—უჯ. № 2, სუვერინა ზინაიდა—უჯრ. № 2, კოროლენკო ანასტასია—უჯრ. № 4, ჩიტჩიანი ნინო—უჯ. № 4, კანანოვი მიხეილ—უჯ. № 8 შახნაზაროვი გალუსტ—უჯ. № 10, ნავასარდოვი პავლე—უჯ. № 2, გამბაროვი მკრტიჩ—უჯ. № 18, კატოლევსკაია ანნა უჯ. № 4.

ზემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების გამოგზავნა უნდა იკისროს უჯრედის მდივანმა.

მდივანი ფანცულაია.

— საქ. ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ხუთშაბათს 18 თებერვალს (თბილისის კომიტეტის ბინაზე) დღის სრულ 2 საათზე შესდგება ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

აღნიშნულ დროზე აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრები და აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთა ანკეტები უნდა დაამტკიცოს თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიამ.

საქ. ახალ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე სლუქვაძე.

აპოლლო
არტისტო
[illegible]

სეზონის საუკეთესო სურათი
„ინდოეთის აკლდამა“
მთავარ როლებში: ლიადეპუტი, მია მაი, კონრად ვეიდტი,
4 სერიათ; 1 და 2 სერია ერთად
საზღვარგარეთელ კინემატოგრაფიის უდიდესი მიღწევა
4 სერიად „ნიბელუნგები“ 4 სერიად
1 და 2 სერია ერთად
„პრავდა“ 31 დეკემბრის ნომერში სწერს: „ნიბელუნგები“—ყველაზე უკეთესი და ყველაზე გასაოცარი სურათია, რომლის მაგვარი ჯერ ჩვენ არ გვინახავს“.
0—1 ნ. 785
კასა ღიაა 4 საათ 30 წ.

ხელისმოწერა
ყოველგვარი ცნობებისათვის
უნდა მიმართოთ
„კომუნისტი“-ს
მთავარ კანტორას
რუსთაველის პროსპექტი № 24
ტელეფონი № 10—49

სახელმწიფო ოპერა | დღეს, 18 თებერვალს,
ჰუგენოტები
პარასკევს, 19 თებერვალს,
მიგაის გასტროლი
დემონი
3—3

რუსთაველის თეატრი: დღეს, 18 თებერვალს
გრ. რობაქიძის
ლამარა
შაბათს, 20 თებერვალს
ჰამლეტ
მონაწ. მეორე შემადგენლობა.
კვირას, 21 თებერვალს
მზის დაბნელება საქართველოში
ნ. 781 3—2

გამოვიდა გასასყიდათ სკოლებისა და ოჯახებისათვის დიდი ფორმატის
საქართველოს რუკა
ფასი 1 მან.
საწყობი წიგნის მაღაზია „განათლებაში“, იქვე შეიძლება ჭოლა ლომთათიძის ნაწერების და სხვა წიგნების დაკვეთა. ლენინის ქ. № 6
სილ. თავართქილაძე
2—1 ქვ. 1515

კინო აპოლლო
დღეს და ყოველ დღე მსოფლიო რეჟისორის ჯოე მაის მიერ დადგმული საუკეთესო სურათი:
„ინდოეთის აკლდამა“
4 სერიად, მთავარ როლებში:
ლია დე პუტი
მია მაი
კონრად ვეიდტი
1 და 2 სერია ერთად.
ანონსი:
სულ ახლო მომავალში სახელმწიფო კინოს საუკეთესო ნაწარმოები:
„ჯვარი და მაუზერი“ ნ. 786

საქ. ს. ს. რ. სოც. უზრ. სახალხო კომისარიატი
დამატებით კომისარიატის ბრძანებისა
დასახიჩრებულთა სავაჭრო-საწარმოო ნადის
„იმედი“-ს
საქმეებზე სალიკვიდაციო კომისიის დაარსების შესახებ, ამით აცხადებს, რომ ყველა დაწესებულებები და კერძო პირები, რომელთა ხელშიც იმყოფება ნადი „იმედი“-ს რაიმე ქონება, ან თანხები, ვალდებულნი არიან ა/წ. 23 თებერვლამდე აცნობონ ამაზე სალიკვიდაციო კომისიას ქ. თბილისში, ძნელაძის ქ. № 30
სოც. უზრ. სახალხო კომისარიატი
3—2 ნ. 784

გაზეთ კომუნისტი-ს
მთავარი კანტორა
აცხადებს, რომ „კომუნისტზე“
ხელისმოწერა შორაპნის მაზრაში
შეიძლება ქიათურის გაზეთ „კომუნისტი“-ს კანტორაში
კანტორის გამგე—ბ. გოგელიასთან
3—3 779 მთავარი კანტორა

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
ლითონის ტრესტი
ამხ. სტალინის
სახელობის
ავტო-სახელოსნო
კლარა ცეტკინის ქ. № 119, ტელ. 20—97
აწარმოებს
ავტომობილების, მოტოციკლეტების,
ტრაქტორების, აკუმულიატორების
და სხვა ელექტრო-ტეხნიკურ ხელსაწყოების შეკეთებას
ჰყიდის ავტომობილებს, მოტოციკლეტებს და ყოველგვარ სისტემის ავტო-ნაწილებს.
10—5 ნ. 709

საფინანსო კურსები
ფინსახკომთან არსებული
გამოცდები დანიშნულია ხუთშაბათს, 18 თებერვალს, საღ. 7 საათ.
მისამართი: მერვე შრომის სკოლა, ქ. შიო ჩიტაძის (ყოფ. ერმოლოვის), № 13. 2—2 ქ. 1537

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ი. იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 22 თებერვალს, 1926 წ., დღის 1 საათზე სახლში № 31, პუშკინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის იოსები და ასია ხანლაროვების მოძრავ ქონებას: ოქრო ფუთი ბაზარს, შეფასებულს 120 მანეთად. 2) იმავე რიცხვში შუადღის 12 ს. ძაძუ ჩიქოვანის ბინის მოწყობილებას, გეპუთოვის ქ. № 5, შეფასებულს 23 მანეთად, ილარიონ გაგუას ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სასამართლოსაგან 12 თებერვალს, 1926 წ. თარიღით, № 528 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1551 1—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
სხივებით რენტგენი [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ქიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყოლანოვის ქ. № 20.

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი. მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზოვის) ქუჩა № 22. 25—1

ექ. ე. მ. მძ ნარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღედ 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთველის პროსპექტ-№ 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან 5). 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვსკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიერის ქუჩა № 35, ყოფილი—კადეტ. კორპ. უკან.

ექიმი ი. დ. თოფურიძე
ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—6 საათამდის.

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს ხულით ავადმყოფებს.
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს.
ნ. ლაღიძეს ქუჩა (ყოფილი საპიორნი) № 3-
25—

ექიმი გ. ნ. მამაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ქიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ № 30.

ექიმი თოდაძე
ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტი, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივ უძლურება,—და სხვ.).
ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია.
საღამოს 4—6 სათამდე
ბელგიის ქუჩა № 1.

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—1 საათამდე და 5—7 საათ. მარიტანის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

დოქტორი გ. მეგრაბიანი
ფილტვების, გულის და ციები
წამლობა ხელოვნური მთას მზით სპენიმოტორაკსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8
სლ. გებუთოვის ქუჩა, № 23.

დ. აბაშა
კბილის ექიმ
ა. ნადარეიშვილმა
განახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის ტეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები
№ 1306

ექიმი ა. ს. ფურ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბომონდი).
ჭარბა საქმით, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფებს მიიღებს დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9ნახ საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
[illegible] 25—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი.
ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა 49) ტელ. 4—82.
1355 25—1

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი
მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.
კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი ზ. ა. თარუმოვი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მიღება საღამოს 5-დან 6 ნახ. საათამდე სასამართლოს ქ. № 12.
ტელეფონი 22—59.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8 საათ.
ქალების—საღამოთი 5—6 საათ.
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზი მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან 9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 4393 მიხეილ ადამაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1550

დაიკარგა პირადობის მოწმობა სიმონ მახას ძე ბეჟანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1552

დაიკარგა აღრიცხვის წიგნაკი № 245 სანდრო პაპულიანცის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1633

დაიკარგა სახედრო საარიცხვო ბარათი ფ. № 4 ოზურგეთის სამაზრო სამხედრო კომისარიატისაგან გაცემული, სიმონ იაგორის ძე ჭელიძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1549

დაიკარგა რეგისტრაციის მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი და ოჯახობის პირადობის მოწმობა „ზაკპოგრუზიდან“ მოცემული მელიტონ ტუღაძის სახელზე. ჩ. გ. 1.538

დაიკარგა მედსანშრომის კავშირის წევრობის წიგნაკი სოფიო სოლომონის ასულის თურქესტანიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1.536

დაიკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი №92 გაცემული თელავ-ყურდღელაურის რაიონის სამხედრო მაგიდიდან გიორგი სოსიკოსძე გაგნიძეს სახელზე. ჩ. გ. 1.535


ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ“
ავადმყოფობათა წამლობა
პროფესორ ბრაუნ სეკარის წესის ხედვით.
„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან“.
„გალენ-მოსკოვის“ კოოპერატივის ორგანოტერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამზადებულია პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.
გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას, ყოველი სახის ნევრასტენიას, სხეულის მოდუნებას, სიბერისგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მილების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარ სახე. კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ჭლექი, შაქრის ავადმყოფობა. ხერხემალის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებას პირდაპირ ავადმყოფობის გარეშე.
სეკარის სითხე იყიდება სააფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. საწყობს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში.
ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. კორესპონდენცია და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გალენის“ ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. адресь: Зак представит. коопер. „Гален“ Тифлис площадь своб. № 2 Караван. Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ“. Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооператива „Гален-Москва“ Москва ул. Герцена № 5 отд. 3 ნ. 425 0—25.
АЛКОГОЛЬНАЯ ВЫТЯЖКА ИЗ СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ ЛАБОРАТОРИИ „ГАЛЕН-МОСКВА“ В МОСКВЕ
СПОСОБ УПОТРЕБЛЕНИЯ ВНУТРИ КОРОБКИ
АЛКОГОЛЬНАЯ ВЫТЯЖКА ИЗ СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ ЖИВОТНЫХ
LIQUOR TESTICULORUM SPIRITUOS
ЛАБОРАТОРИИ „ГАЛЕН МОСКВА“ В МОСКВЕ

ტირაჟი—24.767
სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს წყლულიძის ქუჩა № 4